ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

7 თებერვლიდან!
„ახალი თაობა"+
ყველასთვის
გასაგები
„ვეფხისტყაოსანი"
წიგნი და გაზეთი ერთად 8 ლარი




ეროვნული ბიბლიოთეკა

პარასკევი, 10 თებერვალი, 2012 №34 (5724) ფასი: 30 თეთრი

# ბიძინა ივანიშვილი: „სააკაშვილს ძალიან ცოტა დრო დარჩა!"

საქართველოში ძალადობის დღე და ძალადობის ომი უნდა დამთავრდეს!



გვ.3

## ახალ პარლამენტში მხოლოდ „ქართული ოცნება" და ნაციონალები შევლენ გვ.3

რას ემსახურებოდა ბოლო პერიოდში გამოქვეყნებული რეიტინგები



## ივანიშვილის მეუღლეს სამართლებრივი არჩევნის გაკეთება მოუწევს გვ.2



## ალექსანდრე ანქვაბი: „ევროკავშირი ცხოვრებას ნუ გვასწავლის!" გვ.4



## ზურაბ აბაშიძე: „ზამთარში მაინც ნუ მიაბამთ დენს ნაგვის გადასახადს!" გვ.2

## საპატრიარქო აზიზიესა და ახმედის მეჩეთების აღდგენის წინააღმდეგია გვ.4



## ცხინვალში ჯიოევას შტაბზე „ომონმა" იერიში მიიტანა გვ.2

## „ჯავახკი" დახმარებას პუტინისგან ითხოვს

რაში სდებს ბრალს ვან ბაიბურთი ყოფილ ტაქსისტ არაბიანს



გვ.4

## პირველად საქართველოში — უახლესი უსადენო ინტერნეტსტანდარტი HSPA+

საქართველოში „მაგთიკომი" არის ერთადერთი ოპერატორი, რომელსაც ორსიხშირიანი მოდემი აქვს გვ.5

„ახალი თაობა"+
ჩინგიზ ყაენი
8 ლარი
1 თებერვლიდან




ISSN 1987-9385
9 771987 938006

**5** ქართველი მეზღვაურები თურქი კაპიტნის ტყვეობიდან გათავისუფლდნენ

**6** „დემოკრატიული მოძრაობა" მოსამართლეებთან დაკავშირებით საკანონმდებლო ცვლილებას დიქტატურად აფასებს

**7** ქუთაისის ციხეში პატიმრებს ყოველ დილას აშიშვლებენ და ამცირებენ

**6** დეპუტატები მოსამართლეების სამსახურიდან გათავისუფლების წესს ცვლიან

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ზურაბ აბაშიძე: „ზამთარში მაინც ნუ მიაბამთ დენს ნაგვის გადასახადს!“

ნათია ხურცილავა

## რა წინადადებას სთავაზობს უგულავას ოპოზიცია

**რამდენიმე დღის წინ ირაკლი ალასანიამ გიგი უგულავას მიმართა დასუფთავების გადასახადის ელექტრო ენერგიის გადასახადისთვის მიბმის შეცვლასთან დაკავშირებით.**

თავისუფალი დემოკრატები თბილისის მერს დასუფთავების გადასახადის სისტემის შეჩერებას თხოვენ.

ამ თემასთან დაკავშირებით, თავისუფალი დემოკრატების წარმომადგენლებმა ზურაბ აბაშიძემ და ვიქტორ დოლიძემ თბილისის მერიის მისაღებში ბრიფინგი გამართეს. საკრებულოს ოპოზიციონერმა დეპუტატებმა ჟურნალისტებს ოფიციალური წერილი წარმოუდგინეს თბილისის მერის, გიგი უგულავას სახელზე, სადაც აღნიშნულია, რომ ზამთრის თვეებში, მოქალაქეთა უმეტესი ნაწილისთვის, დასუფთავების გადასახადი 4-5 ლარიდან 50 ლარამდე გაიზარდა. ამიტომ თავისუფალი დემოკრატები თბილისის მერს მიმართავენ, რომ ზამთრის თვეებში მაინც, როდესაც ელექტროენერგიის მოხმარება მაღალია, შეაჩეროს დასუფთავების გადასახადის არსებული სისტემა. კერძოდ, თავისუფალი დემოკრატები მერს მოუწოდებენ, შეაჩეროს არსებული სატარიფო პოლიტიკა, დაადგინონ დროებითი ტარიფი, რომელიც სანიტარულ ხარჯებს გადაფარავს და შემდეგ, უფრო სამართლიან გრძელვადიან საგადასახადო სისტემაზე იმუშაონ.

თბილისის მერისადმი ოფიციალურ წერილს ზურაბ აბაშიძესთან და ვიქტორ დოლიძესთან ერთად ხელს საკრებულოს რესპუბლიკელი წევრი, თინა ხიდაშელიც აწერს.

თავისუფალმა დემოკრატებმა, როგორც აბაშიძე და დოლიძე აცხადებენ, ალტერნატიული გეგმა შეიმუშავეს, რომლის მიხედვითაც, მოქალაქეებისთვის დასუფთავების გადასახადის განსაზღვრა ბინის საერთო ფართისა და ოჯახის სულადობის მიხედვით უნდა მოხდეს.

თავისუფალი დემოკრატების მოთხოვნაზე თბილისის მერიაში კომენტარს არ აკეთებენ. დღეისთვის დედაქალაქში დასუფთავების გადასახადი მოქალაქეებისთვის მომხმარებულ 1 კვ/სთ ელექტროენერგიაზე 5 თეთრს შეადგენს.

ამ საკითხზე „ახალი თაობა“ **ზურაბ აბაშიძეს** ესაუბრა:

– კლიმატურ პირობებსაც უნდა მიექცეს ყურადღება. ყინვები არის და ადამიანები მეტ ელექტროენერგიას მოიხმარენ. ეს კი ჩვენს მოქალაქეებს მძიმე ტვირთად აწვებათ. ამიტომ, ჩვენ, უგულავას მივმართავთ, რომ გადაიხედოს აღნიშნული გადაწყვეტილება. ამ ეტაპზე შეჩერდეს და შემდეგ სამართლიანი გაანგარიშებით მოხდეს გადსახადის დაწესება. სოციალურად გამართული სისტემა უნდა დავნერგოთ და არა ის, რაც მიიღო უგულავამ და დაამკვიდრა საკრებულომ მისი თაოსნობით. არაადეკვატურია, დენის ტარიფს ნაგვის გადსახადი რომ მიაბა. ეს სრულიად გაუგებარი და მიუღებელია. ეს სისტემა პირდაპირ ძარცვავს მოქალაქეებს. განსაკუთრებით დიდი გადასახადები მიდის მოსახლეობასთან, მძიმე ფონია ისედაც. ადამიანები უმუშევრები არიან. ჩვენი შეთავაზებაა, რომ ამ ეტაპზე მოხდეს მისი შეჩერება.

***– რატომ იქნა თავის დროზე ეს გადაწყვეტილება მიღებული? ხელისუფლებამ ხომ იცოდა, რომ არაპოპულარულ ნაბიჯს დგამდა? თუ ეს იყო ფინანსების მობილიზების გზა?***

– რა თქმა უნდა, ეს არის თავიდან ბოლომდე მოსახლეობიდან ფულის ამოღების, ფულის მობილიზების გზა. რაც შეიძლება მეტი ფული ამოიღონ მოქალაქეების ჯიბეებიდან. ძალინ დიდ ეჭვს ბადებს, შემდეგ სად მიდის ეს თანხები. როგორ იხარჯება. მე საკრებულოს დეპუტატი ვარ და არაერთხელ დამიწერია წერილი, მიმიმართავს მერიისთვის კითხვით, რომ გამარკვიონ, როგორ იხარჯება ეს თანხები? პრიორიტეტები რა არის, მაგრამ პასუხს არ იძლევიან. ეს არის ძალიან ცუდი ტრადიაცია, რომელიც დედაქალაქის მერმა დანერგა. პასუხების არგაცემა, იგნორირება ეს ძალიან ცუდია, რადგან ეს შემდეგ ძალიან დიდ ეჭვს იწვევს. აქედან გამომდინარე პროტესტიც მეტია. რაც შეეხება ამ გადაწყვეტილებას, რომელიც იქნა მიღებული, ცხადია, სწორედ იმიტომ იქნა მიღებული, რომ რაც შეიძლება მეტი ფული ამოიღოს ხელისუფლებამ მოქალაქეებიდან. ჩვენ არ ვიცით, ეს თანხები სად მიდის. მაშინ გაუზარდონ ხელფასები, მაგალითად, მეეზოვეებს. ადამიანებს, რომლებიც 24 საათი მუშაობენ. არც სოციალური გარანტიები არ აქვთ ამ ადამიანებს. თუ ჩვენ გვართმევენ ფულს, მაშინ ამ ადამიანებს, რომლებიც მძიმე შრომას ეწვიან მათ მაინც მოახმარონ. ამ სფეროში არიან დასაქმებული და ჩვენი დედაქალაქის სისუფთავეზე ზრუნავენ, რაც დასაფასებელია. თვითონ კი ზიან თბილ კაბინეტებში, ათასობით ლარი აქვთ ხელფასი და კიდევ პრემიები. იქნებ შეეცოდოს თანამოქალაქეები უგულავას და გულისხმიერება გამოხატოს ადამიანების მიმართ. ძალიან მარტივია წინადადებით შემოვიდეს საკრებულოში, ნებისმიერ დღეს შეიძლება საკრებულოს სხდომის მოწვევა და ამ გადაწყვეტილების გადახედვა. ჩვენ ვამბობთ, რომ დროებით შეაჩეროს.

***– რატომ დროებით?***

– ამ პერიოდში ჩვენ, ბევრად უფრო ობიექტურ და სამართლიან გადაწყვეტილებას შევიმუშავებთ. დედაქალაქის საკრებულომ თბილისელების ინტერესებიდან გამომდინარე უნდა მიიღოს გადაწყვეტილება და არა უგულავასა და სააკაშვილის ინტერესებიდან გამომდინარე.

***– რამდენად გჯერათ, რომ მიიღებს ამ გადაწყვეტილებას ხელისუფლება, თუმცა კარგი პერიოდი გაქვთ შერჩეული, წინსაარჩევნო პერიოდს ვგულისხმობ...***

– ჩვენ არ ვართ ილუზიებში, მაგრამ ამ შემთხვევაში არა პოპულისტურად, არამედ მართლაც ობიექტურად მივმართავთ გიგი უგულავას. ადამინებს მართლაც უჭირთ გადახდა და იქნებ დავეხმაროთ და გადაწყვეტილება შევცვალოთ, ისევ ხალხის ინტერესებიდან გამომდინარე.


ზურაბ აბაშიძე

თუ არ აინტერესებთ ადამინების ყოფა, ეს ცხადია მათთვის არის უარესი და ამ შედეგს ისინი არჩევნებზე დაინახავენ. ასეთი გადაწყვეტილებები თავად ხელისუფლებას ამძიმებს. ვიცი, რომ არ ამხოლოდ ეს გადაწყვეტილება, არამედ ბევრი რამე შეიცვლება ქვეყანაში და ამაში დარწმუნებული ვარ.

***– თქვენ ამბობთ, რომ კომუნიკაცია ვერ შედგა დედაქალაქის მერთან დღემდე...***

– ვერ შედგა, რადგან ძალიან ჩაკეტილი უწყებაა. შეიძლება ითქვას, რომ დღეს ყველაზე ხელმიუწვდომელი უწყება დედაქალაქის მერიაა. ეს მხოლოდ ჩემი ინფორმაცია არ არის, ეს არის არსამთავრობო ორგანიზაციების კვლევის შედეგად ადაგენილი ფაქტი.

***– რატომ, როგორ ფიქრობთ?***

– ასეთია მათი მართვის მეთოდი. საკრებულოს დეპუტატს ინფორმაციას არ აწვდიან, საჭიროდაც არ თვლიან, ზედმეტად მიაჩნიათ. ეს არ არის ჩემი პერსონალური შეკითხვები, ეს ათასობით ადამინის შეკითხვებია, რომელზეც ისინი პასუხებს ითხოვენ. ეს მდგომარეობა სავალალოა და ყველანაირად აზიანებს მოქალაქეების ინტერესს. ჩვენ აქედან გამომდინარე ვსაუბრობთ.

## მიხეილ სააკაშვილმა თეთრი წყაროს მრავალპროფილური საავადმყოფო დაათვალიერა



საქართველოს პრეზიდენტმა ჰოსპიტალური სექტორის განვითარების პროექტის ფარგლებში აშენებული თეთრი წყაროს მრავალპროფილური საავადმყოფო დაათვალიერა. მიხეილ სააკაშვილმა კლინიკაში ახალშობილები მოინახულა და მათ საჩუქრებიც მიუტანა. იგი საავადმყოფოში არსებული პირობებით დაინტერესდა და მედპერსონალს გაესაუბრა.

ქვეყნის პირველმა პირმა ყურადღება დაზღვევის მნიშვნელობაზე გაამახვილა და აღნიშნა, რომ სადაზღვევო სისტემა საქართველოში სწარფად უნდა განვითარდეს, რათა დაზღვევის გარეშე არც ერთი ადამიანი არ დარჩეს.

ოფიციალური ინფორმაციით, ახალ ჰოსპიტალში ადგილობრივ მცხოვრებლებს თანამედროვე სტანდარტების შესაბამის მომსახურებას 100-მდე კვალიფიციური სპეციალისტი გაუწევს. კლინიკაში ინტეგრირებულია ამბულატორიული, სტაციონარული, სამშობიარო და სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბლოკები. თეთი წყაროს საავადმყოფო 15 საწოლზეა გათვლილი და სადაზღვევო კომპანია „ირაომ“ 1 მილიონ ხუთასი ათასი ლარის ინვესტიცია განახორციელა.

მედიანიუსი

## თელავში სახალხო მკურნალი დააკავეს

ე.წ. სახალხო მკურნალ დომენტი გაგნიძის მიმართ სისხლის სამართლის საქე სამი მუხლით აღიძრა, მას აღკვეთი ღონისძიების სახით უკვე შეეფარდა გირაო. ტელეკომპანია „იმედის“ ინფორმაციით, დომენტი გაგნიძეს ათობით პაციენტი თაღლითობაში ადანაშაულებს. საქმე ეხება გაყალბებულ დოკუმენტებს, რომლითაც დომენტი გაგნიძემ „დომენოლისა“ და „გაგენოლის“ წარმოების ლიცენზია მიიღო.

როგორც გამოძიებით დადგინდა გაგნიძემ გააყალბა მორფოლოგიის ინსტიტუტუს დასკვნა რომელიც წარადგინა ჯანდაცვის სამინისტროში. სწორედ ამ დასკვნის საფუძველზე 2009 წელს მან მიიღო ლიცენზია და მთელი ამ პერიოდის განმავლობაში აწარმოებდა წამლებს. სამართალდამცავებმა უკვე ჩაატარეს ჩხრეკა დომენტი გაგნიძის სახლში, სადაც ის წამლებს აწარმოებდა.

დომენტი გაგნიძე მთელი ამ პერიოდის განმავლობაში ასაიდუმლოებდა წამლის რეცეპტს და ამბობდა, რომ მან წამლის რეცეპტი სიზმარში ნახა, რის მიხედვითაც აგროვებდა ბალახებს და აკეთებდა პრეპარატებს. სამართალდამცავების ინფორმაციით, გაგნიძის სახლში პრეპარატები ანტისანიტარიაში მზადდებოდა. ასევე, მისი სახლიდან ამოღებულია დიდ ოდენობის თანხა.

„საექიმო, ფარმაცევტული და სამეწარმეო საქმაინობის და ყალბი დოკუმენტების დამზადება, გამოყენების ფაქტებზე საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურში დაიწყო გამოძიება შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „დომენტი გაგნიძის სამკურნალო ცენტრის“ ხელმძღვანელ ე.წ. სახალხო მკურნალ დომენტი გაგნიძის მიმართ. გამოძიების ამ ეტაპზე დომენტი გაგნიძეს წარედგინა ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 192 246 და 362 მუხლებით და შრჩეული აქვს აღკვეთი ღონისძიება – გირაო „, – განაცხადა საგამოძიებო სამსახურის უფროსის მოადგილე მამუკა გიგილაშვილმა.

მედიანიუსი

## ლეიბორისტებმა 112-ის მომსახურების გადასახადის გაუქმების მოთხოვნით სარჩელი შეიტანეს

ლეიბორისტულმა პარტიამ 112-ის მომსახურების გადასახადის გაუქმების მოთხოვნით დღეს თბილისის საქალაქო სასამართლოში სარჩელი შეიტანა.

როგორც „მედიანიუსს“ ლეიბორისტული პარტიის აღმასრულებელმა მდივანმა პაატა ჯიბლაძემ განუცხადა, 27 დეკემბერს საქართველოს მთავრობამ მიიღო აბსოლუტურად ანტიკონსტიტუციური გადაწყვეტილება, რომელსაც ლეიბორისტებმა „ვანო მერაბიშვილის ხარკი“ დაარქვეს.

„დადგენილება ითვალისწინებს, რომ სამსახურ 112-ის მომსახურების სანაცვლოდ, მიუხედავად იმისა, ისარგებლებენ თუ არა ამ სამსახურის მომსახურებით აბონენტები, ფიზიკური პირებს 20 თეთრი, ხოლო იურიდული პირებს 50 თეთრი თითოეული სატელეფონო ნომრიდან ჩამოეჭრებათ. ჩვენ ამ დადგენილების გაუქმების მოთხოვნით ჯერ საქართველოს მთავრობას მივმართეთ, რადგან პროცესუალურად ასე იყო განსაზღვრული, თუმცა მათ უარი გვითხრეს ამ გადაწყვეტილების გაუქმებაზე და დღეს უკვე საქალაქო სასამართლოში შევიტანეთ სარჩელი ამ ანტიკონსტიტუციური, ვანო მერაბიშვილის ხარკის გაუქმების მოთხოვნით“, – აღნიშნა ჯიბლაძემ.

მისი თქმით, ერთ ოჯახში ხუთი-ექვსი მობილური ტელეფონია და სულ ყველას ეჭრება ეს თანხა, რაც საკუთარი მოსახლეობის ძარცვაა.

მედიანიუსი

## ივანიშვილის მეუღლეს სამართლებრივი არჩევნის გაკეთება მოუწევს

ბიძინა ივანიშვილის მეუღლე ეკატერინა ხვედელიძეს ტელეკომპანია „იგრიკას“ აქციების მფლობელობასა და პოლიტიკური პარტიის თავმჯდომარეობას შორის სავარაუდოდ, არჩევენის გაკეთება მოუწევს.


ზაქარია ქუცნაშვილი

როგორც გუშინ სასტუმრო „თბილისი-მარიოტში“ გამართულ პრესკონფერენციაზე აღინიშნა, კანონმდებლობის მიხედვით, პარტიის ლიდერს ტელეკომპანიის ფლობის უფლება არ აქვს.

– ჩვენ კანონი არ დაგვირღვევია და ამას არც მომავალში ვგეგმავთ. შესაბამისად, გადაწყვეტილება, რომელიც მიღებული იქნება ჩართულობის თაობაზე, მოქმედების ტაქტიკასაც გვიკარნახებს. კანონს არ დავარღვევთ. სავარაუდოდ, სამართლებრივი არჩევანის გაკეთება მოგვიწევს, – განაცხადა ბიძინა ივანიშვილის ადვოკატმა ზაქარია ქუცნაშვილმა.

მედიანიუსი

## ცხინვალში ჯიოევას შტაბზე „ომონმა“ იერიში მიიტანა



გუშინ ცხინვალში ე.წ. „ომონისა“ და დე-ფაქტო უშიშროების კომიტეტის თანამშრომლებმა ოპოზიციის ლიდერის, ალა ჯიოევას შტაბი შტურმით აიღეს, რომელიც ინაუგურაციისთვის ემზადება, – ამის შესახებ „გაზეტა.რუ“ იუწყება.

ჯიოევას შტაბის ერთ-ერთი წევრის, ელინა მარზოევას ინფორმაციით, შტაბის შტურმის დროს „ომონთან“ ერთად სამოქალაქო ფორმაში ჩაცმული უამრავი ადამიანი იმყოფებოდა. მისი ცნობით, აღნიშნულის შედეგად ჯიოევა შეუძლოდ გახდა.

ინტერპრესნიუსი

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ახალ პარლამენტში მხოლოდ „ქართული ოცნება“ და ნაციონალები შევლენ

## რას ემსახურებოდა ბოლო პერიოდში გამოქვეყნებული რეიტინგები

**არასამთავრობო ორგანიზაცია „ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური სახლის“ დამფუძნებელი ნესტან კირთაძე აუცილებლობად მიიჩნევს, პოლიტიკურმა პარტიებმა, რომლებიც ივანიშვილის გვერდით იკრიბებიან, საზოგადოებას განუმარტონ, ეს საარჩევნო პოლიტიკური პროცესია თუ პოლიტიკური ბრძოლაა.**

შორენა კოწოწაშვილი

– უცნაურია, მაგრამ დღეს ოპოზიციური პარტიებისთვის ფინანსების კანონიერად გადაცემისა და კანონიერად ხარჯვის უფლებაზე უფრო მეტს ვლაპარაკობთ, ვიდრე იმაზე, რაც მთავარია, ანუ ხალხი აიყოლიეს ამ თამაშში, მიეცით ოპოზიციურ პარტიებს მილიონები, თორემ ქვეყანა დაიღუპებაო. ეს არის პოლიტტექნოლოგიების კიდევ ერთი ფანდი. ფული საჭირო არგუმენტია არჩევნებისთვის, მაგრამ, ისიც ყველამ ვიცით, რომ არჩევნებამდე ერთი კვირით ადრეც კი ფულის ხარჯვა წყალში გადაყრილი თანხებია, თუ ეს ხარჯვა სისტემურად არ განხორციელდა. მაგრამ გადავირიე უკვე, ხომ არ შეიძლება, ყოველდღე მდიდარი და მშიერი ადამიანიც ერთნაირად იკანრავდეს ლოყებს, რატომ არ ეძლევა შესაძლებლობა ერთ-ერთ პოლიტიკურ პარტიას, ნებისმიერს, რა მნიშვნელობა აქვს, რომელს, რომ გადაერიცხოს მილიონები. ჯერჯერობით ამ ფლანგს ვერ გაურკვევია, რა პროცესია ეს. გაახაროს ღმერთმა ბიძინა ივანიშვილი, მან ქართულ პოლიტიკაში სრული სტაგნაცია, სრული ჭაობი და შეთანხმებულ-შეჭიკჭიკებული მდგომარეობა დაანგრია, დაშალა და სტაგნაციიდან ეს ვითარება პოლიტიკურ პროცესში გადაიყვანა, – განაცხადა ნესტან კირთაძემ. მისი თქმით, ამ ბოლო თვეების მონაპოვარი ის არის, რომ საქართველოში პოლიტიკური პროცესი მიდის.

რაც შეეხება იმას, ეს პოლიტიკური პროცესი ბრძოლაა თუ საარჩევნო პოლიტიკური პროცესია, როგორც კირთაძე მიუთითებს: „თუ ეს პოლიტიკური ბრძოლაა, მაშინ სხვა შინაარსის არის და გარდაუვლად ითხოვს ხელისუფლების შეცვლას, ხოლო თუ ეს მხოლოდ საარჩევნო ბრძოლაა, მაშინ იცოდეს ამ ხალხმა, რომ ეს არის საარჩევნო პოლიტიკური პროცესი, სადაც იქნება რამდენიმე პოლიტიკური სუბიექტი და 50/50-ზე პრინციპით ან გავიმარჯვებთ, ან დავმარცხდებით“.

გთავაზობთ ინტერვიუს **ნესტან კირთაძესთან.**

***– რაზე მიანიშნებთ, ქალბატონო ნესტან, ივანიშვილის ფლანგმა თავისი ნაბიჯების სწორი ფორმულირება ვერ შესთავაზა საზოგადოებას?***

– ივანიშვილმა თქვა ასეთი ფრაზა: დღეს საქართველოში ივანიშვილის გვარზე ხდება სწორებაო. რადგან მან ეს ფრაზა თქვა, ზუსტად იცის, რა მოლოდინები აქვს საქართველოს მოსახლეობას მისი, როგორც ამჯერად პოლიტიკური პერსონის მიმართ. პროცესი, რომელიც მან წამოიწყო და ამას ჰქვია პოლიტიკური პროცესი, მას აქვს თავისი აღფრთოვანება, თავისი მოლოდინები და თავისი იმედგაცრუება. მაგრამ ეს არის პროცესი. თუმცა, რადგან ივანიშვილმა ეს ფრაზა თქვა, რაც მერე ნაცმოძრაობამ კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა, მან თქვა ზუსტი სიგნალი, რომ მე ზუსტად ვიცი ჩემი პასუხისმგებლობა ქართველი ხალხის წინაშე. ამიტომაც მე, როგორც ამ ქვეყნის მოქალაქე, ამ ვითარებას ვხედავ, როგორც პროცესს. მე ჩემი სუბიექტური დამოკიდებულება მაქვს ყველა პროცესის მიმართ. ჯერ ეს პროცესი მხოლოდ რაღაც ტიპის ტექნოლოგიურ სვლებს აკეთებს. საბოლოოდ, როგორ განვითარდება ეს პროცესი, უკვე ივანიშვილის, მისი მხარდამჭერების, ამ პოლიტიკური სუბიექტების ურთიერთმოლოდინებისა და ურთიერთპასუხისმგებლობის საკითხია.

***– თქვენი გათვლებით, დაახლოებით რა შედეგები დაიდება ოქტომბერში დაგეგმილ საპარლამენტო არჩევნებზე, არსებული წინაპირობიდან გამომდინარე?***



ნესტან კირთაძე

– ამ ცოტა ხნის წინ უკანასკნელი რეიტინგები ამიფრიალეს კომენტრისათვის, სადაც ადგილებია გადანაწილებული 65% ნაციონალური მოძრაობა; 25% – ბიძინა ივანიშვილი და დანარჩენ პოლიტიკურ პარტიებს პულსი, უბრალოდ, აღარ ესინჯებათ, ანუ ამ რეიტინგების მიხედვით, ცოცხალთა შორის აღარ არიან. რეიტინგებისადმი ჩემი დამოკიდებულება ყოველთვის სკეპტიკურია, იმიტომ რომ რეიტინგები ყოველთვის აჩენს კითხვებს – ვინ შეუკვეთა, ვინ დააფინანსა, რა შედეგზე იყო გამიზნული და ა.შ. ამიტომაც ჩემთვის რეიტინგი ყოველთვის არის სიგნალი იმისა, რა უნდა ხელისუფლებას. მაგრამ ჩემთვის თუნდაც ეს უკანასკნელი რეიტინგი არის სიგნალი იმისა, რომ ამ რეიტინგმა სარკეში ჩაახედოს საქართველოს მოსახლეობა და უთხრას, შენი ხვალინდელი დღე იქნება ასეთიო, არა იმისათვის, რომ რომელიმე პოლიტიკური პარტია ახლა რაღაცნაირად ამოქოქავს თავის შესაძლებლობებს და ფინიშამდე ასე გავა. მე პირდაპირ გეტყვით, რომ ძირითადი პოლიტიკური სუბიექტები, რომლებიც დღეს არიან, ძირითადი პოლიტიკური ცენტრები, რომლებიც არიან დღეს, ეს არის სახელისუფლებო „ნაციონალური მოძრაობა“ და ეს არის ბიძინა ივანიშვილი და მისი მოძრაობა „ქართული ოცნება“. აი, ამ ორ პოლიტიკურ ძალას შორის გადანაწილდება საპარლამენტო მანდატები. რა პროპორციით, როგორი წინასწარმეტყველიც არ უნდა იყოს რომელიმე ჩვენგანი და წინასწარ იცოდეს ციფრები, არ უნდა თქვას. მან ხალხს უნდა უთხრას, რომ ეს წინასწარ კი არ იცის ვინმემ, არამედ ეს შენ იცი და შენი მოსაპოვებელია. ეს შენი გასაკეთებელია და შენ უნდა შეცვალო საქართველოში რეალური სიტუაცია. ვინც ამას საქართველოს მოქალაქეებს არ ეტყვის, ყოველდღე სათითაოდ არ გამოიყვანს სახლებიდან და სათითაოდ არ ჩამოიყვანს უცხოეთიდან, ყველაფერს არ გააკეთებს იმისათვის უცხოეთის ოფისებში, რომ ხელისუფლების მხარდამჭერი ემიგრანტები კი არ მივიდნენ მხოლოდ საკონსულოში, არამედ ყველას მიეცეს შესაძლებლობა, რომ მივიდეს და თავისი ნება გამოხატოს იქაც და მისი ხმები აქ არავინ გამოიყენოს, მანამ, რასაკვირველია, ჩვენ აქ რეალურ ცვლილებებზე ლაპარაკი ვერ გვექნება.

***– იქნება თუ არა მესამე პოლიტიკური ცენტრი? ამაზე ბოლო დროს ბევრს საუბრობენ.***

– იქნება მესამე პოლიტიკური ცენტრი.

***– ეს ცენტრი რუსული ინტერესების გამტარებელი იქნება?***

– არა. ეს იქნება ყველას ინტერესებით განპირობებული. ინტერესი ხელისუფლებისა, რომელიც ფიქრობს ასეთ გათვლაზე, რომ ხმების დარჩენილი 20-25%, რომელიც შეიძლება არავინ მიიღოს, გადანაწილდეს რამდენიმე პოლიტიკურ პარტიაზე, თან გადანაწილდეს ისე, რომ ბარიერი ვერცერთმა ვერ გადალახოს. არის ეს ინტერესი? არის. აქ თითო მანდატზეც არ არის ლაპარაკი. ვიღაც ერთ პროცენტს აიღებს, ვიღაც – 4%, მაგრამ ბარიერს ვერცერთი ვერ გადალახავს, მაგრამ 20-25% ბალანსში დაჯდება გამარჯვებული სუბიექტების სასარგებლოდ. ეს არის იმ პოლიტიკური პარტიების ინტერესში, რომლებიც ვერ მოხვდებიან ვერც ერთ ფლანგში. მაგრამ არიან თავიანთი გადაწყვეტილებებით და თვლიან, რომ ისინი არიან რეალური სიდიდის, რეალური ავტორიტეტის, სათანადო რეალური ელექტორატის მქონენი და აუცილებლად უნდა გავიდნენ არჩევნებში. არის ეს არგუმენტი. მათ აქვთ თავიანთი ავტორიტეტი. ასე რომ, ეს ის შემთხვევა იქნება, როდესაც ყველას ინტერესი ერთმანეთს დაემთხვევა. მაგრამ მთავარი ინტერესი – ვიმეორებ, ლაპარაკია დარჩენილი ხმების 20-25%-ზე, რომლებმაც საბოლოოდ ხმების ბალანსი უნდა დასვას, უნდა გამოკვეთოს, სად წავიდა ეს ხმები, რომლებიც ორ ძირითად სუბიექტს შორის ვერ მოხვდნენ.

***– ანუ მესამე პოლიტიკურ ძალას არჩევნებში გამარჯვების არანაირი შანსი არა აქვს?***

– რა თქმა უნდა, მესამე პოლიტიკურ ძალას გამარჯვების არანაირი შანსი არა აქვს, მე ვლაპარაკობ პოლიტიკურ გამარჯვებაზე, მაგრამ ბარიერის გადალახვის შანსი აქვს. ბარიერის გადალახვის შანსიც აქვს 50/50-ზე ან სულაც შეიძლება ვერც გადალახოს. ამას განაპირობებს, როგორი იქნება პოლიტიკური კონტექსტი. ამას გარდა, უამრავი სხვა რამ დაითვლება, როგორც ხდება ხოლმე, გარდა ხმებისა. ასე რომ, შანსები ცალკე დარჩენილი პოლიტიკური ძალებისა არარეალურია, ფაქტობრივად, ღიმილის მომგვრელია. ჩვენი საუბარი ასე დავასრულოთ: ქართველმა ხალხმა უნდა იცოდეს, ვინ იბრძვის გამარჯვებისთვის და ვინ – მანდატებისთვის. ვინც გამარჯვებისთვის იბრძვის, მოსახლეობის თვალი და ყური აქეთ უნდა იყოს მიმართული. ჩვენ უნდა გავმიჯნოთ ერთმანეთისგან პოლიტიკური გამარჯვება, რეალური ცვლილებები ქვეყანაში თუ მანდატებისა და პატივცემული პოლიტიკური გვამების სავარძლების დაკავებისთვის ბრძოლა. ჩვენ ამ კუთხით ძალიან ბევრი უნდა ვილაპარაკოთ და მოსახლეობა გავააქტიუროთ, როგორც შედეგზე რეალურად პასუხისმგებელი.

# ბიძინა ივანიშვილი: „სააკაშვილს ძალიან ცოტა დრო დარჩა!“

## საქართველოში ძალადობის დღე და ძალადობის ომი უნდა დამთავრდეს!

გულიკო ბალაძე



ბიძინა ივანიშვილი

ბიძინა ივანიშვილი კიდევ ერთხელ მოუწოდებს სააკაშვილს, აღადგინოს სამართლიანობა და გამოიძიოს სააკაშვილის ხელისუფლების დროს პოლიციის მიერ ქუჩაში დახვრეტილი ბიჭების ზურა ვაზაგაშვილისა და სხვათა საქმეები, თუმცა, მას ამის იმედი არა აქვს. თუ სააკაშვილი ამას არ გააკეთებს, ბიძინა ივანიშვილი ირწმუნება, რომ ძალიან მალე თვითონ გააკეთებს, როცა ხელისუფლებაში მოვა. ეს განცხადება ბიძინა ივანიშვილმა გუშინ ზურა ვაზაგაშვილის დახვრეტის ადგილზე, კორტებთან, შეკრებილი საზოგადოების წინაშე გააკეთა.

ქართველ საზოგადოებას ზურაბ ვაზაგაშვილი და მის მიმართ განხორციელებული ძალადობა არ დავიწყებია.

გუშინ კორტებთან ზურა ვაზაგაშვილისა ალექსანდრე ხუბულოვის დახვრეტის ადგილზე კიდევ ერთხელ შეიკრიბნენ ადამიანები და უსამართლობას შეწირული ბიჭები გაიხსენეს.

„რომ არა სააკაშვილ-მერაბიშვილის კრიმინალური რეჟიმი, ზურა ვაზაგაშვილს 28 წელი შეუსრულდებოდა!“ – ასეთი პლაკატი იყო გაკრული იმ ადგილზე, სადაც ზურა ვაზაგაშვილი ჩაცხრილეს.

გუშინ ზურაბ ვაზაგაშვილის დაბადების დღე იყო და მის მამას, იური ვაზაგაშვილს, საზოგადოება შვილის დაკარგვას უსამძიმრებდა. აქ იყვნენ პოლიტიკოსები, ისინი, ვინც წლების მანძილზე იბრძოდნენ სააკაშვილის რეჟიმისა და მის მიერ ჩადენილი უკანონობის წინააღმდეგ, ასევე ადამიანები, რომლებიც არ ეგუებიან სააკაშვილის ძალადობრივ პოლიტიკას.

კორტებთან გამართულ აქციაზე მოვიდა ცნობილი მეცენატი და „ქართული ოცნების“ ლიდერი ბიძინა ივანიშვილი, რომელმაც იური ვაზაგაშვილს სამძიმარი გამოუცხადა.

– ძალადობის დღე და ძალადობის ომი უნდა დამთავრდეს. კიდევ ერთხელ მოვუწოდებ სააკაშვილს, რომ ზურა ვაზაგაშვილის საქმე გამოიძიოს რაც შეიძლება სწრაფად, თუ არადა, პირობას გაძლევთ, რომ ჩვენ მოვალთ და ჩვენ აღვადგენთ სამართლიანობას, – განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა.

ბიძინა ივანიშვილს შეკრებილი საზოგადოება ტაშით შეხვდა.

„ქართული ოცნების“ ლიდერის თქმით, სააკაშვილის პოლიტიკა ძალადობრივია. „სააკაშვილის პოლიტიკა არის ძალადობრივი. ერთადერთი კაცი – ეს გახლავთ სააკაშვილი, რომელსაც რამდენიმე შემსრულებელი ჰყავს“.

ძირს ეყარა ამ საქმეში დადანაშაულებულთა გადიდებული ფოტოები და ხალხი ზედ მიდი-მოდიოდა. ბიძინა ივანიშვილი შეჩერდა პორტრეტებთან, მაგრამ მას უთხრეს, რომ ზედ დაედგა ფეხი და გადაევლო, რადგან სწორედ ამ მიზნით იყო ისინი ძირს დაყრილი.

– მინდა, თანაგრძნობა გამოვუცხადო ბატონ იურის, რომელიც სააკაშვილის ძალადობრივი პოლიტიკის მსხვერპლი გახლავთ. ბუტა რობაქიძე, სანდრო გირგვლიანი, ზურა ვაზაგაშვილი... მე მგონი, ზურა იყო ბოლო წვეთი, რომელმაც კარგად აჩვენა სააკაშვილის ძალადობრივი პოლიტიკის შედეგი, – თქვა ბიძინა ივანიშვილმა.

– მთელი საქართველო განიცდის სააკაშვილის ძალადობრივი პოლიტიკის შედეგს. მინდა, სააკაშვილს შევახსენო, რომ ამ პოლიტიკას არა აქვს გზა. ის ვერ მიაღწევს, რომ მთელი საქართველო ციხეში ამყოფოს. ის ვერ მოახერხებს, ძალადობის ქვეშ ამყოფოს მთელი საქართველო.

ვურჩევ სააკაშვილს, სასწრაფოდ დაიწყოს გამოძიება, სასწრაფოდ დაუბრუნოს ბატონ იურის სამართლიანობის გრძნობა, აღადგინოს სამართლიანობა, დაისაჯონ კონკრეტული მონაწილეები და დამკვეთები, ვინც ამ მკვლელობაში მიიღო მონაწილეობა, – მოუწოდებს ბიძინა ივანიშვილი სააკაშვილს, თუმცა, იქვე მიუთითებს, რომ თუ სააკაშვილი დღეს ამას არ გააკეთებს, შემდგომში თვითონ აგებს პასუხს ამისთვის.

– და თუ დღეს სააკაშვილი ამას ვერ შეძლებს, აუცილებლად გავაკეთებთ ჩვენ. აუცილებლად აღვადგენთ საქართველოში სამართლიანობას, – ჰპირდება „ქართული ოცნების“ ლიდერი საზოგადოებასა და იური ვაზაგაშვილს, – ყოველი დღე, ყოველი წუთი ბატონი იურისთვის არის განცდისა და მოლოდინის წუთი. კიდევ ერთხელ მივმართავ სააკაშვილს, მას შეუძლია, ეს მოახერხოს – ხვალიდანვე დაიწყოს გამოძიება. დიდი იმედი არა მაქვს, რომ სააკაშვილი ამას შეძლებს, თუმცა, მაინც მინდა შევახსენო, რომ ძალიან ცოტა დრო დარჩა. მისთვის ეს საუკეთესო გამოსავალია, ხოლო ჩვენი თანამოქალაქეებისთვის დიდი შეღავათი იქნება, რაც შეიძლება მალე დაიწყოს სამართლიანობის აღდგენის პროცესი.

ბიძინა ივანიშვილი სააკაშვილს ჰპირდება, რომ თუ ის არ გამოიძიებს ქუჩაში დახვრეტილი ბიჭების საქმეებს, უფრო მკაცრად დაისჯება.

– რასაც თქვენ ვერ მოახერხებთ დღეს და ხვალ, ჩვენ მოვახერხებთ გვიან, მაგრამ თქვენ დაისჯებით უფრო მკაცრად. კარგად მესმის ჩვენი საზოგადოების, ზეწოლას განიცდის პრაქტიკულად თითოეული ქართველი მოქალაქე, – ამბობს იგი.

ბიძინა ივანიშვილი ხალხს სთხოვს, ყველა პოლიციელი დამნაშავედ არ მიიჩნიოს, რადგან ბევრი კარგი პოლიციელი გვყავს. სააკაშვილს 50-მდე პოლიციელი ემსახურება, რომელიც ყველაფერს უსრულებს.

– მათ თვალებში ამოვიკითხე, რომ მათაც აქვთ მსგავსი განცდა, რაც ჩვენ. არ მინდა, საზოგადოებაში გაჩნდეს ისეთი განცდა, რომ ყველა პოლიციელი დამნაშავეა იმ პროცესებში, რომლებიც დღეს საქართველოში მიმდინარეობს. ჩვენ გვყავს ძალიან კარგი ბევრი პოლიციელი, ძალიან ბევრი კარგი თანამშრომელი. სულ რამდენიმე ათეული კაცია – სულ 50 თანამშრომელია პოლიციაში, რომელიც ნებისმიერ ბრძანებას ასრულებს. არ მინდა, ეს საზოგადოებამ მთლიანად პოლიციაზე გაავრცელოს. იქ ძალიან ბევრი ღირსეული მოქალაქეა. მათ დიდი სურვილი აქვთ, დაიცვან ჩვენი უფლებები. სააკაშვილის ძალადობრივ პოლიტიკას რამდენიმე შემსრულებელი ჰყავს. ძალიან გთხოვთ, კარგად გამიგოთ და ეს არ გავრცელდეს მთლიანად ჩვენს პოლიციაზე, სადაც ასიათასობით ქართველი იცავს ჩვენს მოქალაქეებს საქართველოში ძალადობის დღე და ძალადობის ომი უნდა დამთავრდეს! – ასეთია ბიძინა ივანიშვილის აზრი.

აქციაზე საზოგადოებას სიტყვით მიმართეს და დაღუპული ზურა ვაზაგაშვილის ოჯახს თანაგრძნობა გამოუცხადეს ჯაბა ჯიშკარიანმა, ზაზა ხატიაშვილმა, გოგა ხაინდრავამ, ზვიად ძიძიგურმა, სოზარ სუბარმა და სხვებმა.

# „თავისუფალი დემოკრატების“ შემოსავლებმა 2011 წელს 1 323 592,32 ლარი შეადგინა

„ჩვენი საქართველო – თავისუფალი დემოკრატების“ შემოსავლებმა 2011 წელს 1 323 592,32 ლარი შეადგინა. ამის შესახებ კონტროლის პალატის ვებ-გვერდზე განთავსებულ ფინანსურ ანგარიშშია საუბარი. ანგარიშის თანახმად, ირაკლი ალასანიას პარტიამ სახელმწიფო ბიუჯეტიდან შარშან 13 3702,56 ლარის დაფინანსება მიიღო, ხოლო საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრიდან – 48 131,76 ლარის.

პარტიამ 2011 წელს შემოწირულობების სახით 1 110 500 ლარი მიიღო, მათ შორის 10 500 ლარი ფიზიკური პირებისგან, ხოლო 1 100 000 ლარი იურიდიული პირებისგან. ხარჯების სახით „თავისუფალმა დემოკრატებმა“ გასულ წელს 650 803 ლარი გაიღეს.

„წარმოდგენილი წლიური საფინანსო დეკლარაცია და ანგარიში შემოწირულობების შესახებ სამართლიანად და უტყუარად ასახავს ორგანიზაციის მიერ საანგარიშგებო წლის მანძილზე მიღებულ შემოსავლებსა და ხარჯებს“, – ნათქვამია პარტიის აუდიტორულ დასკვნაში.

ინტერპრესნიუსი

2012, 10 თებერვალი №34

# ალექსანდრე ანქვაბი: „ევროკავშირი ცხოვრებას ნუ გვასწავლის!“

თეა მარხვაიძე

ადრე ანქვაბს ფეხბურთის სიყვარული აშკარად არასდროს გამოუმჟღავნებია, ახლა კი ისე გადაირია, მზადაა, აფხაზეთი მინი-ფეხბურთის მოედნებით მოფინოს.

„აპსნიპრესის“ ცნობით, მან რუსული კომპანიის წარმომადგენელი მიიღო. ეს რუსული კომპანია ხელოვნური ბალახის მწარმოებელია და, როგორც ანქვაბი ამტკიცებს, ამ ფირმის ნაწარმოებ ბალახზე რუსეთის უმაღლეს ლიგაში მოასპარეზე გუნდებიც აგორებენ ბურთს. ეს ბალახი ანქვაბს ახალი სტადიონებისთვის უნდა.

ანქვაბის მტკიცებით, მიმდინარე წელს აფხაზეთში მინი-ფეხბურთის 50 სტადიონი აშენდება. ადგილობრივი ოპოზიცია ამტკიცებს, რომ ამით აფხაზთა პრეზიდენტს ამომრჩევლის გულის მოგება სურს.

ამომრჩევლის გულის მოსაგებად მან ევროკავშირთანაც „გაამწვავა“ ურთიერთობა. მოგეხსენებათ, რომ საქართველოში ევროკავშირის ელჩი ფილიპ დიმიტროვი აფხაზეთს სტუმრობდა. სოხუმში სტუმრად მყოფი დიპლომატი ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს და მათ შორის ანქვაბსაც შეხვდა.

ანქვაბმა ევროკავშირის წარმომადგენელთან შეხვედრის დროს ამბიციური განცხადება გააკეთა.

– აფხაზეთი ევროკავშირთან თანასწორი და ცივილზებული ურთიერთობების მომხრეა, – განუცხადა ევროკავშირის დესპანს აფხაზთა თავკაცმა.

ამ ეტაპზე კი ანქვაბი ევროკავშირისა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების ქმედებებითა და განცხადებებით უკმაყოფილოა.

ცოტა ხნის წინ ის საერთაშორისო ორგანიზაციებს დაემუქრა კიდევაც. მან პირობა დადო, რომ თუ არაფერი შეიცვლებოდა, ის საერთაშორისო ორგანიზაციებს აფხაზეთში არ გააჭაჭანებდა.



ალექსანდრე ანქვაბი

როგორც ჩანს, არგასაჭაჭანებელთა სიაში დიმიტროვი და ევროკავშირი ჯერ არ შეუყვანიათ. ამის მიუხედავად, პრეზიდენტი მათი რჩევებით უკმაყოფილოა.

– საერთაშორისო დიპლომატიის ბრწყინვალე იდეებით შეიძლება, დაბრმავდე, თუმცა, ისინი აფხაზეთს ნაკლებად შეეფერება. თხოვნაა, ცხოვრებას ნუ გვასწავლით. ჩვენ თანასწორი და ცივილიზებული ურთიერთობების მომხრე ვართ, – განაცხადა ანქვაბმა.

დიმიტროვთან შეხვედრისას ანქვაბმა ევროპელი დიპლომატების მიმართ უკმაყოფილება რამდენიმე მიზეზის გამო გამოხატა.

– დავიღალეთ მსგავსი დიპლომატიური მანერებით. თუ ასე გაგრძელდება, დიალოგს აზრი არა აქვს. ევროპელი დიპლომატები აფხაზეთის ისტორიას ცუდად იცნობენ.

ჩინოვნიკები მოდიან და მიდიან, საზოგადოება კი რჩება. ჩვენ ჩვენი დამოუკიდებლობით არ ვვაჭრობთ, – განაცხადა აფხაზთა პრეზიდენტმა.

„ექსპერტთა კლუბში“ თვლიან, რომ აღნიშნული განცხადებები ანქვაბის მხრიდან საკუთარი ელექტორატის მიმართ იქნა გაჟღერებული. როგორც ცნობილია, 10 მარტს აფხაზეთში უნდა ჩატარდეს მარიონეტული პარლამენტის არჩევნები და ამ ფონზე ანქვაბს მიეცა კარგი საშუალება, კიდევ ერთხელ დააფიქსიროს თავისი „დამოუკიდებლობა“.

მათი თქმით, ანქვაბს არ შეიძლება არ ესმოდეს, რომ საერთაშორისო დიპლომატიის ერთნაირი ტონი და ტექსტი განპირობებულია იმით, რომ მთელი საერთაშორისო დიპლომატია და საზოგადოება ერთნაირად აფასებს იმ პროცესებს, რომელსაც რუსეთი ახორციელებს საქართველოს ტერიტორიაზე და მას ოკუპაციად მიიჩნევს, ხოლო აფხაზ ხალხს – საქართველოს შემადგენელ ნაწილად. ეს ყველაფერი კი არაერთ რეზოლუციასა და დადგენილებაშია დაფიქსირებული.

– აქედან გამომდინარე, რაც არ უნდა იძახოს ანქვაბმა „ჰალვა, ჰალვაო“, პირში არ გატკბილდება და რუსეთის შემყურე სოფელს ვერ ააშენებს, ხოლო პიარ-რიტორიკა, რომელიც აფხაზურ მასაზეა გათვლილი, საერთაშორისო გეოპოლიტიკას ვერანაირად ვერ შეცვლის, – აცხადებს „ექსპერტთა კლუბის“ წარმომადგენელი ირაკლი ცქიტიშვილი.

სოხუმში ვიზიტად მყოფ დიმიტროვს პრეტენზიების მოსმენა ჩირიკბასგანაც მოუხდა. ეს კაცი აფხაზეთის საგარეო საქმეთა მინისტრია და, შესაბამისად, აფხაზური დიპლომატიის მამაა.

აფხაზური დიპლომატიის მამამ ჩირიკბამ დიმიტროვს ნეიტრალური პასპორტების გამო მოსდო შარი.

– ჩვენ გამოვხატეთ ჩვენი მკვეთრად უარყოფითი დამოკიდებულება ე.წ. ნეიტრალურ პასპორტებთან დაკავშირებით, რომელსაც საქართველო არა მარტო აფხაზეთს, არამედ ევროპასა და მსოფლიოს სხვა ქვეყნებს ახვევს თავს. ჩვენ განვაცხადეთ, რომ ეს ნეიტრალური პასპორტები ჩვენთვის მიუღებელია. უფრო მეტიც, დელეგაციის წევრებს ჩვენ ვაუწყეთ, რომ ვაპირებთ მივმართოთ ევროკავშირის ხელმძღვანელობას, რათა მათ აღიარონ ჩვენი საზღვარგარეთის პასპორტები მსოფლიოს ქვეყნებში სამოგზაუროდ, როგორც ეს გაკეთებულია, მაგალითად, ჩრდილოეთ კვიპროსთან მიმართებით. დიდი ბრიტანეთი, აშშ და სხვა ქვეყნები ჩრდილოეთ კვიპროსის სახელმწიფოებრიობის აღიარების გარეშე ურტყამენ მათ შიდა პასპორტებში ვიზებს, – განაცხადა შეხვედრის დასასრულს ჩირიკბამ.

საინტერესოა ის ფაქტი, რომ რუსეთის საგარეო უწყებამ საქართველოს მიერ აფხაზებისათვის შეთავაზებულ ნეიტრალურ პასპორტებთან დაკავშირებით საკუთარი განცხადება გამოაქვეყნა, რომელიც, ქართველი ექსპერტების თქმით, თავისი შინაარსით ჩირიკბასათვის სამოქმედო ინსტრუქციებს უფრო ჰგავდა.

– ასეთი „დამთხვევები“ იშვიათობას როდი წარმოადგენს, რაც, თავის მხრივ, იმის დადასტურებაა, რომ ოკუპირებულ ტერიტორიებზე ყველა პროცესი, მათ შორის მარიონეტული რეჟიმის მხრიდან საქართველოს მიერ განხილვისათვის შეთავაზებულ ამა თუ იმ წინადადებებზე საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვაც კი მოსკოვიდან იმართება. ამასთან, კრემლი მუდმივად ცდილობს, მაქსიმალურად გააღრმავოს აფხაზებში სიძულვილის გრძნობა ოფიციალური თბილისის ძალისხმევისა და ინიციატივების მიმართ, რომლებიც კონფლიქტის დარეგულირებისკენაა მიმართული, – თვლიან „ექსპერტთა კლუბში“.

# საპატრიარქო აზიზიესა და ახმედის მეჩეთების აღდგენის წინააღმდეგია

**ბათუმსა და ახალციხეში მეჩეთების აშენების შესახებ საქართველოს ხელისუფლებამ თურქეთთან შეთანხმება გააფორმა, რამაც საზოგადოებაში აღშფოთება გამოიწვია. ხელისუფლება მეჩეთების აშენებაში ცუდს ვერაფერს ხედავს, საზოგადოება და საპატრიარქო კი შეშფოთებას გამოხატავენ.**

თეა მარხვაიძე

ამ საკითხთან დაკავშირებით გუშინ საქართველოს საპატრიარქომ საგანგებო განცხადება გაავრცელა და ახალი ინიციატივით გამოვიდა.

„ახალი თაობა“ გთავაზობთ ამ განცხადებას:



– სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის გერმანიაში ყოფნის პერიოდში მასმედიით გახდა ცნობილი, რომ საქართველოს ხელისუფლება აპირებს, თანხმობა მისცეს ბათუმში ე.წ. აზიზიეს მეჩეთის მშენებლობასა და ახალციხეში ახმედის მეჩეთის რესტავრაციას.

საზოგადოებას შევახსენებთ, რომ აღნიშნულ საკითხზე მოლაპარაკებები ორ წელიწადზე მეტია მიმდინარეობს თურქეთისა და საქართველოს სახელმწიფოებს შორის და ეს ხდება საქართველოს კანონმდებლობის (კონსტიტუციური შეთანხმების) უხეში დარღვევით, რადგან საქართველოს საპატრიარქო, რომელიც ყველა ქართული ეკლესია-მონასტრის მესაკუთრეა, არ იყო და არ არის ჩართული ოფიციალურ მოლაპარაკებებში; მიუხედავად ამისა, ჩვენ ჩვენი პრინციპული, მაგრამ, ამავე დროს, კონსტრუქციული პოზიცია ყოველთვის გვქონდა.

ეს პოზიცია დაფიქსირდა თურქეთის პრემიერ-მინისტრის, ბატონი რეჯებ თაიფ ერდოღანისადმი 2011 წელს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მიერ მიწერილ წერილშიც, რომლის პასუხიც, სამწუხაროდ, დღემდე არ მიგვიღია.

კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ, რომ მეტად პრობლემატურია ხელისუფლების სურვილი ბათუმში ახალი მეჩეთ-კომპლექსის მშენებლობის შესახებ, რასაც ძველი მეჩეთის აღდგენად წარმოაჩენენ.

არა აქვს გამართლება იმ პოზიციასაც, თითქოს ეს კეთდება ოშკისა და იშხნის გადარჩენის მიზნით, რადგან, საერთაშორისო სამართლის ნორმებით, მსოფლიო კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის დაცვა თურქეთის სახელმწიფოს პასუხისმგებლობაა. ამიტომაც ხელისუფლებას ამ მიზნით წლების წინ უნდა მიემართა იუნესკოსთვის (რაც არაერთხელ შევახსენეთ) და ეს თემა დღეს განხილვის საგნად არ უნდა ექცია.

მიუხედავად ყოველივე ამისა, ჩვენ წამოვაყენეთ ისეთი წინადადება, რომელიც შესაძლებელს გახდის ქართულ-თურქული ამ მოლაპარაკებების ორმხრივად მისაღები გზით განვითარებას. ამიტომაც იყო, რომ საქართველოში და პირველ რიგში აჭარაში გახსნილი ასობით მეჩეთისა და ჯამეს საპირწონედ ტაოსა და ლაზეთში თითო-თითო ეკლესიის აღდგენა-ამოქმედება და, ამასთან, აღნიშნულ მოლაპარაკებებში საპატრიარქოს ჩართვა შევთავაზეთ.

ჩვენ ვდგამთ კიდევ ერთ ნაბიჯს და ამ ეტაპზე აღარ ვაყენებთ ხახულის ეკლესიის (ტაოს მხარე) ფუნქციონირების საკითხს. ვითხოვთ მხოლოდ უძველეს ქართულ საეპისკოპოსო ქალაქ არდაშენში (ლაზეთის მხარე) მცირე ზომის ბაზილიკის ჩვენი თანხებით აღდგენა-ამოქმედებას (შევნიშნეთ, რომ ამ რეგიონში ქართული სხვა არაერთი გაცილებით დიდი ძეგლია) და ამის შემდეგ თურქეთსა და საქართველოში მეჩეთებისა და ტაძრების რესტავრაციაზე საუბარს ჩვენი მონაწილეობით, ხოლო თუ ამის განხორციელება რაიმე მიზეზით თურქული მხარისთვის მიუღებელია, ჩვენთვისაც ყოვლად მიუღებელია ოშკისა და იშხნის გადარჩენის საბაბით ბათუმში ჩვენი ისტორიის მძიმე პერიოდის სიმბოლოს, აზიზიეს მეჩეთის მშენებლობა.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ ასეთი ქმედებით ხელოვნურად ხდება მუსლიმანებსა და ქრისტიანებს შორის დაძაბულობის პროვოცირება, არადა, საქართველოში მუსლიმანები, რომელი ერის წარმომადგენლებიც არ უნდა იყვნენ ისინი, ისევე, როგორც სხვა რელიგიის აღმსარებელნი, არასოდეს იზღუდებოდნენ, პირიქით, ყოველთვის კარგად გრძნობდნენ თავს და ამიტომაც იყო, რომ არაერთმა მათგანმა შესწირა სიცოცხლე საქართველოს დაცვას. ეს დღესაც ასეა და ამას, პირველ რიგში, ქართველი ადამიანის შემწყნარებლური ქრისტიანული ბუნება განაპირობებს.

გამოვთქვამთ იმედს, რომ როგორც თურქეთის, ისე საქართველოს ხელისუფლება გაითვალისწინებს ჩვენს შეთავაზებას და არ გადადგამენ ისეთ ნაბიჯებს, რაც ქვეყნის შიგნით და ქვეყნებს შორის პრობლემების შექმნას შეუწყობს ხელს, – აღნიშნულია განცხადებაში.

# „ჯავახკი“ დახმარებას პუტინისგან ითხოვს

## რაში სდებს ბრალს ვან ბაიბურთი ყოფილ ტაქსისტ არაბიანს

თეა მარხვაიძე

**მოსკოვში ვლადიმერ პუტინის წინასაარჩევნო შტაბის ხელმძღვანელი, კინორეჟისორი სტანისლავ გოვორუხინი რუსეთის სომხური სათვისტომოს წარმომადგენლებს შეხვდა. შეხვედრაზე მიწვეული იყო რუსეთის ჯავახკის დიასპორის პრეზიდენტი აგასი არაბიანი.**


ვან ბაიბურთი

„საქინფორმის“ ცნობით, მან ხანმოკლე გამოსვლის შემდეგ გოვორუხინს წერილი გადასცა.

– პატივცემულო სტანისლავ სერგეევიჩ! ქართული ხელისუფლება განაგრძობს ეროვნული უმცირესობების, კერძოდ კი, სამცხე-ჯავახეთის მხარეში მცხოვრები ძირძველი სომხური მოსახლეობის უფლებების შელახვას. ვსარგებლობთ რა შემთხვევით, ჩვენი საზოგადოებრივი ორგანიზაცია მოგმართავთ თხოვნით: გადაეცით, გეთაყვა, ვლადიმერ ვლადიმერის ძე პუტინს, რომ ჩვენ მას დახმარებას და ხელშეწყობას ვთხოვთ საერთაშორისო ტრიბუნებზე გასვლის საქმეში, რათა ფართოდ გახმაურდეს და გაშუქდეს საქართველოს სომხებით დასახლებულ მხარეში რეალურად მიმდინარე ფაქტები, – ვკითხულობთ წერილში.

ვინ არის არაბიანი და როგორ მოხვდა ის სათვისტომოს თავკაცის პოსტზე ამის შესახებ „ახალ თაობას“ საქართველოს პრეზიდენტის მრჩეველი ვან ბაიბურთი ესაუბრება.

*– ბატონო ვან, რას ფიქრობთ, არაბიანისა და გოვორუხინის შეხვედრაზე და იქ გაკეთებულ განცხადებებზე?*

– არაფერსაც არ ვფიქრობ. რა არის აქ საფიქრებელი. ეს განცხადება ღიმილის მომგვრელია. თქვენ არ გეღიმებათ? წესით უნდა იღიმებოდეთ.

*– და რა არის ამ განცხადებაში ღიმილის მომგვრელი? ჯავახეთის დიასპორის ხელმძღვანელი პუტინს რომ მიმართავს?*

– თავად ამ პიროვნების ისტორიაა ღიმილისმომგვრელი. მე მასზე ადრეც მისაუბრია თქვენს გაზეთთან. გახსოვთ ვყვებოდი, რომ რუსებმა მოსკოვში ერთი სომეხი ტაქსის მძღოლი დაავერბოვკეს და იმას აკეთებინებენ ანტიქართულ განცხადებებს.

*– და ეს არაბიანია ის ტაქსისი მძღოლი?*

– დიახ, ის არის.

*– ახლაც ტაქსაობს?*

– ალბათ არა.

*– რატომ გგონიათ, რომ აღარ ტაქსაობს?*

– ტაქსზე ისევ რომ მჯდარიყო, ოფისს იმ სასტუმროში ვერ იქირავებდა.

*– რომელ სასტუმროში?*

– ის სასტუმრო მოსკოვში მდებარეობს და მას „ოტელ პრეზიდენტ“ ჰქვია. იქ ერთი ღამით, ერთი ნომრის ღირებულება 600 დოლარიდან იწყება. და რაკი აქ აქვს ოფისი, გამოდის რომ ფული აქვს. საიდან იშოვა ეს ფული? მგონი ყველა ხვდება.

*– ვინც ვერ ხვდება, იმათ განუმარტეთ საიდან იშოვა?*

– იქედან საიდანაც ამ ლეიტენანტს, უკაცრავად ყოფილ ტაქსისტს დავალებებს აძლევენ. ასეთ დავალებებს კი სპეცსამსახურები იძლევიან. ამასთან ძალიან საინტერესოა როგორ გახდა ის ან დიასპორის ხელმძღვანელი. მას არავინ არ იცნობს. მათ შორის, არც რუსეთში არსებული სომხური დიასპორის წარმომადგენლები.

*– საიდან იცით, რომ არ იცნობენ?*

– ცოტა ხნის წინ ერევანში სომხური დიასპორების შეხვედრა შედგა. ამ შეხვედრას მეც ვესწრებოდი. იქ ჩემთან მოვიდა ეს არაბიანი და ლაპარაკი დამიწყო. ახალციხე და ძველი ამბები გამახსენა. ეგ ბიჭი კომკავშირში მუშაობდა.

*– არაბიანი წარმოშობით ახალციხიდან არის?*

– კი. ჩვენი საუბარი რუსულ ენაზე წარიმართა.

გაგრძელება მე-6 გვერდზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქართველი მეზღვაურები თურქი კაპიტნის ტყვეობიდან გათავისუფლდნენ

ნათია ხურცილავა

**24 დღის განმავლობაში ტყვეობაში მყოფი 7 ქართველი მეზღვაური ტყვეობიდან განთავისუფლდა. ოდესაში გემთფლობელის ტყვეობიდან განთავისუფლებული გემის ეკიპაჟის ქართველი წევრები სამშობლოში ხვალ დაბრუნდებიან. ამის შესახებ საზღვაო ადმინისტრაციაში განუცხადეს ჟურნალისტებს.**



საზღვაო ადმინისტრაციის ინფორმაციით, მეზღვაურების საქართველოში ჩამოსაყვანად გუშინ ოდესაში საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორი, თეიმურაზ იობიძე გაემგზავრა.

– საღამოს თბომავალ ფილიპპა-დან ერთ-ერთი ქართველი მეზღვაური დაგვიკავშირდა და იძულებითი ტყვეობის შესახებ ინფორმაცია მოგვაწოდა. გვითხრა, რომ 18 იანვრიდან მოყოლებული გემთმფლობელი გემის დატოვების უფლებას არ აძლევს. გემი პანამის დროშის ქვეშ იყო დარეგისტრირებული, თუმცა მისი მმართველი თურქული კომპანიაა. ჩვენ ვითარების შესახებ პანამისა და თურქეთის საზღვაო ადმინისტრაციებს მივწერეთ, ასევე საქმის კურსში ჩავაყენეთ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო და მეზღვაურების გათავისუფლება გუშინვე მოხერხდა. – აცხადებენ საზღვაო ადმინისტრაციაში.

მათივე ინფორმაციით, გემთმფლობელი ნაზმი ჯამბაზი „შავ საქმიანობაში“, კერძოდ ნარკოტიკების გადატანასა და აფრიკიდან იტალიაში ადამიანების უკანონო გადაყვანაშია შემჩნეული.

– როგორც სატელეფონო საუბრისას ქართველმა მეზღვაურმა განაცხადა, გემთმფლობელი მათ არ აძლევდა კაიუტისა და შესაბამისად გემის დატოვების უფლებას. გემზე გათიშული იყო გათბობის სისტემა, რის გამოც ეკიპაჟის ორი წევრი სხეულის გადაციებით საავადმყოფოში მოხვდა. გარდა ამისა, გემთმფლობელს მეზღვაურების მიმართ 4 თვის სახელფასო დავალიანებაც აქვს, თუმცა ამ ყველაფრის მიუხედავად, მათ გემზე იძულებით უწევდათ დარჩენა, რადგან გემთმფლობელის მუქარის ეშინოდათ. – ასეთია ინფორმაცია, რომელსაც საზღვაო სააგენტოში იძლევიან.

სტამბოლიდან წამოსული პანამის დროშის ქვეშ მცურავი გემის ეკიპაჟის 21 წევრი, რომელთაგან 7 ქართველი იყო, ოდესაში გემთმფლობელის ტყვეობაში 18 იანვრიდან იმყოფებოდა.

არსებული ინფორმაციით, ქართველი მეზღვაურები ტყვეობიდან უკრაინელმა სამართალდამცველებმა გაათავისუფლეს.

სავარაუდოდ გემს, რომელზეც ქართველი მეზღვაურები იმყოფებოდნენ დიდი რაოდენობით ნარკოტიკული ნივთიერება გადაჰქონდა. ხომალდი ამ დრომდე ოდესაში იმყოფება.

როგორც ცნობილია, ოდესაში საქართველოს კონსულთან ერთად უკრაინელი სამართალდამცავებმა დაათვალიერეს გემი.

ოდესაში საქართველოს გენერალურმა კონსულმა თემურ ნიშნიანიძემ ქართველი მეზღვაურები მოინახულა.

ტყვეობაში მყოფი მეზღავურების განცხადებით, მათ საშინელი პირობები ჰქონდათ. გამორთული ჰქონდათ გათბობა და მინუს 16-გრადუსიან ყინვაში იმყოფებოდნენ, რის შედეგადაც რამდენიმე მათგანს სხეულის მოყინვის გამო გადაუდებელი სამედიცინო დახმარება დასჭირდა.

24-დღიანი ტყვეობა 7 ქართველი მეზღავურისთვის დასრულებულია და ისინი სამშობლოში დაბრუნდებიან.

– გაუსაძლის პირობებში ვიყავით. არანაირი საარსებო წყარო ადამიანისთვის არ იყო, ვიყავით გამოკეტილი. გენერატორი ჩაქრა და სამი დღე-ღამის განმავლობაში უშუქოდ ვიყავით. გავიყინეთ, უმძიმეს მდგომარეობაში ვიყავით, მეტის ატანა უკვე აღარ შეგვეძლო. ამის გამო რეანიმაციაში მოვხვდით. სხეულის მოყინვისა და გადაციების გამო. რამდენიმე დღეა, არც საავადმყოფოდან გამოგვწერეს. – აცხადებს ერთ-ერთი ქართველი მეზღვაური.

პანამის დროშის ქვეშ მცურავი გემი იანვარში სტამბოლის პორტიდან ოდესის მიმართულებით დაიძრა. ნაპირიდან ერთი კილომეტრის მოშორებით გემი მწყობრიდან გამოვიდა.

უკრაინაში საქართველოს საელჩოში აკრედიტებული დიპლომატებისა და საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის ჩარევის შედეგად ამ დროისთვის ქართველი მეზღვაურები ტყვეობიდან განთავისუფლებულები არიან და სამშობლოშიც ბრუნდებიან.

არსებობს ინფორმაცია, რომ ნარკოტიკული ნივთიერებით დატვირთული გემის თურქი მფლობელი ნარკოტიკების სხვა ქვეყანაში ფარულად ცდილობდა გადატანას. ასევე არსებობს ინფორმაცია, რომ გემის მფლობელი ეთნიკურად ქართველია, რომელიც ამ დროისთვის თურქეთში ცხოვრობს.

საქართველოს ხელიუფლების წარმომადგენლის განცხადებით არაოფიციალური ინფორმაციით არსებობს ეჭვი, რომელიც გემთმფლობელის არაკეთილსინდისიერ საქმიანობას უკავშირდება.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, საუბარია დიდი რაოდენობით ნარკოტიკული ნივთიერების გადატანაზე ერთი ქვეყნიდან მეორე ქვეყანაში.

– არსებობს ეჭვი, რომ რაღაც მაფიასთან გვაქვს საქმე და ამ ადამიანს პასუხი უნდა ვაგებინოთ, ვინც ასე უშვებს ქართველ მეზღვაურებს მონებად. ჩვენ არაოფიციალური ინფორმაცია გვაქვს, რომ გემზე ნარკოტიკული ნივთიერება იყო ძალიან დიდი რაოდენობით. ეს იცოდნენ ჩვენმა ბიჭებმა. ძალიან ცუდი ფაქტია, რაც საზღვაო ისტორიაში ხდება. ეტყობა ამ ყველაფრის დასაფარად ეს ქართველი ბიჭები ამ მდგომარეობაში ჩააგდეს, დაატყვევეს. – აცხადებს ეკონომიკის მინისტრის მოადგილე.

საქართველოს დიპლომატიური უწყების წარმომადგენელი ოდესაში აცხადებს, რომ საქართველოს მოქალაქეებს უმძიმეს პირობებში მოუხდათ ყოფნა 24 დღის განმავლობაში, თუმცა ისინი განთავისუფლებულები არიან და სამშობლოში ბრუნდებიან.

– 18 იანვრიდან პანამის დროშის ქვეშ მცურავი გემი რეიდზე იდგა. ინფორმაციის გადამოწმების შედეგად აღმოჩნდა, რომ ამ გემის მფლობელი თურქეთის მოქალაქეა. გემის 26 ეკიპაჟიდან 7 საქართველოს მოქალაქეა. რეიდზე დგომისა, როგორც ეკიპაჟის წევრებმა გვითხრეს მაღალი ყინვის გამო გემი მწყობრიდან გამოვიდა, გენერატორი გაფუჭდა, რის გამოც საერთოდ გაითიშა გათბობისა და წყლის მიწოდების სისტემა. 24 დღის განმავლობაში საქართველოს მოქალაქეები ძალიან მძიმე და გაუსაძლის მდგომარეობაში იყვნენ. – აცხადებს თემურ ნიშნიანიძე საქართველოს გენერალური კონსული ოდესაში.

დატყვევებული ქართველები ყვებიან, რომ ისინი კაიუტებში იყვნენ რამდენიმე დღის განმავლობაში დატყვევებული და მათ ფიზიკურ მუშაობას აიძულებდნენ და გემიდან გასვლის საშუალებას არ აძლევდნენ.

ერთ-ერთმა მეზღვაურმა შეძლო საქართველოში თავის ოჯახს დაკავშირებოდა და შველა ეთხოვა ქართული მხარისთვის. ტყვეობიდან განთავისუფლებული ქართველი მეზღვაურების სამშობლოში რამდენიმე დღეში დაბრუნებას საქართველოს დიპლომატიური უწყება უზრუნველყოფს.

# პირველად საქართველოში — უახლესი უსადენო ინტერნეტსტანდარტი HSPA+

## საქართველოში „მაგთიკომი“ არის ერთადერთი ოპერატორი, რომელსაც ორსიხშირიანი მოდემი აქვს



**„ტექნოლოგიები იცვლება, მუდმივია მხოლოდ ხარისხიანი კავშირი „მაგთისგან“ — ამ დევიზის ფარგლებში კომპანია „მაგთიკომმა“ ბაზარზე კიდევ ერთი ინოვაციური პროდუქტი გამოიტანა და პირველად საქართველოში მომხმარებელს უსადენო ინტერნეტსტანდარტი HSPA+ და ახალ უსადენო ორსიხშირიანი, უნიკალურ ფუნქციის მქონე მოდემი შესთავაზა. HSPA+ სტანდარტის ქსელი ინტერნეტ მომხმარებელს საშუალებას აძლევს ისარგებლოს მობილური ინტერნეტით, რომლის სიჩქარეც 21 მეგაბიტამდეა წამში. ორსიხშირიანი მოდემი კი, პარალელურად, HSPA+ და EVDO ქსელში მუშაობს.**

HSPA+ სტანდარტის მხარდაჭერა თითქმის ყველა თანამედროვე მობილურ ტელეფონს აქვს, ამიტომ მომხმარებელს არ სჭირდება რაიმე დამატებითი მოქმედების განხორციელება. ასეთი ტელეფონი ავტომატურად გამოიყენებს HSPA+ ქსელს, როგორც კი მისი დაფარვის არეში მოხვდება.

პირველ ეტაპზე HSPA+ სტანდარტის ქსელით სარგებლობა მხოლოდ თბილისში და მის შემოგარენში იქნება შესაძლებელი. 2012 წლის განმავლობაში კი თანმიმდევრულად დაიფარება საქართველოს ყველა დანარჩენი დასახლებული პუნქტი.

კიდევ ერთი სიახლე მათთვის ვისაც ინტერნეტი მუდმივად სჭირდება სახლში, აგარაკზე, გზაში თუ სხვა ნებისმიერ ადგილას – „მაგთიკომმა“ წარმოადგინა ახალ უსადენო ორსიხშირიანი, უნიკალურ ფუნქციის მქონე მოდემი, რომელსაც შეუძლია იმუშაოს HSPA+ და EVDO ქსელში.



ეს მოდემი მომხმარებელს საშუალებას აძლევს, ნებისმიერ წერტილში, სადაც „მაგთიკომის“ სიგნალი ვრცელდება, ისარგებლოს უსადენო ინტერნეტით და დროის მოცემულ მომენტში ავტომატურად გამოიყენოს ის ქსელი, რომელიც ნაკლებად არის დატვირთული. აქედან გამომდინარე, ორსიხშირიანი მოდემით მომხმარებელს გარანტირებული აქვს კავშირის საუკეთესო სიჩქარე.

„HSPA+ და უკვე კარგად ცნობილი EVDO ქსელი ერთ მოდემშია გაერთიანებული, რაც ადამიანს საშუალებას აძლევს საქართველოს ნებისმიერ წერტილში, გამოიყენოს ის სიგნალი, რომელთანაც წვდომა და ხარისხი უკეთესია. ეს ნიშნავს, რომ მომხმარებელს ინტერნეტში მუშაობისთვის საუკეთესო სიჩქარე გარანტირებული აქვს“, – **აღნიშნა „მაგთიკომის“ მარკეტინგის დირექტორმა ირაკლი ლობჟანიძემ.**

ასეთი მოდემი კი, როგორც ლობჟანიძე აცხადებს, მთელს მსოფლიოში, პირველია, ვინაიდან ძალიან ცოტაა ისეთი ოპერატორი, რომელიც ერთდროულად, ორ ქსელში – CDM და GSM ერთდროულად ოპერირებენ. ასე რომ, საქართველოში „მაგთიკომი“ არის ერთადერთი ოპერატორი, რომელსაც ორსიხშირიანი მოდემი გააჩნია.

რაც შეეხება კონკურენციას, როგორ უკვე ალვნიშნეთ ალნიშნული მოდემის უპირატესობა არის ის, რომ ინტერნეტის მომხმარებელს შესაძლებლობა აქვს, საქართველოს ნებისმიერ წერტილში, პატარა მოდემი შეუერთოს კომპიუტერს და მიიღოს სწრაფი ინტერნეტი. სხვა ინტერნეტპროვაიდერებს, შესაბამისი ინფრასტრუქტურის უქონლობის გამო, ასეთი მომსახურების გაწევის შესაძლებლობა არ აქვთ.

„სხვა პროვაიდერები თავისი ინფრასტრუქტურით შეზღუდულები არიან. საკაბოლო ინტერნეტის ხელმისაწვდომია ქვეყნის ძალიან ცოტა ადგილას, ასევე ყველგან არ ვრცელდება WIFI-ინტერნეტი. ამიტომ, ადამიანი, ვისაც მუდმივი კავშირი სჭირდება ინტერნეტთან, მოძრაობს საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში, ან თუნდაც ქუჩაში და სჭირდება ინტერნეტ მომსახურება, მათთვის ეს მოდემი არის ინტერნეტკავშირის პრობლემის ერთადერთი გადაწყვეტა“, – დასძინა ლობჟანიძემ.

მოდემის ღირებულება 165 ლარია. „მაგთიკომი“ მომხმარებელს საშუალებას აძლევს მოდემი გამოსცადოს და შეამოწმოს, აქვს თუ არა მას ტექნიკური წუნი, ან მუშაობს თუ არა მომხმარებლისთვის სასურველ ადგილას. ქსელში ჩართვიდან 48 საათის გასვლის შემდეგ, შეიძლება იგი დაუბრუნოს კომპანიას, გადახდილი 165 ლარიდან მომხმარებელს 160 ლარი დაუბრუნდება.

ერთთვიანი ინტერნეტით სარგებლობისთვის „მაგთიკომი“ ინტერნეტის მსურველს 2 სახის პაკეტს სთავაზობს: ეკონომპაკეტი და სტანდარტპაკეტი.

ეკონომპაკეტი 15 ლარი ღირს. მაღალსიჩქარიანი ინტერნეტით სარგებლობა შესაძლებელია მანამ, ვიდრე მოხმარებული ინტერნეტ-ტრაფიკი 1GB-ს არ მიაღწევს, 30-დღიანი ვადის გასვლის შემდეგ კი დაბალსიჩქარიანი ინტერნეტით სარგებლობაა შესაძლებელი.

სტანდარტ პაკეტი კი 45 ლარი ღირს, აქედან 30 ლარი არის ინტერნეტით სარგებლობის ღირებულება, ხოლო 15 ლარი ავტომატურად დაირიცხება მომხმარებლის მიერ არჩეულ მაგთის, ბალის ან მაგთი ფიქსის ნომრის ანგარიშზე. ამ შემთხვევაში მაღალსიჩქარიან ინტერენტით სარგებლობა შესაძლებელია მანამ, ვიდრე მოხმარებული ინტერნეტ-ტრაფიკი 5GB-ს არ მიაღწევს. ლიმიტის ამოწურვის შემდეგ, ასევე, შესაძლებელია დაბალსიჩქარიანი ინტერნეტით სარგებლობა.

ირაკლი ლობჟანიძის განცხადებით, „მაგთიკომი“ მომხმარებელს კიდევ არაერთ სიახლეს შესთავაზებს. ამასთანავე აქტიურად მიდის მუშაობა სატელიტური ტელევიზია – „მაგთისატის“ დანერგვასთან დაკავშირებით.

„მაგითასატიმ საზოგადოებაში ძალიან დიდი ინტერესი გამოიწვია, რამდენიმე ასეული აბონენტი უკვე აყვანილია. ამასთანავე, საჭიროა დრო, რათა საზოგადოებამ პროდუქტის არსი უფრო კარგად გაიგოს. თუმცა, კიდევ ერთხელ აღვნიშნავ, რომ „მაგთისატზე“ მოთხოვნა ყოველდღიურად იზრდება“, – განაცხადა ირაკლი ლობჟანიძემ.

შეგახსენებთ, რომ პირველად საქართველოში, „მაგთიკომი“ მოსახლეობას სატელიტურ ტელევიზიას – „მაგთისატს“ სთავაზობს და კომპანია ამ მიმართულებითაც ინოვატორია. „მაგთისატის“ გაშვება ნიშნავს იმას, რომ ნებისმიერ რეგიონში მცხოვრებ ადამიანს (მთასა თუ ბარში), შესაძლებლობა აქვს, უმაღლესი ხარისხის გამოსახულებით უყუროს უამრავ კინოს, გასართობ, სპორტულ, საინფორმაციო ციფრულ არხებს.

კომპანია „მაგთიკომმა“ და თანამგზავრული მაუწყებლობის წამყვანმა ოპერატორმა SES-მ საქართველოში პირველი DTH ტელევიზიის პლატფორმა – „მაგთისატი“ ASTRA თანამგზავრის მეშვეობით აამოქმედა. როგორც უკვე აღვნიშნეთ, სიგნალის თანამგზავრიდან დასხივება საქართველოში პირველად მოხდა.

„ადამიანი გეოგრაფიულად შეზღუდული არ არის. შეუძლია ნებისმიერ დროს დააყენოს „მაგთისატის“ ტელევიზია და მაღალხარისხიანი, პოპულარული არხები მიიღოს, რომელიც აქამდე რეგიონებისთვის პრაქტიკულად მიუწვდომელი იყო“, – განაცხადა ირაკლი ლობჟანიძემ.

# დეპუტატები მოსამართლეების სამსახურიდან გათავისუფლების წესს ცვლიან

## რა საკითხებზე იმსჯელებენ დღეს საპარლამენტო კომიტეტის სხდომაზე

შალვა ჯოხაძე

დღეს პარლამენტში ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის სხდომა გაიმართება, რომლის დღის წესრიგშიც ორი საკითხია შეტანილი. ესენია: საქართველოს პარლამენტის წევრების: პავლე კუბლაშვილის, კახაბერ ანჯაფარიძისა და ზვიად კუკავას მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი საქართველოს ორგანული კანონის პროექტი „საქართველოს საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და მისგან გამომდინარე კანონის პროექტები და საქართველოს პრეზიდენტის მიერ წარმოდგენილი „შიდსთან, ტუბერკულოზთან და მალარიასთან ბრძოლის გლობალური ფონდის პრივილეგიებისა და იმუნიტეტების შეთანხმება თანდართული დათქმის გათვალისწინებით“.

თქვენს ყურადღებას „საქართველოს საერთო სასამართლოების შესახებ“ კანონში შესატან ცვლილებებზე გავამახვილებთ. პარლამენტში განმარტავენ, რომ, კანონპროექტის შესაბამისად, ცვლილებები ეხება საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სტატუსს. საბჭოს ფუნქციებს ემატება სასამართლოს (მოსამართლის) დამოუკიდებლობის, მართლმსაჯულების ხარისხისა და ეფექტიანობის უზრუნველყოფა.

კანონპროექტით განისაზღვრება, რომ საქართველოს პარლამენტისა და პრეზიდენტის მიერ საბჭოში არჩეული/დანიშნული წევრები უნდა აკმაყოფილებდნენ მაღალ პროფესიულ, მორალურ და ეთიკურ სტანდარტებს.

– კანონპროექტი ითვალისწინებს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივნის თანამდებობის დაკავების შესაძლებლობას მხოლოდ საერთო სასამართლოს მოსამართლის მიერ, რაც განამტკიცებს საბჭოში მოსამართლეთა უმრავლესობის პრინციპს.

კანონპროექტით იკრძალება საბჭოში საქართველოს პრეზიდენტის წარმომადგენლის მიერ პოლიტიკური საქმიანობის განხორციელების შესაძლებლობა. ასევე, ცვლილება ეხება პირის მოსამართლედ დანიშვნის შესახებ გადაწყვეტილების მიღების წესს. კერძოდ, უქმდება დღეს მოქმედი ნორმა, რომელიც საკითხის გადასაწყვეტად ითვალისწინებს ხელისუფლების სამივე შტოს თითო წევრის თანხმობის აუცილებლობას. ამასთან, მოსამართლის დანიშვნის შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო იქნება საბჭოს არანაკლებ სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

მოსამართლისათვის სამართლებრივი დაცვის გარანტიების განმტკიცების მიზნით კანონპროექტი ითვალისწინებს, რომ მოსამართლის მიერ ბოლო 12 თვის განმავლობაში უფლებამოსილების 4 თვეზე მეტი ხნით განუხორციელებლობის საფუძვლით, მისი თანამდებობიდან გათავისუფლება შესაძლებელი იქნება მხოლოდ ასეთი საქმიანობის განხორციელების შეუძლებლობის დამადასტურებელი სამედიცინო ცნობის არსებობის შემთხვევაში, – განმარტავენ პარლამენტში.

კანონპროექტი განსაზღვრავს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს უფლებამოსილებას, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონპროექტის საქართველოს პარლამენტში განხილვისას წარადგინოს საკუთარი მოსაზრებები საერთო სასამართლოების დაფინანსების ნაწილთან დაკავშირებით.

კანონპროექტით უქმდება საქართველოს უზენაესი სასამართლოს პლენუმის მუშაობაში იუსტიციის მინისტრის სათათბირო ხმის უფლებით მონაწილეობის შესაძლებლობა.

ცვლილებები შედის „საერთო სასამართლოებში საქმეთა განაწილებისა და უფლებამოსილების სხვა მოსამართლისათვის დაკისრების წესის შესახებ“ კანონშიც.



– „საერთო სასამართლოებში საქმეთა განაწილებისა და უფლებამოსილების სხვა მოსამართლისათვის დაკისრების წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლი ითვალისწინებს, რომ სასამართლოში მოსამართლის არყოფნისას ან განსახილველ საქმეთა ნაკადის ზრდის შემთხვევაში, შესაძლებელია, იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ მოსამართლე მიავლინოს სხვა სასამართლოში. განსხვავებით მივლინების საფუძვლებისა, კანონი არ განსაზღვრავს აღნიშნული საკითხის გადაწყვეტის წესს, მივლინების ხანგრძლივობას და სხვა. შესაბამისად, მიზანშეწონილია კანონით დადგინდეს შესაბამისი რეგულაციები, – აცხადებენ ცვლილებების ინიციატორი დეპუტატები.

მათი განცხადებით, კანონპროექტის მიზანი მოსამართლის დამოუკიდებლობისათვის დამატებითი გარანტიების შექმნაა. კანონპროექტის თანახმად, კანონის მე-13 მუხლს ემატება 21 პუნქტი, რომლითაც დგინდება, რომ მოსამართლე შესაძლებელია მივლინებულ იქნეს სხვა სასამართლოში 1 წლამდე ვადით, მისივე თანხმობით. მართლმსაჯულების ინტერესებიდან გამომდინარე, იუსტიციის უმაღლესი საბჭო უფლებამოსილი იქნება, მოსამართლის თანხმობის გარეშე მიიღოს გადაწყვეტილება მისი სხვა სასამართლოში მივლინების თაობაზე. თუმცა, ასეთ შემთხვევაში, საჭირო იქნება იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტის თანხმობა. შესაძლებელია მივლინების ვადის გაგრძელება კიდევ 1 წლამდე, რაც საჭიროებს მოსამართლის აუცილებელ თანხმობას.

რამდენიმე ცვლილება შევა „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონშიც. კანონპროექტის მიღების მიზეზი მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების პროცესის სრულყოფის საჭიროება და სამართალწარმოების პროცესის საჯაროობის უზრუნველყოფაა.

– კანონპროექტის მიზანია, მოახდინოს დისციპლინური სამართალწარმოების პროცესის კიდევ უფრო დახვეწა და მოდერნიზაცია, უზრუნველყოს სამართალწარმოების პროცესის მეტი გამჭვირვალობა.

დისციპლინური სამართალწარმოების მოდერნიზების მიზნით, კანონპროექტი ადგენს, რომ დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების უფლებამოსილების მქონე სუბიექტებმა დისციპლინური დევნის შემდგომი მსვლელობის უზრუნველსაყოფად, შესაბამისი მასალები უნდა წარუდგინონ საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს. შესაბამისად, მხოლოდ საბჭო იქნება უფლებამოსილი, განახორციელოს წინასწარი შემოწმება და დისციპლინური საქმის გამოკვლევა.

კანონპროექტის თანახმად, დისციპლინური გადაცდომის სახეებიდან ხდება კანონის უხეში დარღვევისა და შრომის დისციპლინის დარღვევის ამოღება.

დისციპლინური სამართალწარმოების პროცესის საჯაროობის უზრუნველსაყოფად, კანონპროექტი ითვალისწინებს საჩივრის ავტორისათვის საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოსა და სადისციპლინო კოლეგიის საბოლოო გადაწყვეტილებების შეტყობინების შესაძლებლობას. გარდა ამისა, გათვალისწინებულია სადისციპლინო კოლეგიისა და პალატის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნების შესაძლებლობა.

კანონპროექტი ითვალისწინებს დისციპლინური საჩივრის წარდგენისათვის სპეციალური ფორმის დადგენას, ამასთან, საჩივრის ელექტრონული ფორმით წარდგენის შესაძლებლობას.

ცვლილება ეხება სადისციპლინო კოლეგიის შემადგენლობას, სადაც მოსამართლეთა უმრავლესობის პრინციპის უზრუნველსაყოფად კოლეგიის შემადგენლობა განისაზღვრება 5 წევრით, ნაცვლად აქამდე არსებული 6 წევრისა, ხოლო მოსამართლე წევრების რაოდენობა შეადგენს 3-ს, – აცხადებენ დეპუტატები.

კანონპროექტის თანახმად, იცვლება მოსამართლის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ სადისციპლინო კოლეგიის ან პალატის წარდგინების საფუძველზე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ საკითხის განხილვისას გადაწყვეტილების მიღების წესი. კერძოდ, ამ შემთხვევაში საკითხის გადაწყვეტაში მონაწილეობას ველარ მიიღებს საბჭოს ის წევრი, რომელიც მონაწილეობდა სადისციპლინო კოლეგიის მიერ გადაწყვეტილების მიღებაში. დისციპლინური სამართალწარმოების პროცესის დახვეწის მიზნით, კანონპროექტით დგინდება, რომ დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების ნებისმიერი საბაბის შემთხვევაში, აუცილებელი იქნება წინასწარი შემოწმების ჩატარება. ამასთან, მოსამართლისათვის სამართლებრივი გარანტიების განმტკიცების მიზნით, კანონპროექტი განსაზღვრავს, რომ ერთი და იმავე მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების განმეორებით განხორციელება დაუშვებელია იმავე საფუძვლით, რომელთან დაკავშირებითაც უკვე განხორციელდა დისციპლინური სამართალწარმოება. ასევე, ნებისმიერ შემთხვევაში დაუშვებელი ხდება მოსამართლის მიერ გამოტანილი სასამართლო აქტის კანონიერების შემოწმება.

# „დემოკრატიული მოძრაობა“ მოსამართლეებთან დაკავშირებით საკანონმდებლო ცვლილებას დიქტატურად აფასებს

„დემოკრატიული მოძრაობა – ერთიანი საქართველო“ გმობს და დიქტატურისკენ გადადგმულ სერიოზულ ნაბიჯად აფასებს საკანონმდებლო ცვლილებებს, რომლის თანახმადაც მოსამართლეებისთვის კანონის, მათ შორის კონსტიტუციის დარღვევა დისციპლინარულ გადაცდომად აღარ ჩაითვლება.



როგორც პარტიაში აცხადებენ, თუ აქამდე მოსამართლის მიერ სამოსამართლო უფლებამოსილების განხორციელებისას კანონის უხეში დარღვევა დისციპლინარულ გადაცდომად ითვლებოდა, დღეს მას სრული კარტბლანში ეძლევა, იგნორირება გაუკეთოს ქვეყნის უმთავრეს კანონს – კონსტიტუციასაც კი.

„მართალია ამ რეჟიმის პირობებში, მოსამართლეები კანონებს, მათ შორის კონსტიტუციასაც საკმაოდ ხშირად და წარმატებით არღვევდნენ, თუმცა, ამის ოფიციალური დაკანონება მხოლოდ დიქტატურის საბოლოო ფორმირებისკენ გადადგმულ ნაბიჯად შეიძლება შეფასდეს“, – აცხადებენ „დემოკრატიული მოძრაობის“ წარმომადგენლები.

პარტიაში მიიჩნევენ, რომ ეს ცვლილება არის ხელისუფლების მხრიდან კიდევ ერთი ნებართვა მოსამართლეებისთვის, რომ შეასრულონ ხელისუფლების პოლიტიკური დაკვეთა და აღნიშნული ცვლილება არის გარანტია იმისა, რომ „მათ მონური მორჩილების შემთხვევაში ყველანაირი კანონდარღვევა ეპატიებათ“.

„დემოკრატიული მოძრაობა“ მოუწოდებს საქართველოში აკრედიტებულ დიპლომატიურ კორპუსს და უფლებადამცველ ორგანიზაციებს, მოახდინონ რეაგირება ამ საკანონმდებლო ცვლილებასთან დაკავშირებით, რათა ხელისუფლებას არ მიეცეს საშუალება, კიდევ უფრო გააფართოვოს პოლიტიკური ანგარიშსწორების მასშტაბები.

ინტერპრესნიუსი

# „რესპუბლიკური პარტიის“ შემოსავალმა შარშან 1 283 334 ლარი შეადგინა

ფინანსური დეკლარაციის თანახმად, „რესპუბლიკური პარტიის“ შემოსავალმა შარშან 1 283 334 ლარი შეადგინა. ფინანსური დეკლარაცია და აუდიტორული დასკვნა კონტროლის პალატის ვებ–გვერდზე გამოქვეყნდა.

შემოსავლებს შორის 1 101 200 ლარი შემოწირულობაა – 1 200 ლარი ფიზიკური პირების, ხოლო 1 100 000 იურიდიული პირებისგან. პარტიას თანხა მხოლოდ ერთმა ფიზიკურმა პირმა შესწირა – ვენერა სუქნიძეს სხვადასხვა პერიოდულობით „რესპუბლიკელებისთვის“ 100-100 ლარი აქვს გადარიცხული.

შემომწირველ იურიდიულ პირებს შორის არიან „ბანკი ქართუ“ – 100 ათასი ლარით; სს „ქართუ ჯგუფი“ – 100 ათასი ლარი; შპს „კომპლექს-სერვისი“ – 100 ათასი ლარი; შპს „ბურჯი“– 100 ათასი ლარი; შპს „ფინსერვისი“ – 100 ათასი ლარი; შპს „ინტერ კონსალტინგი“– 100 ათასი ლარი; შპს „ელიტა ბურჯი“ – 100 ათასი ლარი; შპს „ქართუ მენეჯმენტი“ – 100 ათასი ლარი; შპს „ქართული ჰოლდინგი“ – 100 ათასი ლარი; შპს „კალა კაპიტალი“ – 100 ათასი ლარი; შპს „კოლხეთი“ – 100 ათასი ლარი.

სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი თანხა 182 134 ლარს შეადგენს – აქედან 133 703 ლარი საბიუჯეტო დაფინანსება, ხოლო 48 432 ლარი „საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრიდან“ მიღებული სახსრებია.

რაც შეეხება ხარჯებს, 2011 წელს „რესპუბლიკური პარტიის“ მიერ გაწეული ხარჯები 1 220 855 ლარს შეადგენს. აქედან შრომის ანაზღაურებაზე დახარჯულია 213 050 ლარი; საქონელსა და მომსახურებებზე – 830 521 ლარი; მივლინებებზე – 7 521 ლარი; ოფისის ხარჯები – 143 759 ლარი; საკანცელარიო საქონლის, საოფისე ტექნიკისა და ინვენტარის შეძენის, დამონტაჟებისა და მოვლა-შენახვის ხარჯები – 106 20 ლარი; საოფისე ავეჯი – 1 220 ლარი; კავშირგაბმულობის ხარჯი – 22 920 ლარი; კომუნალური ხარჯები – 7 521 ლარი; ოფისის ხარჯი, რომელიც არ არის კლასიფიცირებული – 5 878 ლარი; ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები – 347 952 ლარი; საწვავ-საპოხი მასალების შეძენის ხარჯი – 110 605 ლარი; ტრანსპორტის შეძენის, დაქირავების და სხვა სატრანსპორტო ხარჯები -237 347 ლარი; ბანკის მომსახურების ხარჯი – 1 559 ლარი; სარეკლამო ხარჯი – 87 542 ლარი; აუდიტორული მომსახურების ხარჯი -300 ლარი; საიჯარო ქირის ხარჯი – 125 695 ლარი; პროგრამული ხარჯები (კარდაკარი) – 94 856 ლარი; სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება – 21 336 ლარი; ხოლო სხვა ხარჯები – 177 284 ლარი.

სხვადასხვა ხარჯებში (საშემოსავლო გადასახადი) სახელდება 126 584 ლარი; ევროპის ლიბერალური პარტიის საწევრო – 50 700 ლარი; სატრანსპორტო საშუალებების შეძენაში პარტიას დახარჯული აქვს 237 347 ლარი, სხვა მანქანა-დანადგარებისა და ინვენტარის შეძენაში – 101 910 ლარი.

„საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრიდან“ მიღებული დაფინანსება 50 089 ლარს შეადგენს. აქედან, 44 015 ლარი დახარჯულია მივლინებებში, 6 074 ლარი კი კონფერენციების ხარჯებია. ამჟამად პარტიის ბალანსზეა ოთხი ავტოსატრანსპორტო საშუალება, რომელთა საერთო ღირებულება 236 345 ლარია.

აუდიტორულ დასკვნას, 31 იანვარს ხელს აწერენ სერტიფიცირებული აუდიტორები, ი. ფანცულაია და ნ. ხიჯაკაძე. დასკვნა მომზადებულია აუდიტორი კომპანია „კომპაუდის“ მიერ.

პოლიტიკურ გაერთიანებებს დეკლარაციების წარდგენის ვადა პირველ თებერვალს ამოეწურათ. ანგარიშები 2011 წელს მოიცავს.

ინტერპრესნიუსი

# „ჯავახქი“ დახმარებას პუტინისგან ითხოვს

დასაწყისი მე-4 გვერდზე

*– რუსულად რატომ, თქვენ არ იცოდით სომხური თუ იმან?*

– იმან არ იცის სომხური. რუსული განათლება აქვს მიღებული. სხვათა შორის ქართული ცოტათი იცის. როცა ვსაუბრობდით, ჩვენთან მოვიდა ერთ-ერთი მოსკოველი სომეხი. რომელიც მოსკოვში ერთ-ერთი სომხური დიასპორის ხელმძღვანელია. ის არც კი იცნობდა არაბიანს. იმ დროს ეს არაბიანი მოსკოვში მცხოვრები ჯავახური დიასპორის თავკაცი იყო. ახლა კი მთელი რუსეთის მასშტაბით არის ამ დიასპორის ხელმძღვანელი. წესით და რიგით, ის რუსეთში მცხოვრები სომხების უფლებებს უნდა იცავდეს. საქართველოში მათი უფლებები ნამდვილად არ ირღვევა. საქართველოზე როცა საუბრობს, ისიც თქვას რამდენი კარგი გაკეთდა ჯავახეთის რეგიონისთვის. ადრე ახალციხიდან ახალქალაქამდე წასვლას 2 საათი სჭირდებოდა. ახლა ისეთი გზაა 35 წუთში ჩახვალ. ჩამოვიდეს და ეს ასფალტი ნახოს.

*– კარგი ასფალტი არ ნიშნავს, რომ ადამიანის უფლებები დაცულია.*

– ეგ ასეა, მაგრამ საქართველოში ჯავახეთის რეგიონში მცხოვრებ სომხებს პრობლემები ნამდვილად არ ექმნებათ. პრობლემები რუსეთში მცხოვრებ ჯავახელ სომხებს აქვთ.

*– რა პრობლემები?*

– ყველანაირი. თვე არ გავა, რუსეთიდან ჯავახეთში მოკლული ჯავახელი სომეხი არ ჩამოასვენონ.

*– ვინ ხოცავს მათ?*

– სკინჰედები. ამის გარდა რუსეთში მცხოვრებ სომხებს სხვა პრობლემებიც ექმნებათ. არაბიანმა ამ პრობლემებს მიხედოს და საქართველოს თავი დაანებოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქუთაისის ციხეში პატიმრებს ყოველ დილას აშიშვლებენ და ამცირებენ

შალვა ჯოხაძე

**სახალხო დამცველის სპეციალურმა პრევენციულმა ჯგუფმა მონიტორინგი ქუთაისის #2 და გეგუთის #14 სასჯელაღსრულების დაწესებულებებში განახორციელა. ჯგუფის წევრები პატიმრებს, დაწესებულებების თანამშრომლებსა და სამედიცინო პერსონალს გაესაუბრნენ. ძირითადი აქცენტი პატიმრებთან მოპყრობის საკითხებზე გაკეთდა. ამ მხრივ ომბუდსმენის განსაკუთრებული ყურადღების ქვეშ კვლავ ქუთაისის #2 დაწესებულება აღმოჩნდა. ომბუდსმენის ინფორმაციით, წინა მონიტორინგის დროს გამოვლენილ პატიმრებისადმი არასათანადო მოპყრობის ფაქტებთან დაკავშირებით გამოძიება მიმდინარეობს. ჯერჯერობით კონკრეტული პირების პასუხისმგებლობის საკითხი არ დამდგარა, თუმცა, სახალხო დამცველი იმედოვნებს, რომ გამოძიება ეფექტიანად და გონივრულ ვადებში წარიმართება.**

ქუთაისის №2 დაწესებულებაში განთავსებულმა მსჯავრდებულებმა სახალხო დამცველის წარმომადგენლებთან საუბრებისას აღნიშნეს, რომ, როგორც წესი, თანამშრომლები მათ უხეშად, გამომწვევად და დამამცირებლად ექცევიან. პატიმრების თქმით, დაწესებულების თანამშრომლებთან ნებისმიერი კონტაქტი მათი მხრიდან კონფლიქტისა და შეურაცხყოფის მიზეზი შეიძლება გახდეს.

პატიმრებს უფლება ეძლევათ, ერთ საათზე მეტი ხნით გავიდნენ სუფთა ჰაერზე, თუმცა, უმრავლესობა აცხადებს, რომ ისინი ამ უფლებით სარგებლობას ერიდებიან. ამის მიზეზი ისაა, რომ, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ერთი პატიმარი მეორეს მიესალმება, გასეირნება წყდება და მათ საკნებში აბრუნებენ. ამდენად, ქუთაისის №2 დაწესებულებაში კოლექტიური დასჯის მეთოდები კვლავ გამოიყენება – ერთი პატიმრის გადაცდომისთვის მთელი საკანი ისჯება, რაც ადმინისტრაციისთვის ზეწოლის დამატებითი მექანიზმია. სახალხო დამცველის ინფორმაციით, იგივე მდგომარეობაა საკნებში, სადაც პატიმრები იძულებულნი არიან, მორიგეობა დააწესონ. მორიგეს, მისი მორიგეობის დროს, სხვა პატიმრების ქმედებებზეც მოეთხოვება პასუხი. მორიგეობაზე უარის თქმა, თავის მხრივ, ფიზიკური შეურაცხყოფის ან დასჯის მიზეზი ხდება.

– აღსანიშნავია, რომ, წინა მონიტორინგისგან განსხვავებით, შეწყდა პატიმრების მოთავსება ე.წ. ბოქსებში – 2-3 კვ.მ. ფართობის სათავსოებში, სადაც არც საწოლია, არც სკამი და იქ მოთავსებულ პირებს პირდაპირ ბეტონის იატაკზე უწევთ ძილი.

მონიტორინგის ჯგუფის წევრებმა მოინახულეს სამარტოო საკნებში განთავსებული პატიმრები, რომლებმაც განაცხადეს, რომ არც განთავსებისას და არც მას შემდეგ მათ მიმართ რაიმე სახის ზეწოლა არ განხორციელებულა. თუმცა, სხვა საკნებში განთავსებულმა რამდენიმე მსჯავრდებულმა აღნიშნა, რომ, როცა ისინი სამარტოო საკნებში იმყოფებოდნენ, დამცირების მიზნით, ყოველი დილის „შემოწმებისას“ გაშიშვლებას აიძულებდნენ. აქვე აღსანიშნავია, რომ სამარტოო საკნებში, მონიტორინგის დროს, აუტანელი სიცივე იყო, – აცხადებენ სახალხო დამცველის აპარატში.

სახალხო დამცველის მიერ განხორციელებული მონიტორინგის დროს კარანტინში 23 პატიმარი იმყოფებოდა. კარანტინის საკნის გაღებისას პატიმრები თავზეხელებდაწყობილ მდგომარეობაში სახით ფანჯრისკენ დგებიან. რამდენიმე მათგანმა აღნიშნა, რომ, დაახლოებით, დღეში სამ-ოთხჯერ უწევთ ამ მდგომარეობაში სარკმელთან დგომა, რაც, შესაძლოა, ნახევარი საათიც კი გაგრძელდეს. საწოლიდან რამდენიმე წამში არ ან ვერწამოდგომის შემთხვევაში, დაწესებულების თანამშრომლები პატიმრებს სჯიან. პატიმართა ნაწილმა ისიც აღნიშნა, რომ კარანტინში ყოფნისას, დილის შემოწმებაზე, ადმინისტრაციის თანამშრომლები მათ ფიზიკურ და სიტყვიერ შეურაცხყოფას აყენებენ, თუმცა, ეს რეგულარულ ხასიათს არ ატარებს.

თითოეულ პატიმარს აბანოთი სარგებლობის უფლება კვირაში ერთხელ აქვს, თუმცა, ეს წესი კარანტინში მყოფ პატიმრებზე არ ვრცელდება.

– კარანტინში განთავსებულ პატიმრებს არა აქვთ შესაძლებლობა, გასეირნების უფლებით და აბანოთი ისარგებლონ. მათ არ ეძლევათ თეთრეული და ჰიგიენური ნივთები. უმეტეს შემთხვევაში, ისინი საერთო ჭურჭლით სარგებლობენ.

გეგუთის №14 დაწესებულებაში მონახულებული მსჯავრდებულებისგან მათ მიმართ თანამშრომლების მხრიდან მოპყრობის თაობაზე არც ერთს არ გამოუთქვამს პრეტენზია. პატიმართა გადმოცემით, მათთვის ძირითად პრობლემას ის ფაქტი წარმოადგენს, რომ დაწესებულებიდან არანაირი სახის საჩივარი და განცხადება არ იგზავნება. რაც შეეხება ადმინისტრაციასთან ურთიერთობას, მსჯავრდებულთა თქმით, დაწესებულების დირექტორი რეგულარულად მიდის მათ მოსანახულებლად, ესაუბრება და თავისი კომპეტენციის ფარგლებში დახმარებას ცდილობს. მონიტორინგის დროს სამარტოო საკნებში და კარანტინში არცერთი მსჯავრდებული არ ყოფილა განთავსებული, – აცხადებენ სახალხო დამცველის წარმომადგენლები.




გიორგი ტუღუში ხათუნა კალმახელიძის უწყებაში არსებულ დასჯის მეთოდებს ამხელს

ომბუდსმენი იმაზეც ამახვილებს ყურადღებას, რომ გეგუთის №14 და ქუთაისის №2 დაწესებულებებში იანვარში გაიხსნა „ავერსის“ აფთიაქი. ორივე აფთიაქს ემსახურება ერთი ფარმაცევტი – სამი დღე ქუთაისში და ორი დღე – გეგუთში...

სახალხო დამცველის წარმომადგენლები ის იშვიათი გამონაკლისი არიან, რომელთაც საპატიმროების მონიტორინგის უფლება აქვთ. ფაქტობრივად, საზოგადოებისათვის ციხიდან ობიექტური ინფორმაციის გამომტანებად ისინი რჩებიან, ადვოკატებსა და პატიმრების ახლობლებთან ერთად. ომბუდსმენის წარმომადგენლების თქმით, ერთ-ერთ ყველაზე პრობლემატურ ციხედ გლდანის საპყრობილე რჩება. მათი განცხადებით, გლდანის ციხეში ისეთი არაადამიანური რეჟიმია, რომ იქ პატიმრის ხანგრძლივად გაჩერება წამების ტოლფასია.

სახალხო დამცველის ინფორმაციით, გლდანის მე-8 დაწესებულებაში არის 36 სამარტოო საკანი, თუმცა, მათგან 27 ფუნქციონირებს. სამარტოო საკანში არ არის შესაბამისი პირობები პატიმრების მოსათავსებლად, რადგან საკნებში ჩადის წყალი, კედლები და ჭერი ნესტიანია და ჩამოქერცლილი. სამარტოო საკნებში არის 26 ასაკეცი საწოლი. ამ საკნების ფართობი 8.6 კვ.მ.-ია. დანარჩენი 28 საკნის ფართობი კი, 8.4 კვ.მ-ია. თითოეულ საკანს აქვს 0.6 კვ.მ. ზომის ფანჯარა. საკნებში კარებზე გამოკრულია პატიმრის ვალდებულებებისა და აკრძალვების ნუსხა. საკნების განათება საკმარისად ხდება როგორც ხელოვნური, ასევე ბუნებრივი გზით. საკნების გათბობა ხდება ცენტრალური სისტემის საშუალებით, ვენტილაცია – ბუნებრივი გზით. საპირფარეშოები ნახევრად იზოლირებულია და საკნიდან გამოყოფილია 1,66 მ. კედლით. სამარტოო საკნებში განთავსებულ პირებთან გასაუბრებისას გაირკვა, რომ ისინი ვერ სარგებლობენ გასეირნებისა და მაღაზიით სარგებლობის უფლებით. პატიმრებს არა აქვთ შხაპის მიღების საშუალება. პატიმრებისათვის არ არის ხელმისაწვდომი ბიბლიოთეკა და პრესა. სამარტოო საკნებში მოთავსებულ პატიმრებს აქვთ ჭიქა, ჯამი და პლასტმასის კოვზი. დაწესებულების ადმინისტრაცია მათ აძლევს მხოლოდ საპონს, ტუალეტის ქაღალდად კი პატიმრები ჟურნალ-გაზეთების ნახევებს იყენებენ. სამარტოო საკანში მჯდომმა ერთ-ერთმა პირმა სახალხო დამცველის წარმომადგენლებს განუცხადა, რომ მას არ უთხრეს, რამდენი დღით არის მოთავსებული სამარტოო საკანში. ასევე, მისი თქმით, ჰქონდა შიში, რომ სამარტოო საკნიდან გაყვანის შემდეგ მას კვლავ მოათავსებდენ კარანტინში. პატიმარმა ასევე განაცხადა, რომ, ხმაურის შემთხვევაში, შედიან დაწესებულების თანამშრომლები და პატიმრებს სცემენ. მისი განმარტებით, 9 თვის განმავლობაში 8-ჯერ სცემეს, თუმცა, მან ამის წერილობითი დადასტურება არ ისურვა. სახალხო დამცველის პრევენციისა და მონიტორინგის დეპარტამენტის უფროსის, ნათია იმნაძის ინფორმაციით, გლდანის მე-8 დაწესებულებაში ადმინისტრაციის მიმართ პატიმრების საჩივრების ყველაზე ნაკლები რაოდენობა შედის. თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ იქ პრობლემები არ არსებობს. საჩივრების ნაკლებობა ციხეში არსებული რეჟიმით არის გამოწვეული, ზემოთ ნახსენები პატიმრის მსგავსად, ტუსაღებს საკუთარი პრეტენზიების წერილობით გადმოცემის ეშინიათ.

აღსანიშნავია, რომ გლდანის დაწესებულებაში პატიმრები საკნებში ჩურჩულებენ, რადგანაც ჩვეულებრივი საუბრისათვის აქაც კოლექტიური დასჯის მეთოდები გამოიყენება. მსჯავრდებულებს რადიო აქვთ, მაგრამ მასაც დაბალ ხმაზე უსმენენ.

იმნაძის განცხადებით, ერთხელ ომბუდსმენის მონიტორინგის ჯგუფის წევრებმა ერთ-ერთ საკანში რადიოს ხმა აუწიეს, რასაც მსჯავრდებულების პანიკა მოჰყვა, დასჯის შეეშინდათ. პატიმრები სასეირნოდ გასვლისგან თავს გლდანშიც იკავებენ, რადგან საკნიდან გასვლისას მათი რომელიმე მოქმედება თვალში თუ არ მოუვიდათ, უმკაცრესად სჯიან. დასჯის მეთოდი გლდანში, ფიზიკურ ანგარიშსწორებასთან ერთად, საკარანტინე ოთახში ჩაყვანაცაა, სადაც პატიმრებს ბეტონის იატაკზე უწევთ ღამეების გათევა, ჩვეულებრივ საკნებში კი ღამემდე მათ წამოწოლის უფლებას არ აძლევენ.

სახალხო დამცველის პრევენციისა და მონიტორინგის დეპარტამენტის უფროსის თქმით, მძიმე მდგომარეობაა გლდანის მე-18 სამკურნალო დაწესებულებაშიც. იქ გადაყვანას პატიმრები სერიოზულად ეწინააღმდეგებიან, მათ საკანში დარჩენა და ადგილზე მკურნალობა ურჩევნიათ. ამის მიზეზი ციხის საავადმყოფოში დანერგილი ცემა-წამებაა. ალბათ, გახსოვთ რამდენიმე ხნის წინ ამ დაწესებულებაში მომხდარი გახმაურებული ფაქტი, როდესაც მსჯავრდებულ კახაბერ ბარათაშვილს სამკურნალო დაწესებულების თანამშრომლებმა იმიტომ სცემეს, რომ თირკმლის ტკივილის გამო ექიმის გამოძახება ითხოვა.

– გლდანის ციხესა და სამკურანლო დაწესებულებაში სისხლის მდინარეები არ ჩქეფს, მაგრამ იქ დიდი პრობლემებია. წარმოუდგენელია, სამკურნალო დაწესებულებაში სცემდნენ ადამიანს, ასეთი რამ არსად გამიგია, – ასეთ კომენტარს აკეთებს გლდანში არსებულ სიტუაციაზე ომბუდსმენი გიორგი ტუღუში.

სახალხო დამცველის ინფორმაციით, ასეთ ფაქტებს პროკურატურა სათანადოდ არ იძიებს. პატიმრის ცემის შემთხვევაში, გამოძიება იწყება სისხლის სამართლის კოდექსის იმ მუხლის მიხედვით, რაც სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებას გულისხმობს. გიორგი ტუღუში ამბობს, რომ წამების მუხლით გამოძიება არ ხდება და გამოძიებების შედეგებიც ნაკლებად ჩანს. ამიტომაცაა, რომ მსჯავდებულები მათი ცემისა და განხორციელებული ზეწოლის ფაქტებს იშვიათად ახმაურებენ...

როგორც ნათია იმნაძე ამბობს, ასეთი სიტუაცია იყო შარშან და, იმედია, გლდანში სიტუაცია გამოსწორდება, რადგან აქ საპყრობილესა და სამკურნალო დაწესებულებაში ხელმძღვანელი პირები შეიცვალნენ.

# რა უნდა ებრალიძეს

ნინო მეტრეველი

**იმისთვის, რისთვისაც ოპოზიციონერი პეტრე მამრაძე ნაციონალმა აკაკი ბობოხიძემ გალახა, მდიდარმა ბიზნესმენმა ალექსანდრე ებრალიძემ დააჯილდოვა.**

**ებრალიძის მიერ დაწესებულ დავით აღმაშენებლის სახელობის კონკურსში, რომელიც მესამე წელია დავით აღმაშენებლის ხსენების დღეს ტარდება, ნომინაციაში „ყველასთვის საკითხავი წიგნი“ გაიმარჯვა მამრაძის წიგნმა „აბსურდული ომი, რომელიც არ უნდა მომხდარიყო“. სწორედ მამრაძის ამ მოსაზრების გამო, რომ 2008 წლის აგვისტოს ომში საქართველოს ხელისუფლებაცაა დამნაშავე და რომ მას შეეძლო იმ მძიმე დღეების თავიდან აცილება, მოსინჯა მუშტი ბობოხიძემ რამდენიმე თვის წინ პარლამენტში.**

სხვადასხვა სახის პრემიით დაჯილდოვდნენ პროფესორი ნოდარ ტაბიძე, პოეტი ბალათერ არაბული, ყოფილი სახალხო დამცველი ნანა დევდარიანი და სხვები – სულ ოცი კაცი. ამ კონკურსისთვის პეტერბურგში მცხოვრებმა ქართველმა ბიზნესმენმა მხოლოდ ამ წელს 96 ათასი ლარი გამოყო.

„მსოფლიო ხალხთა კონგრესის“ თბილისის ფილიალის ხელმძღვანელ ნანა ჯაფარიძის განცხადებით, ლიტერატურულ კონკურსს, რომელსაც ალექსანდრე ებრალიძის ორგანიზაცია საქართველოში ატარებს, არანაირი პოლიტიკური დატვირთვა არ აქვს, თუმცა, თავად სპონსორი გამოჩენის დღიდან ამბობს, რომ ის ქართულ პოლიტიკაში შემოსვლას აპირებს.




ებრალიძესთან პოლიტიკურ პარტნიორობას არ მალავს პარტია „თავისუფალი საქართველოს“ ლიდერი კახა კუკავა. მესამე ალიანსიც, რომლის შემადგენლობაშიც კუკავას პოლიტიკურ ძალასთან ერთად ნინო ბურჯანაძე და ლევან გაჩეჩილაძე მოიაზრებიან, ებრალიძის სახელსა და ფინანსებს უკავშირდება, თუმცა, „თავისუფალი საქართველოს“ ლიდერები დაფინანსებაზე ხმებს უარყოფენ იმ უბრალო მიზეზით, რომ ებრალიძე საქართველოს მოქალაქე არ არის და მას საქართველოში პოლიტიკური პარტიის დაფინანსების უფლება არა აქვს, თორემ სიამოვნებით მიიღებდა მის ფულს.

კუკავასა და ბურჯანაძეს სახელისუფლებო მოთამაშეებად არ თვლის, მაგრამ საერთო იდეოლოგიის არარსებობის გამო მათთან პარტნიორობაზე უარი უკვე ოფიციალურად გამოაცხადა ბიძინა ივანიშვილმა.

დაჯილდოების ცერემონიალის დროს ლონისძიებაში „სკაიპით“ ჩართულ ბიზნესმენ ალექსანდრე ებრალიძეს „ახალმა თაობამ“ ქართული პოლიტიკის ახალ რეალობასთან დაკავშირებით რამდენიმე კითხვაზე პასუხის გაცემა სთხოვა.

კითხვაზე, ჰქონია თუ არა ურთიერთობა ბიძინა ივანიშვილთან, რა აზრისაა მასზე და თუ აპირებს მასთან თანამშრომლობას, ებრალიძემ პასუხი შორიდან და ქარაგმებით გასცა.

— თუ თქვენ იცით, რომ ქუჩაში ღრმა ორმოა და ხედავთ ადამიანს, რომელიც ღამის სიბნელეში იქით მიდის, შეიძლება ჩავარდეს და მძიმედ დაშავდეს, უნდა გააფრთხილოთ, იქით არ წახვიდეთ, თორემ დაიმტვრევითო. შეიძლება დაგიჯეროთ, მადლობა გადაგიხადოთ და ფათერაკი აიცილოს, მაგრამ მალევე გადაავიწყდეს, რომ სიკვდილს გადაარჩინეთ. თუ არ ეტყვით, ორმოში ჩავარდება, მერე დაეხმარებით ამოსვლაში, მადლობას გეტყვით და მასაც და მის ახლობლებსაც სულ ემახსოვრებათ, რომ სიკვდილს გადაარჩინეთ. ჩემი აზრით, უკეთესია და უფრო მართალი იქნებით, თუ მას წინასწარ გააფრთხილებთ, იმის მიუხედავად, რომ შეიძლება მომდევნო დღეს არც ახსოვდეს. ყველას ჰგონია, რომ ნიანგი, რომელიც ადამიანებს ჭამს, მას არ შეჭამს. ყველა თვითონ უნდა მიხვდეს, სად არის მისი შეცდომა.

*– უფრო რომ დავაკონკრეტოთ, ბატონო ალექსანდრე?*

– დადებითად ვუყურებ იმ პოლიტიკურ პროცესებს, რომლებიც საქართველოში მიდის, მაგრამ მასში ჩემი შესაძლებლობებით ჯერჯერობით არ ვერევი.

*– რატომ?*

– იმიტომ რომ ვიცი, უნდა მოხდეს ამ პოლიტიკური პროცესის კრისტალიზაცია.

*— თქვენს სახელთან ასოცირებული „თავისუფალი საქართველოს“ გავლით ხომ არ მოხდება ივანიშვილის ალიანსთან ურთიერთობა?*

– დიდ პატივს ვცემ ბატონ კახა კუკავას. საქართველო უნდა იყოს ნეიტრალური ქვეყანა, უნდა ჰქონდეს კარგი ურთიერთობა ამერიკასთანაც და რუსეთთანც, მაგრამ არცერთი სამხედრო ბლოკის წევრი არ უნდა იყოს.

*– მუდმივად აცხადებდით, რომ აპირებთ ქართულ პოლიტიკაში შემოსვლას. მოახლოებული საპარლამენტო არჩევნებისთვის ხომ არ აპირებთ გააქტიურებას ამ მიზნით?*

– ყველა საქმე, რომელსაც ვიწყებ, ბოლომდე მიმყავს. ამ შემთხვევაში ჩემთვის ერთადერთი ხელის შემშლელი ის მძიმე მდგომარეობაა, რომ საქართველოში არ ვარ. ძნელია, იყო საქართველოს გარეთ და მონაწილეობდე იმ პოლიტიკურ ბრძოლაში, რომელიც დღეს და ხვალ იქნება.

# მარლენ ეგუტია მარტოობას ებრძვის

ეკა ირემაშვილი

კოტე მარჯანიშვილის სახელობის თეატრის მსახიობი მარლენ ეგუტია მარტოობას ებრძვის. ასეთია მისი ახალი როლი მონოსპექტაკლში, რომელსაც „კრეპის უკანასკნელი ფირი" ეწოდება. მარჯანიშვილის თეატრის სხვენში სპექატკლის საპრემიერო ჩვენებები 10 და 11 თებერვალს გაიმართება. ნობელის პრემიის ლაურეატის სამუელ ბეკეტის ეს პიესა ქართულ თეატრალურ სივრცეში პირველად იდგმება, ამიტომაც ახალბედა რეჟისორს და სპექტაკლის მთავარ გმირსაც დიდი მოლოდინი აქვთ.


მარლენ ეგუტია

სპექტაკლში მხოლოდ ერთი მოქმედი პერსონაჟია და მის როლს მარჯანიშვილის თეატრის მსახიობი მარლენ ეგუტია ასრულებს. ეს მსახიობისთვის უკვე რიგით მეხუთე მოქმედი სპექტაკლი იქნება, რომლებშიც მსახიობი მონაწილეობს. ამჟამად მარჯანიშვილის თეატრის რეპერტუარში არსებული სპექატკლებიდან, მარლენ ეგუტია დაკავებულია ლევან წულაძის მიერ დადგმულ სპექტაკლებში „დეკამერონი" (ნიკოსტრატო), „ქაქუცა ჩოლოყაშვილი" (კალე), სოფიკო ჭიარელის მიერ აღდგენილ „ურიელ აკოსტაში" (მანასე) და გიორგი თავაძის სპექტაკლში „გიულიპ" (ალი).

მონოსპექტაკლის რეჟისორი ახალგაზრდა ხელოვანი ნიკოლოზ ლუარსაბიშვილია, რომელიც ლევან წულაძის ჯგუფში სწავლობს. სპექტაკლს მუსიკალურად გიორგი ხოსიტაშვილი აფორმებს. წარმოდგენა სამუელ ბეკეტის პიესის მიხედვით არის დადგმული. რეჟისორი მსახიობს უკანასკნელ მითითებებს აძლევს და მაყურებელთან შესახვედრად ემზადება. ნიკოლოზ ლუარსაბიშვილი დამწყები რეჟისორია და ეს მისი წინასადიპლომო სპექტაკლია. ლევან წულაძე თავისი თეატრალური სახელოსნოს სტუდენტებს ექსპერიმენტების განსახორციელებლად მარჯანიშვილის თეატრის სხვენს უთმობს.

– ეს სპექტაკლი არის მარტოობაზე, ოცნებებზე, განვლილ ცხოვრებაზე და იმ უკანასკნელ ფირზე, რომელსაც კრეპი უსმენს და მისი საშუალებით მთელი თავისი განვლილი ცხოვრება წარმოუდგება თვალწინ, – ამბობს რეჟისორი.

„კრეპის უკანასკნელი ფირი" ავტობიოგრაფიული მონოსპექტაკლია და მთავარი გმირი მთელი წარმოდგენის განმავლობაში ფირებს უსმენს. სპექტაკლის რეჟისორი სათქმელის ამოხსნას მაყურებელს ანდობს ად აცხადებს, რომ მისი ხედვით მთავარი ამ პიესაში მარტოსული მოხუცი კრეპის თავისუფლებისკენ სწრაფვაა.

– ბეკეტის ამ პიესაში სათქმელი იმდენად ბუნდოვანია, თითოეულ მაყურებელს შეუძლია ავტორის საქთმელი თავისებურად გაიგოს. ალბათ ამიტომაც არის, რომ სხვა პიესებისგან განსხვავებით, ეს ყველაზე ნათელი პიესაა, – აღნიშნავს ახალბედა რეჟისორი.

სპექტაკლზე მუშაობის პერიოდში შემოქმედებითმა ჯგუფმა აღმოაჩინა, რომ მათ არ ჰქონდათ უფლება ბეკეტთან ეთრად არ ყოფილიყვნენ მაქსიმალურად გულწრფელები, რამაც რეპეტიციები კიდევ უფრო სასიამოვნო და საინტერესო გახადა.

დამწყები რეჟისორი არ მალავს, რომ სპექტაკლში მრავლად არის აბსურდის ელემენტები, თუმცა როგორია ფინალი, ამას რეჟისორი საიდუმლოდ ტოვებს და მისი გაგება მხოლოდ პრემიერაზე მისულ მაყურებელს შეეძლება.

# დავით აღმაშენებლის უნიკალური საბუთები ეროვნულ არქივშია

ეკა ირემაშვილი

მაშინ, როცა ხელნაწერთა ეროვნული ცენტრისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ერთობლივი ძალებით გამოიცა „გელათური ხელნაწერები", დავით აღმაშენებლის ხსენების დღესთან დაკავშირებით, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნულმა არქივმა უნიკალური მასალები გამომზეურა და დოკუმენტაციის მიმოხილვა ამ დიდ მეფეს მიუძღვნა.

– ეროვნულმა არქივმა იმ დოკუმენტების მიმოხილვა გადაწყვიტა, რომლებიც ჩვენს არქივშია დაცული და დავით აღმაშენებელს შეეხება. უნიკალური საბუთები საისტორიო ცენტრალური არქივის ძველ საბუთთა განყოფილებაშია დაცული და წმინდა მეფეს უკავშირდება. ძველ საბუთთა განყოფილებაში ინახება საქართველოში დაცული, დღემდე მოღწეული დავით აღმაშენებლის მიერ გაცემული ორივე საბუთის დედანი – 1104-1118 წლების წყალობის წიგნი და შიომღვიმის მონასტრისადმი 1123 წლის ანდერძის ფრაგმენტი. ასევე, XVIII საუკუნეში გადაწერილი პირი 1125 წლის ანდერძისა, რომელიც მეფემ სიკვდილის წინ დაწერა, – განაცხადა ეროვნული არქივის წარმომადგენელმა თეა ქიმერიძემ.

ეროვნულ საარქივო ფონდში ინახება, აგრეთვე, XV-XVII საუკუნეებში გაცემული რამდენიმე წყალობისა და შეწირულების განახლების წიგნი, რომლებშიც მოხსენიებულია დავით მეფის მიერ გაცემული სიგელები.

– არანაკლებ საინტერესოა, ასევე, ხელნაწერ წიგნთა კოლექციაში დაცული XVIII საუკუნის ხელნაწერი, რომელშიც გადაწერილია არსენ მონაზონის შესხმა (ქება) დავით აღმაშენებლისადმი რუის-ურბნისის კრების მოწვევის გამო, სადაც „უწესოდ" მოღვაწე ეპისკოპოსები „განსწავლა". ამის გამო კრების სახელით არსენ მონაზონმა მეფეს მადლობა გადაუხადა, – ამბობს თეა ქიმერიძე.

ეროვნულ არქივში დაცული დავით აღმაშენებლის მიერ გაცემული საბუთების ნუსხა ასეთია: ძველ საბუთთა დედნების კოლექცია – 1123 წლის ანდერძი დავით აღმაშენებელისა შიო მღვიმის მონასტრისადმი. (უანდერძა ქართლში მდებარე რამდენიმე სოფელი, საეკლესიო ნივთები და სურსათი). ანდერძის სრულ ტექსტს თავსა და ბოლოში ჰქონია დავით აღმაშენებელის მიერ მხედრული ხელით დაწერილი ხელრთვები, რომლის პალეოგრაფიული პირი გადაღებულია კალკაზე 1911 წელს სარგის კაკაბაძის მიერ. 1104-1118 წლების გადასახადებისაგან გათავისუფლების სიგელი დავით აღმაშენებლისა ნიანია ნიანიასძისადმი. 1492-1497 წლების სიგელი ქართლის კათალიკოსის აბრაამ II აბალაკისა, მცხეთის „საყდრის შვილებთან" ერთად დავით აღმაშენებლის მიერ სვეტიცხოვლისათვის შეწირული სოფელ ჯიმითის საზღვრების შემოწმებისა და დადგენის შესახებ. ერთ-ერთ საზღვრად მოხსენებულია დავით აღმაშენებლის მიერ აშენებული ჭიაბრის ეკლესია. უნიკალურ საბუთთა შორისაა ძველ საბუთთა პირების კოლექცია – 1125 წლის ანდერძი წმიდისა მეფისა დავით აღმაშენებელისა. თავნაკლული (აკლია ორი სტრიქონი).

– ამ საკითხთან დაკავშირებით, თედო ჟორდანია,

გაგრძელება მე-10 გვერდზე

ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები

2010 წელს ხობის ხარების დედათა მონასტრის უძველეს ტაძარში არქეოლოგიური გათხრებისას აღმოჩნდა წმიდა ცოტნე აღმსარებლის საოჯახე საძვალე.

თუ გსურთ, მიიღოთ მონაწილეობა აკლდამის აღდგენასა და გამშვენებაში, დარეკეთ: მაგთი, ჯეოსელი და ბილაინი 700 607, სილქნეტი 608 608, ახალი ქსელები და ახტელი 700 608. ანგარიშზე თანხის ჩარიცხვა შეგიძლიათ სწრაფი გადახდის აპარატებით. შედით მენიუში: სხვადასხვა—საქველმოქმედო—ხობის მონასტერი.

(საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2011 წლის 11 ნოემბრის 611/15 დადგენილებით, ხობის მონასტრის რესტავრაცია—განახლებისათვის შემოწირულობის შეგროვების მიზნით გამოყოფილი სატელეფონო ნომრები: მაგთი, ჯეოსელი და ბილაინი 700 607, სილქნეტი 608 608, ახალი ქსელები და ახტელი 700 608, შეიცვალა ახალი ნომრით 0-901-900-900.

2012 წლის 10 იანვრიდან ყველა მობილური ოპერატორიდან (ბილაინის გარდა) და ქალაქის ფიქსირებული ქსელებიდან ფასიანი ზარის განხორციელება შესაძლებელია შემდეგი თანმიმდევრობით: 0-901-900-900. ბილაინის აბონენტებს ზარის განხორციელება შეუძლიათ 20 იანვრიდან).




იცხოვრეთ მომავალისთვის.
უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.

საბანკო რეკვიზიტები:
ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425
ხობი, სოფ.ნოჯიხევი
ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.
ს.ს. „ლიბერთი ბანკის" ხობის ფილიალი
ბ/კ: 220 101 465
ანგ. N 36 010 892 GEL;
136 180 892 USD;
236 180 892 EUR



თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი.
ან დარეკოთ: მაგთი, ჯეოსელი, ბილაინი — 700 607; ახალი ქსელები — 700 608; სილქნეტი — 608 608 (ზარის ღირებულებაა 1 ლარი).

ხობის ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტრის წინამძღვარი იღუმენია ანა (მუსელიანი)

## განცხადებები

● მოგიხსნით ფოტოსურათით: აგრესიას, აკვიატებას, ეჭვიანობას, თვითმკვლელობის სურვილს, კოშმარულ სიზმრებს, ოჯახურ კონფლიქტებს, დეპრესიას, ლოთობას, ჩაკეტილობას, დაძაბულობას. ტელ: 599-49-84-23.

● იყიდება ან იცვლება ბინაზე ორსართულიანი სახლი (110 კვ.მ.), ნაკვეთის ფართობი 200 კვ.მ. ფასი შეთანხმებით. მის: ნუცუბიძის I მიკრორაიონი, სახლი №5ა. ტელ: 232-52-29; 568-65-10-48; 599-41-52-29.

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა სერთიფიკატი. ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 2-96-67-03; 595-35-64-13.

● სმენის აღდგენა რამდენიმე დღეში ბიომასაჟით, ოსტეოქონდროზის, სახსრების დაავადებების, პროსტატიტის, ცისტიტის, ნევრიტების, რადიკულიტის, გასტრიტის, კოლიტის, ქოლეცისტიტისა და სხვა დაავადებების განკურნება უმოკლეს დროში. მის: ქ.თბილისი, თ.აბულაძის ქ.20, დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი. მიღება წინასწარი ჩაწერით. ტელ: 551-25-45-35, ბ-ნი ლევანი.

● წონაში დაკლება 5-15 კგ, გასუქება 2-5 კგ. აგრეთვე ვმკურნალობ კუჭ-ნაწლავის პრობლემებს, გასტრიტს, კოლიტს, შეკრულობას, კუჭის წყლულს, უნებლიე შარდვას, პროსტატიტს, იმპოტენციას უკუჩვენების გარეშე, ამერიკული მცენარეული პროდუქციით, 100%-იანი გარანტიით. ტელ: 274-81-41-57; 33-01-61.

● იყიდება, მცხეთის რაიონის სოფელ ვაზიანში, საკარმიდამო მიწის ნაკვეთები, 1000კვ.მ და 2000კვ. მ. შემოსაზღვრული, სარწყავი წყლით. ფასი: 1 კვ.მ – 3 ლარი. ტელ:. 8790-90-32-96; 2-53-15-87. 568657486.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14 ან 234-02-38 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის განმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14; 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, უნებლიე შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი შარდვისას. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 558-96-89-15; 234-02-38 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ღვიძლის ფუნქციის აღდგენა. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-96-89-15; 234-02-38 ექიმი, ქ-ნი მეგი.

## კროსვორდი ბ

**შვეულად**: 1. მაკედონიის დედაქალაქი; 2. ყურძნის კრეფა; 3. ამერიკელი მეცნიერი, რომელსაც ორჯერ მიენიჭა ნობელის პრემია ქიმიის დარგში; 4. დედამიწის ატმოსფეროში მოძრავი გავარვარებული კოსმოსური სხეული; 5. რომის, არყის მწარმოებელი ამერიკული ფირმა; 7. სამთო-სათხილამურო კურორტი საქართველოში; 11. მოძრავი სცენა თეატრში; 12. უკრაინის ფეხბურთელთა გუნდი; 13. ლომის, ვეფხვის ნაშიერი; 14. ქართველი ესტრადის მომღერალი ქალი; 15. საკურორტო ცენტრი ფლორიდაში; 17. ხოხბისნაირთა ოჯახის პატარა ფრინველი; 19. სოფელთა სახელწოდება ჩრდილო კავკასიაში.

**თარაზულად**: 5. ავტონომიური ოლქი ესპანეთში; 6. კახეთში გავრცელებული შავყურძნოვანი ვაზის ფრანგული ჯიში; 8. კუნძული ვენეციის ყურეში, პოპულარული საკურორტო ზონა; 9. ორსართულიანი სახლის ზედა სართული ფშავ-ხევსურეთში; 10. ჩაის ფოთლის დამგრეხი მანქანა; 11. ერთგულების მტკიცე პირობა; 13. ორ ენაზე შედგენილი ტექსტი; 14. რაჭა-ლეჩხუმში გავრცელებული დიდი საწნახელი; 16. სიყვარულის ღვთაება რომაულ მითოლოგიაში; 18. მამათა მონასტერი; 20. საგნის ნიმუში, ტრაფარეტი; 21. მუსლიმანთა სასულიერო სკოლა.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*



## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

**შვეულად**: 1. ნოთაობა; 2. დეკანოზი; 3. გრუბერი; 5. „კლარჯულა"; 7. ეტალონი; 9. ბოტულიზმი; 13. მიკრობი; 15. იამოტო; 16. ბრინზა; 18. ალალი.

**თარაზულად**: 4. მორიკონე; 6. გლეტჩერი; 8. „პანჩატანტრა"; 10. „სალხინო"; 11. ტარო; 12. ენგური; 14. „სილვა"; 17. რიტმი; 19. შმაგი; 20. ენოლოგია; 21. „იკაო"; 22. ბოგდიხანი; 23. დიაფანი.

კროსვორდი ბ

**შვეულად**: 1. ჭილაძე; 2. გრინგო; 3. ქურხული; 4. დიადორა; 5. საყდარი; 7. მეჯლისი; 11. ლიონი; 12. ფიაკრი; 13. „ფილიპსი"; 14. კორპუსი; 15. „მაკაბი"; 17. უზნაძე; 19. რადა.

**თარაზულად**: 5. სტაიერი; 6. „გალუაზი"; 8. გაჯი; 9. დურდო; 10. ალსეკო; 11. „ლიდა"; 13. ფილოფაგი; 14. კლოდი; 16. ბუტკო; 18. მზისა; 20. სარდელი; 21. ბეიძინი.

# ქართულ ფუტსალში არსებულ დაპირისპირებაში სფფ-მ მედიატორობა ითავა

ქართულ ფუტსალში არსებული პრობლემების გარშემო ატეხილმა ხმაურმა უკვე პიკს მიაღწია.

ქართულ მედიაში გამოქვეყნებულ წერილს, რომელსაც ხელს საქართველოს ფუტსალის ასოციაციის გამგეობის წევრები და ფუტსალის ეროვნული ნაკრების მოთამაშეები აწერენ, დიდი გამოხმაურება მოჰყვა. წერილის ავტორები, ასოციაციის გამგეობის საგანგებო სხდომის მოწვევასა და ფუტსალის მმართველი ორგანოს ახლანდელი ხელმძღვანელის – გიზო ფხოველიშვილის პოსტიდან გადაყენებას აპირებენ და მთავარ ბრალდებად მის სრულ უმოქმედობას ასახელებენ.

ფუტსალის ასოციაციის გამგეობის წევრების წერილს გამოეხმაურა საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია და მისი პრეზიდენტის, ზვიად სიჭინავას ინიციატივით, ფედერაციაში დაინიშნა შეხვედრა დაპირისპირებულ მხარეებს შორის.

შეხვედრაზე ორივე მხარე გამოცხადდა, რომელიც პრესისთვის დახურული იყო და კომენტარები მხოლოდ მისი დასრულების შემდეგ გაკეთდა.

ფედერაციის შენობა უკომენტაროდ დატოვა ფუტსალის ასოციაციის მოქმედმა პრეზიდენტმა გიზო ფხოველიშვილმა, რომელთანაც გამგეობის წევრების ძირითადი პრეტენზიებია გამოთქმული.

შეხვედრიდან გამოსული გამგეობის წევრები კი კმაყოფილები ჩანდნენ:

**ლევან გრიგოლია, ფუტსალის ასოციაციის გამგეობის წევრი:**

– ვფიქრობ, ამ შეხვედრამ საკმაოდ დადებითი შედეგი მოიტანა. უპირველესად, ის, რომ მგონი, საფეხბურთო სამყაროს ფუტსალი დაუბრუნდება ისე, როგორც საჭიროა. ბატონმა ზვიად სიჭინავამ მიიღო გადაწყვეტილებები, რომლებსაც ყველა დავეთანხმეთ. ჩვენი მომდევნო შეხვედრა პარასკევს (10 თებერვალს) შედგება და ჩვენ იმის მომხრენი ვიქნებით, რომ ქართული ფუტსალის მართვის სადავეები ხელში აილოს ფეხბურთის ფედერაციამ და მართოს ეს ორგანიზაცია, რომელიც ამ ადამიანის – ბატონ გაიოზ ფხოველიშვილის ხელში, ფაქტიურად განადგურდა. მისი თანამდებობიდან წასვლის საკითხი კვლავ დღის წესრიგშია. იმედს ვიტოვებთ, რომ ფეხბურთის ფედერაციის დახმარებით, ჩემპიონატის ჩატარების საკითხსაც მოვაგვარებთ.

**გიორგი დარჯანია, ფუტსალის ასოციაციის გამგეობის წევრი:**

– იმ დაპირებებიდან, რაც პრეზიდენტად არჩევის დროს გაიოზ ფხოველიშვილმა მოგვცა, ამ ორი წლის განმავლობაში არც ერთი არ შესრულებულა. შესაბამისად, ჩვენ გვსურს დავაყენოთ მისი პასუხისმგებლობის საკითხი. დღევანდელი შეხვედრა ბატონი ზვიადის ინიციატივით მოხდა და ჩვენ შევთანხმდით, რომ ორი დღის ვადაში ასოციაციის გამგეობის წევრებმა სფფ-ის პრეზიდენტს უნდა წარვუდგინოთ ჩვენი ხედვა, თუ როგორ გვესახება ფუტსალის შემდგომი განვითარება. ხოლო ორშაბათს, ბატონი ზვიადი და ფეხბურთის ფედერაცია მიიღებს საბოლოო გადაწყვეტილებას და ალბათ, სფფ თავის თავზე აიღებს ქართული ფუტსალის მართვას. ეს ის გადაწყვეტილებაა, რაც ჩვენ გვინდოდა მოგვესმინა და ამიტომ, დასაწყისისთვის კმაყოფილები ვართ.

**რევაზ არველაძე, სფფ-ს გენერალურმა მდივანი:**

– კარგია, რომ ეს შეხვედრა შედგა და ფეხბურთის ფედერაციის მხრიდან, პრობლემა ადეკვატურადაა აღქმული. ფაქტია, რომ ფუტსალში სერიოზული არეულობაა და გადაწყვეტილებებიც სწრაფადაა მისაღები. ჩვენ შევთანხმდით, რომ მომდევნო სამუშაო შეხვედრაზე, ორივე მხარე წარმოადგენს თავის გეგმებსა და ხედვას, რის შემდეგაც, სფფ მიიღებს გადაწყვეტილებას და დიდი ალბათობით, აქტიურად ჩაერთვება ფუტსალის მართვაში. ყოველშემთხვევაში, რაღაც დროის განმავლობაში მაინც.

ასე რომ, მომდევნო შეხვედრა დღეს გაიმართება და მომავალ კვირაში კი, საბოლოოდ გადაწყდება, რა გზას დაადგება ქართული ფუტსალი.

ჯერჯერობით, კვლავ ღიად რჩება ფუტსალში საქართველოს ჩემპიონატის დაწყების თარიღი, ვინაიდან, გამგეობის წევრების განცხადებით, ასოციაციას ჩემპიონატის კალენდარიც კი არ აქვს შედგენილი.

# საესპანეთო შემადგენლობა ცნობილია




საქართველოს მორაგბეთა ნაკრებმა უკვე დაასრულა თბილისური შეკრება და პირენეის ნახევარკუნძულზე გაემგზავრა. ბორჯღალოსნებისთვის ეს სეზონის პირველი შეხვედრაა, რომელიც მადრიდში შაბათს, 11 თებერვალს, თბილისის დროით 19:00 საათზეა დაგეგმილი.

ცნობილი გახდა ის 22-კაციანი შემადგენლობა, რომელიც ერთა თასზე ესპანეთთან მატჩისთვის მოედანზე გავა.

ბორჯღალოსნების ახალი თავკაცის, მილტონ ჰეიგის მიერ შერჩეულ სასტარტო თხუთმეტეულში 12 ლეგიონერია – 11 საფრაგეთიდან, ერთი ინგლისიდან, ხოლო სამიც ქართული კლუბებიდან.

გუნდს სათადარიგოების რანგში მიჰყვებიან ფრანგული „ვალანს დ'აჟენის“ 10 ნომერი ლაშა მალაღურაძე და „ბრივის“ მესამეხაზელი ბექა ბიწაძე. ისინი საესპანეთო განაცხადში მხოლოდ იმ შემთხვევაში მოხვდებიან, თუკი რომელიმე მორაგბემ ტრავმა უშუალოდ მადრიდული მზადებისას მიიღო.

იმასაც შეგახსენებთ, რომ „ბორჯღალოსნებს“ ერთა თასის მორიგ გათამაშებაში პირველი მატჩი უკრაინაში უწევდათ, თუმცა, შეხვედრა უამინდობის გამო გადაიდო. ამდენად, გუნდს დაგეგმილზე ხანგრძლივი შეკრება გამოუვიდა. რაც შეეხება გადადებულ მატჩს, რომლის სავარაუდო თარიღად მარტის ბოლო, ან აპრილის დასაწყისი სახელდებოდა, 9 ივნისს გაიმართება.

**ესპანეთის ნაკრებთან სასტარტო შემადგენლობა:**

მიხეილ ნარიაშვილი (მონპელიე, საფრანგეთი); შალვა მამუკაშვილი (ყოჩები); ბექა შეყლაშვილი (აჟენი, საფრანგეთი); ლევან დათუნაშვილი (ორიაკი, საფრანგეთი); [illegible] მიქაუტაძე (ტულონი, საფრანგეთი); გიორგი ჩხაიძე (სენ ჟიუნიენი, საფრანგეთი); გივი ბერიშვილი (ლოკომოტივი); დიმიტრი ბასილაია (ედინბურგი, შოტლანდია); ირაკლი აბუსერიძე (ოსერი, საფრანგეთი); მერაბ კვირიკაშვილი (სენ ჟიუნიენი, საფრანგეთი); ირაკლი მაჩხანელი (სენტ ეტიენი, საფრანგეთი); მერაბ შარიქაძე (გლოსთერი, ინგლისი); დავით კაჭარავა (ნიცა, საფრანგეთი); გიორგი შკინინი (არმია, გარემარბი); რევაზ გიგაური (ბულონი, საფრანგეთი)

მარქაფა:

კარლენ ასიეშვილი (ორტეზი, საფრანგეთი); ლევან ჩილაჩავა (ტულონი, საფრანგეთი); გიორგი ნემსაძე (ვალანს დაჟენი, საფრანგეთი); გიორგი კალმახელიძე (არმია); გიორგი ბეგაძე (ყოჩები); ბექა წიკლაური (არკად გდინია, პოლონეთი); ალექსანდრე თოდუა (ლელო).

**2012 წლის ერთა თასი**

რუმინეთი-პორტუგალია ........ 15:7

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.რუმინეთი | 1 | 1 | 0 | 0 | 15:7 | 4 |
| 2.საქართველო | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 |
| 3.რუსეთი | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 |
| 4.ესპანეთი | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 |
| 5.უკრაინა | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 |
| 6.პორტუგალია | 1 | 0 | 0 | 1 | 7:15 | 0 |

**მომავალი მატჩების განრიგი:**

**11 თებერვალი:** ესპანეთი-საქართველო; პორტუგალია-რუსეთი; რუმინეთი-უკრაინა;

**25 თებერვალი:** საქართველო-პორტუგალია; რუსეთი-რუმინეთი; უკრაინა-ესპანეთი;

**10 მარტი:** რუმინეთი-საქართველო; პორტუგალია-ესპანეთი; რუსეთი-უკრაინა;

**17 მარტი:** საქართველო-რუსეთი; ესპანეთი-რუმინეთი;

**24 მარტი:** უკრაინა-პორტუგალია;

**19 მაისი:** რუსეთი-ესპანეთი;

**9 ივნისი:** უკრაინა-საქართველო

**2011-12 წლების ერთა თასის ჯამური ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.საქართველო | 5 | 5 | 0 | 0 | 168:35 | 22 |
| 2.რუმინეთი | 6 | 4 | 0 | 2 | 181:76 | 20 |
| 3.პორტუგალია | 6 | 3 | 0 | 3 | 120:113 | 14 |
| 4.რუსეთი | 5 | 2 | 0 | 3 | 100:98 | 11 |
| 5.ესპანეთი | 5 | 2 | 0 | 3 | 92:175 | 10 |
| 6.უკრაინა | 5 | 0 | 0 | 5 | 61:225 | 0 |

# კაპელო წავიდა, ჰიდინკს მისვლა უნდა



ფაბიო კაპელო



გუს ჰიდინკი

ფაბიო კაპელო ინგლისის ნაკრების მწვრთნელის თანამდებობიდან გადადგა. 65 წლის იტალიელმა სპეციალისტმა ეს გადაწყვეტილება თავად მიიღო მას შემდეგ, რაც ინგლისური ფეხბურთის ხელმძღვანელს დევიდ ბერნშტეინს ესაუბრა.

კაპელო ბოლო მომენტამდე იცავდა ნაკრების კაპიტან ჯონ ტერის, რომელსაც რასისტული გამოვლინებების გამო ინგლისის ფეხბურთის ასოციაცია კაპიტნობიდან გადაყენებას უპირებს და კაპელოს წასვლა ამ სკანდალური ამბავის გამოძახილია.

ყველაფერი მაშინ დაიწყო, როდესაც ტერიმ „ჩელსისა“ და „ქუინზ პარკ რეინჯერსს“ შორის ინგლისის პრემიერლიგის შეხვედრაში რასისტული სიტყვებით შეურაცხყო მოწინაალმდეგე ანტონ ფერდინანდი. ამ ინციდენტის შემდეგ ფეხბურთის ასოციაციამ ტერის ნაკრების კაპიტნობიდან გადაყენება დაუპირა ისე, რომ ნაკრების მწვრთნელისთვის აზრი არ უკითხავს.

კაპელო ამ დროს იტალიაში იმყოფებოდა. ის ინგლისში ჩაფრინდა, ბერნშტეინს შეხვდა და თავად გადადგა. იტალიელი მწვრთნელი ინგლისის ნაკრებს 2008 წლიდან წვრთნიდა.

ტერის მაგივრად კი ნაკრების კაპიტნად ასოციაცია სავარაუდოდ დანიშნავს დაცვის ხაზში მის მეწყვილე რიო ფერდინანდს, რომელიც ტერისგან შეურაცხყოფილი ანტონ ფერდინანდის უფროსი ძმა არის.

კაპელომ ინგლისის ეროვნული ნაკრები 2008 წელს ჩაიბარა და მისი ხელმძღვანელობით, გუნდი 2010 წლის მსოფლიო ჩემპიონატის მერვედფინალში გავიდა, 2012 წელს, პოლონეთსა და უკრაინაში გასამართ ევროპის ჩემპიონატზე კი, გუნდი ფინალში ვადაზე ადრე გაიყვანა. იტალიელის მეთაურობით, ინგლისის ნაკრებმა არსებობის ისტორიაში მოგებული მატჩების საუკეთესო პროცენტი აჩვენა – 42 თამაშიდან მათ 28 მოიგეს, 8 ფრედ დაასრულეს და მხოლოდ 6-ჯერ დამარცხდნენ.

დაიწყეს თუ არა ინგლისელებმა ახალი მწვრთნელის ძებნა, ეს ჯერ უცნობია, თუმცა ბრიტანული მედიის ინფორმაციით, ჰოლანდიელმა სპეციალისტმა გუს ჰიდინკმა ინგლისის ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელის ვაკანტური თანამდებობის დაკავების სურვილი გამოთქვა.

ერთია, ინგლისური ფეხბურთის მმართველები ადრე გამუდმებით ამტკიცებდნენ, რომ კაპელოს შემდეგ ნაკრებს ინგლისელ სპეციალისტს ჩააბარებდნენ. უმთავრეს ფავორიტად ლონდონის „ტოტენჰემის“ მთავარი მწვრთნელი ჰარი რედნაპი ითვლება, თუმცა, კაპელოს ნაადრევმა გადადგომამ და ჰიდინკის სურვილმა, შესაძლოა, გარკვეული კორექტივები შეიტანოს.

რაც შეეხება ჰიდინკის სანაკრებო მიღწევებს, მან ჰოლანდიის ნაკრები 1998 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ნახევარფინალში გაიყვანა, ოთხი წლის შემდეგ იგივე მიღწევა სამხრეთ კორეის ნაკრებთან ერთად გაიმეორა. 2008 წელს, ჰოლანდიელის ხელმძღვანელობით, რუსეთის ნაკრები ევროპის ჩემპიონატის ნახევარფინალში გავიდა, ხოლო ბოლოს, ჰიდინკი თურქეთის ნაკრებს ავარჯიშებდა, მაგრამ მასთან ერთად წარმატებას ვერ მიაღწია.

შეგახსენებთ იმასაც, რომ ევროპის ჩემპიონატის ჯგუფურ ეტაპზე, ინგლისელთა მეტოქეები უკრაინა, შვედეთი და საფრანგეთი იქნებიან.

# „ინდიანასთან“ მოგებულ მატჩში ფაჩულიას ორმაგ დუბლამდე ცოტა დააკლდა



ზედიზედ სამი წაგების შემდეგ ატლანტელებმა ნავსი გატეხეს და შინაურ კედლებში „ინდიანა“ დაამარცხეს 97:87. ეს სულაც არ გახლდათ იოლი გამარჯვება. „ინდიანა“ მიმდინარე სეზონში საკმაოდ კარგად თამაშობს და ცხრილში ამ წაგებამდეც და მის მერეც „ატლანტაზე“ წინ იმყოფება.

ზაზა ფაჩულიას გუნდმა პირველი ტაიმის შემდეგ 18-ქულიანი ლიდერობა მოიპოვა, მაგრამ ინდიანელები არ გატყდნენ და მესამე მეოთხედის 31:21 მოგების შემდეგ ჩამორჩენა 8 ქულამდე შეამცირეს. გადამწყვეტ მეოთხედში თანაბარი ბრძოლა გაიმართა, რაც მოლიდერე ატლანტელებს აწყობდათ და მასპინძლებმა საბოლოოდ სანადელს მიაღწიეს.

ქართველის ცენტრი ტრადიციულად სასტარტო ხუთეულში იყო. ზაზამ მოედანზე 38 წუთში 9 ქულა, 8 მოხსნა, 2 პასი, 2 ჩაჭრა და 1 დაფარება მოაგროვა. როგორც ჩანს, ფაჩულია საკმაოდ პროდუქტიული იყო და ორმაგ დუბლამდეც მცირედი დააკლდა. ზაზამ 6 ორქულიანიდან 2 გამოიყენა, ხოლო 8 საჯარიმო სროლიდან კალათში 5 მოათავსა.

17 მოგებითა და 9 წაგებით „ატლანტა“ აღმოსავლეთ კონფერენციის ცხრილში კვლავ მეოთხე ადგილზეა. მის წინ სწორედ „ინდიანაა“, რომელსაც 17 მოგების წილ 8 მარცხი აქვს. მომდევნო მატჩში, 11 თებერვალს, „ატლანტას“ სერიოზული გამოცდა ელის – ორლანდოში „მეჯიქს“ ხვდება.

# შედეგები

## ფეხბურთი

**აფრიკის ერთა თასი**

ზამბია-განა ........ 1:0
მალი-კოტ დივუარი ........ 0:1

**ინგლისი. ასოციაციის თასი**

მიდლსბრო-სანდერლენდი .... 1:2(დდ)

**ესპანეთი. სამეფო თასი**

ბარსელონა-ვალენსია ........ 2:0

**იტალია. თასი**

მილანი-იუვენტუსი ........ 1:2

**იტალია. სერია ა**

კატანია-რომა ........ 1:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.იუვენტუსი | 21 | 12 | 9 | 0 | 33:13 | 45 |
| 2.მილანი | 22 | 13 | 5 | 4 | 43:19 | 44 |
| 3.უდინეზე | 22 | 12 | 5 | 5 | 33:20 | 41 |
| 4.ლაციო | 22 | 11 | 6 | 5 | 34:22 | 39 |
| 5.ინტერი | 22 | 11 | 3 | 8 | 34:29 | 36 |
| 6.რომა | 22 | 10 | 5 | 7 | 36:26 | 35 |
| 7.ნაპოლი | 22 | 7 | 10 | 5 | 36:24 | 31 |
| 8.პალერმო | 22 | 9 | 4 | 9 | 32:32 | 31 |
| 9.ჯენოა | 21 | 9 | 3 | 9 | 31:38 | 30 |
| 10.ფიორენტინა | 21 | 7 | 7 | 7 | 23:19 | 28 |
| 11.კალიარი | 22 | 6 | 9 | 7 | 20:23 | 27 |
| 12.პარმა | 21 | 7 | 6 | 8 | 27:34 | 27 |
| 13.კიევო | 22 | 7 | 6 | 9 | 19:28 | 27 |
| 14.კატანია | 20 | 5 | 9 | 6 | 23:29 | 24 |
| 15.ატალანტა | 21 | 7 | 8 | 6 | 25:27 | 23 |
| 16.ბოლონია | 21 | 5 | 7 | 9 | 18:26 | 22 |
| 17.სიენა | 21 | 4 | 8 | 9 | 21:22 | 20 |
| 18.ლეჩე | 22 | 4 | 5 | 13 | 22:38 | 17 |
| 19.ჩეზენა | 21 | 4 | 4 | 13 | 13:31 | 16 |
| 20.ნოვარა | 22 | 2 | 7 | 13 | 19:42 | 13 |

**გერმანია. თასი**

ჰერტა-გლადბახი ........ 0:2(დდ)
ჰოფენჰაიმი-ფიურტი ........ 0:1
შტუტგარტი-ბაიერნი ........ 0:2

**საფრანგეთი. თასი**

ლიონი-ბორდო ........ 3:1(დდ)
ვალანსიენი-ლილი ........ 2:1
შატორუ-მონპელიე ........ 0:2
გაზელეკ აიაჩო-დრანსი ........ 2:0

**ჰოლანდია. ეკრედივიზიონი**

დენ ჰააგი-ალკმაარი ........ 0:6

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პსვ | 20 | 12 | 6 | 2 | 53:22 | 42 |
| 2.ალკმაარი | 20 | 13 | 3 | 4 | 43:18 | 42 |
| 3.ტვენტე | 19 | 11 | 6 | 2 | 52:19 | 39 |
| 4.ჰერენვენი | 20 | 10 | 7 | 3 | 47:31 | 37 |
| 5.ფეინოორდი | 20 | 11 | 4 | 5 | 41:26 | 37 |
| 6.აიაქსი | 20 | 9 | 7 | 4 | 49:30 | 34 |
| 7.ვიტესი | 20 | 9 | 5 | 6 | 25:20 | 32 |
| 8.გრონინგენი | 20 | 8 | 5 | 7 | 32:36 | 29 |
| 9.როდა | 20 | 9 | 1 | 10 | 37:45 | 28 |
| 10.ერაკლესი | 20 | 6 | 6 | 8 | 32:28 | 24 |
| 11.ვალვაიკი | 20 | 7 | 3 | 10 | 24:33 | 24 |
| 12.ნაიმეგენი | 20 | 7 | 2 | 11 | 20:29 | 23 |
| 13.ბრედა | 20 | 6 | 4 | 10 | 25:33 | 22 |
| 14.დენ ჰააგი | 20 | 6 | 4 | 10 | 25:42 | 22 |
| 15.უტრეხტი | 20 | 5 | 6 | 9 | 31:38 | 21 |
| 16.ექსელსიორი | 20 | 3 | 5 | 12 | 15:45 | 14 |
| 17.გრააფსხაპი | 19 | 3 | 4 | 12 | 17:42 | 13 |
| 18.ვენლო | 20 | 3 | 4 | 13 | 19:50 | 13 |

**პორტუგალია. თასი**

ნაციონალი-სპორტინგი ........ 1:3

**შოტლანდია. პრემიერლიგა**

ჰართსი-სელტიკი ........ 0:4

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.სელტიკი | 25 | 20 | 2 | 3 | 52:16 | 62 |
| 2.რეინჯერსი | 25 | 18 | 4 | 3 | 47:14 | 58 |
| 3.მოზერველი | 24 | 12 | 5 | 7 | 31:29 | 41 |
| 4.ჰართსი | 25 | 10 | 5 | 10 | 30:22 | 35 |
| 5.სტ.ჯონსონი | 24 | 10 | 5 | 9 | 32:27 | 35 |
| 6.აბერდინი | 25 | 7 | 8 | 10 | 27:30 | 29 |
| 7.კილმარნოკი | 24 | 6 | 10 | 8 | 28:35 | 28 |
| 8.დანდი | 24 | 6 | 9 | 9 | 33:38 | 27 |
| 9.სტ.მირენი | 25 | 6 | 9 | 10 | 25:36 | 27 |
| 10.ინვერნესი | 24 | 7 | 5 | 12 | 30:40 | 26 |
| 11.ჰიბერნიანი | 24 | 4 | 6 | 14 | 24:45 | 18 |
| 12.დანფერმლაინი | 25 | 4 | 6 | 15 | 27:54 | 18 |

**ბელგია. თასი**

კორტრაიკი-მონსი ........ 2:2

**საბერძნეთი. სუპერლიგა**

ასტერასი-ლევადიაკოსი ........ 0:1
პანეთოლიკოსი-დოჰა ........ 0:2

## კალათბურთი

**ნბა. რეგულარული სეზონი**

ვაშინგტონი-ნიუ იორკი ........ 93;107
კლივლენდი-კლიპერსი ........ 99:92
ორლანდო-მაიამი ........ 102:89
ტორონტო-მილუოკი ........ 99:105
ფილადელფია-სან ანტონიო ... 90:100
ატლანტა-ინდიანა ........ 97:87
ზაზა ფაჩულია: 9 ქულა, 8 მოხსნა
ნიუ ჯერსი-დეტროიტი ........ 92:99
მემფისი-მინესოტა ........ 85:80
ნიუ ორლეანი-ჩიკაგო ........ 67:90
დენვერი-დალასი ........ 95:105
პორტლენდი-ჰიუსტონი ........ 96:103

**ევროლიგა. ელების თასი**

ეფესი-ოლიმპაიკოსი ........ 65:67
მონტეპასკი-უნიკახა ........ 84:69
ბილბაო-რეალი ........ 93:69
მილანი-უნიქსი ........ 63:58

## ჩოგბურთი

**ვტა. პარიზი. ხალიჩა**

ნიკულესკუ-გაიდიშოვა ... 6:1;4;6;6:4
ზაკოპალოვა-კორნე ........ 6:3;6:1
ვინჩი-პალეპი ........ 6:4;6:4
მედინა გარიგესი-პარმენტიე ........ 6:2;3:6;3:6
მაკჰეილი-ლეპჩენკო ........ 6:4;7:5
ვიკმაიერი-კრეიბასი ........ 6:1;6:0
შარაპოვა-სჰეპერსი ........ 6:3;6:1
გერგესი-ცეტკოვსკა ........ 6;1;6:4

**ვტა. პაატაია. პარდი**

ზვონარევა-ამანმურადოვა .... 6:3;6:3
კირილენკო-როდიონოვა აწ. 2:6;6:3;7:6
კეტავონგი-მირზა ........ 4;6;5;7
კინგი-კუდრიავცევა ........ 6;1;6;3

## ჰოკეი

**ნჰლ. რეგულარული სეზონი**

ბუფალო-ბოსტონი ........ 6:0
დეტროიტი-ედმონტონი ........ 4:2
ანაჰაიმი-კაროლინა ........ 3:2(ოტ)
სან ხოსე-კალგარი ........ 3:4

მოამზადა მიხეილ ქორქოლიანმა

# ნიკოლოზ რურუა ზუგდიდში ჩავიდა

ეკა ირემაშვილი

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი ნიკოლოზ რურუა ზუგდიდში ჩავიდა და მთავრობის სხდომამდე, ზუგდიდის რამდენიმე კულტურული დაწესებულება მოინახულა.

მინისტრმა შალვა დადიანის სახელობის დრამატული თეატრის შენობა დაათვალიერა, სამხატვრო გალერეის დარბაზში სახელოვნებო სკოლების პედაგოგებს შეხვდა და რამდენიმე მათგანს დამსახურებული პედაგოგის წოდება მიანიჭა.

ზუგდიდში დაგეგმილი შეხვედრების დასასრულს კი ნიკოლოზ რურუამ დადიანების სასახლეთა ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმის რესტავრირებული ნაწილი დაათვალიერა და მუზეუმის თანამშრომლებს შეხვდა. კულტურის მინისტრმა დადიანების მუზეუმს პროექტორი, ეკრანი და პორტატული კომპიუტერი გადასცა.

ჯერ კიდევ გასულ წელს საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა განაცხადა, რომ დადიანების სასახლის რეაბილიტაცია იწყება და მასთან ერთად ბოტანიკური ბაღის რეაბილიტაციაც მოხდება. პრეზიდენტის თქმით, სარეაბილიტაციო სამუშაოების დასრულების შემდეგ, ზუგდიდი სამეგრელოს მთავარ ცენტრად გადაიქცევა.

– ზუგდიდის მასშტაბური რეკონსტრუქცია დაწყებულია. აქამდე ყველანი კონცენტრირებულები ვიყავით ინფრასტრუქტურაზე, გზებზე, წყალკანალიზაციის სისტემაზე, მაგრამ ჩვენ არასოდეს გვავიწყდება, რომ სამეგრელოს მთავარი ცენტრი, გული, მთავარი ადგილი და ყველაზე მეტი ხალხი ზუგდიდშია. ამიტომ, ჩვენ ვიწყებთ ძალიან დიდი მოედნის კეთებას, თავისი ინფრასტრუქტურით, კაფეებით, ვიწყებთ დადიანის სასახლისა და ბოტანიკური ბაღის რესტავრაციას და ეს იქნება ერთ-ერთი საუკეთესო ადგილი მთელ სამეგრელოში, – განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა.



ნიკოლოზ რურუა

იმისათვის, რომ საზოგადოება კიდევ ერთხელ დარწმუნდეს, რა დიდი საგანძურია დაცული დადიანების სასახლეთა ისტორიულ-არქიტექტურულ მუზეუმში, გასულ წელს მუზეუმში დაცული საგანძურის გამოფენაც მოეწყო.

– საქართველოს მუზეუმებს შორის ერთ-ერთი გამორჩეული ადგილი უკავია დადიანების სასახლეთა ისტორიულ-არქიტექტურულ მუზეუმს, რომლის პირველსაწყისს ჯერ კიდევ 1840-იან წლებში დაუდო სათავე სამეგრელოს მთავარმა დავით დადიანმა. მუზეუმის ფონდებში ამჟამად დაცულ 41.000-ზე მეტ ექსპონატს შორისაა ეროვნული კულტურული მემკვიდრეობის უნიკალური ნიმუშები – მოყოლებული ბრინჯაოს ხანიდან დამთავრებული დადიანების საგვარეულოს მემორიალური რელიქვიებით და ევროპული კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშების საკმაოდ მდიდარი კოლექციით. მიუხედავად იმისა, რომ დადიანების სასახლეთა ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმი ღიაა დამთვალიერებლისათვის, მისი სრულყოფილი ფუნქციონირებისათვის ჯერ კიდევ ბევრი პრობლემაა გადასაჭრელი. მატერიალურ-ტექნიკური ბაზის პრობლემების მოგვარების გარდა, აუცილებელია ფონდებში დაცული უნიკალური მასალების გამომზეურება და სათანადოდ ექსპონირება, რათა იგი ხელმისაწვდომი გახდეს სპეციალისტებისა და ფართო საზოგადოებისათვის. სწორედ ამ მიზანს ისახავდა პროექტი „დადიანების სასახლეთა ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმის საგანძურის საგამოფენო დარბაზების რეაბილიტაცია“, რომელიც შემუშავდა საქართველოს მუზეუმების ასოციაციის მიერ და დაფინანსდა იაპონიის მთავრობის მიერ, საქართველოში იაპონიის საელჩოს მეშვეობით. სარეაბილიტაციო სამუშაოები განხორციელდა ააიპ „საქართველოს მემკვიდრეობის“ მიერ, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს, თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიისა და იუნესკოის საქართველოს ეროვნული კომიტეტის ხელშეწყობით. ამ პროექტის განხორციელების შედეგად, საზოგადოებამ პირველად იხილა თანამედროვე სამუზეუმო ტექნოლოგიით აღჭურვილ დარბაზებში გამოფენილი საგანძურის ის ნიმუშები, რომლებიც აქამდე არასოდეს ყოფილა გამოფენილი. ჩვენ, კულტურის სამინისტრომ საჭიროდ ჩავთვალეთ, ამ მუზეუმის მონახულება და მისთვის პროექტორის, ეკრანისა და პორტატული კომპიუტერის გადაცემა, – აღნიშნა კულტურის მინისტრმა ნიკოლოზ რურუამ.

# ქეთი მელუა გათხოვდა

დასაწყისი მე-12 გვერდზე

ქეთი მელუა ჯეიმს ტოუზლენდთან სასიყვარულო ურთიერთობის გაბმამდე ქართველი მომღერალი ერთ-ერთი ბრიტანული ჯგუფის ვოკალისტს ლუკ პრიჩარდს ხვდებოდა. მასთან რომანი ქეთი მელუამ 2005 წელს დაასრულა.

ბრიტანეთის ვარსკვლავმა ქეთი მელუამ საბოლოო გადაწყვეტილება მიიღო და თავისი ცხოვრება მსოფლიოს ორგზის ჩემპიონს მოტორბოლაში ჯეიმს ტოუზლენდს დაუკავშირა. როგორც ბრიტანული მედია იუწყება, ბლუზის, ჯაზის და ფოლკ-პოპის უბადლო ქართველი შემსრულებელი უკვე დიდი ხანია სპორტსმენზეა შეყვარებული და თუკი საჭიროება მოითხოვს, მზად არის საყვარელი ადამიანისთვის ცხოვრების წესიც რადიკალურად შეცვალოს.

– ჯეიმს ტოუზლენდთან თავს ბედნიერად ვგრძნობ. წინ საკმაოდ გადატვირთული ტურნე მელოდება, რომელიც ჩემს ახალ ალბომთან არის დაკავშირებული, მაგრამ ამის მიუხედავად, მაინც ბედნიერი ვარ და მიხარია, რომ საბოლოო გადაწყვეტილება მივიღე, – ამბობს ქეთი მელუა.

მიუხედავად იმისა, რომ მომღერალს თავის სამომავლო გეგმებზე საუბარი არ სურს, ცნობილია, რომ 5 მარტს ქეთი მელუა თავისი მორიგი ალბომის „საიდუმლო სიმფონია“ პრეზენტაციას გამართავს. ახალ ალბომში უკვე ნამღერი, სხვისი სიმღერების ქეთისეული ინტერპრეტაციებია გაერთიანებული. ალბომს მუსიკალურად მაიკ ბიტის სიმფონიური ორკესტრი აფორმებს. ქართველ მომღერალს გადაწყვეტილი აქვს თავისი ახალი ალბომი მთელს მსოფლიოს გააცნოს, თუმცა მისი საგასტროლო ტურნე ევროპიდან დაიწყება.

– ყოველთვის მინდოდა რაიმე მსგავსი გამეკეთებინა. სხვისი სიმღერების შესრულება ხმის ახალ შესაძლებლობებს ავლენს. იდეა ისეთი სიმღერების მოძიება იყო, რომელიც დიდებულმა ადამიანებმა დაწერეს. როგორც იქნა, ჩემი ოცნება რეალობად ვაქციე და ახლა უკვე ალბომის პრეზენტაციისთვის ვემზადები. ძალიან ვნერვიულობ, ვიცი, რომ როდესაც მუსიკას უსმენ, შენთვის კონკრეტულ სიმღერასთან კონკრეტული გრძნობა ასოცირდება. ამიტომ არის, რომ ყველა ადამიანი განსხვავებულად აღიქვამს ერთსა და იმავე მუსიკას. სულ სხვაა როცა სიმღერებს თვითონ ვწერ. იმ მომენტში ვწერ ყოველთვის იმ წუთას განცდილს და შემდეგ ხშირად აღარ მახსოვს, რას ეძღვნება ჩემი სიმღერები, – განაცხადა ქართველმა მომღერალმა.

ქეთი მელუამ თავისი სასიმღერო კარიერა ინგლისში დაიწყო. მისმა ოჯახმა საქართველო გასული საუკუნის 90-იან წლებში დატოვა, როცა საქართველოში სრული განუკითხაობა სუფევდა. ქეთი მელუა მსოფლიოში ცნობილი 15 წლის ასაკში გახდა, როცა ქართველმა მომღერალმა ბრიტანეთის სატელევიზიო არხის მიერ ჩატარებულ კონკურსში მიიღო მონაწილეობა და გამარჯვებაც მოიპოვა. სწორედ აქედან დაიწყო ქეთი მელუას შემოქმედებითი აღმასვლა. თავისი ორიგინალური სასიმღერო მანერით ქეთი მელუამ არა მარტო რიგითი ბრიტანელების და მსოფლიო მსმენელების მოწონება დაიმსახურა, არამედ ცნობილია, რომ ქართველი მომღერალი ბრიტანეთის დედოფლის ელისაბედ მეორის ერთ-ერთი საყვარელი შემსრულებელია. ქეთი მელუამ კარიერის განმავლობაში ოთხი დისკი გამოუშვა. ქართველი მომღერალი საკმაოდ ძვირადღირებული შემსრულებელია, იგი ერთ კონცერტში 700.000 დოლარს იღებს. მან თავისი თავდაუზოგავი შრომის წყალობით, თანხებიც მრავლად დააგროვა და ბრიტანელ ახალგაზრდა მილიონერთა ათეულშიც მოხვდა. ქართველმა მომღერალმა 10,76 მილიონი გირვანქა სტერლინგი გამოიმუშავა.

# დავით აღმაშენებლის უნიკალური საბუთები ეროვნულ არქივშია

დასაწყისი მე-8 გვერდზე

„ქრონიკების“ მეორე ტომში წერს: „ელისაბედ ზაალის ასულ თუმანოვის ხელნაწერებში ჩვენ ვიპოვეთ ქართველ წმიდათა ცხოვრება (მარტირიკა), XVIII საუკუნეში გადაწერილი (იოილ მესხიევის მიერ), რომელშიც გადამწერს შეუტანია წმიდა მეფის დავით აღმაშენებლის ანდერძი, სიკვდილის წინ დაწერილი. სწორედ ამ ანდერძის ერთ-ერთი პირი ინახება განყოფილებაში. დედანი დაკარგულია, – აღნიშნავს თეა ქიმერიძე.

ეროვნულ არქივშია 1491 წლის ყმა-მამულის შეწირულების განახლების წიგნი იმერეთის მეფე ბაგრატისა მთის წმიდა გიორგის ეკლესიისადმი. განუახლა დავით აღმაშენებლის მიერ შეწირული საეკლესიო ნივთები. ასევე 1658-1660 წლების სახელოს (ციხისთავობის) და ყმა-მამულის წყალობის განახლების წიგნი იმერეთის მეფე ალექსანდრესი ციხისთავ იოვანე ომადმანიძესადმი. განუახლა დავით აღმაშენებლის მიერ მისი წინაპრებისათვის ნაწყალობევი ციხისთავობა, ვახანის ციხე, ქვაბი, მოლითი. არანაკლებ საინტერესოა ქართულ ხელნაწერთა კოლექცია, რომელიც აერთიანებს XVIII საუკუნის შესხმას დავით აღმაშენებელისა მღვიმის წინამძღვარ მონაზონ არსენისაგან. ეს შესხმა დავითის თანამედროვე არსენმა დაწერა კრების სახელით. მინაწერი მხედრულით. ხელრთვა – იოანე მღვიმელი.

საქართველოს აღმშენებელი მეფის დავით მეოთხის უნიკალური საბუთების მიმოხილვასთან ერთად, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნული არქივის რესტავრაციისა და მიკროფილმირების ლაბორატორიაში გაზეთ „ტიფლისსკი ლისტოკის“ 1912-1913 წლებში გამოცემული ნომრების რესტავრაცია ჩატარდა.

– ეროვნული არქივის სამეცნიერო-საცნობარო ბიბლიოთეკაში, უნიკალურ წიგნებთან ერთად, დაცულია პერიოდული გამოცემებიც. რუსულენოვანი გაზეთი „ტიფლისსკი ლისტოკი“ მკვლევრების განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს, ვინაიდან ის არამარტო საქართველოს, არამედ ამიერკავკასიაში მიმდინარე მოვლენებს ასახავდა. ყოველდღიური, ილუსტრირებული „ტიფლისსკი ლისტოკი“ თბილისში 1886-1919 წლებში გამოდიოდა და ლიტერატურულ-პოლიტიკური გამოცემა იყო. აქ, ძირითადად, იბეჭდებოდა ქრონიკა და ახალი ამბები, – ამბობს თეა ქიმერიძე.

ამ ეტაპზე რესტავრირებულია 142 ნომერი, რომელიც 355 ფურცლისაგან შედგება. დაზიანებული ფურცლებს ჩაუტარდა დეზინფექცია, დამუშავდა თითოეული გვერდი, გამაგრდა ფურცლის კიდეები და დაიფარა კონდენსატორული ქაღალდით. გაზეთის რესტავრირებული ნომრები ბიბლიოთეკის საცავში დაბრუნდება და მკითხველებისათვის ხელმისაწვდომი გახდება.

დავით აღმაშენებლის ხსენების დღეს კინოს სახლში სამეცნიერო კონფერენცია და კონცერტი ჩატარდა, რომლის ინიციატორიც ქართველ თავად-აზნაურთა საკრებულო იყო. კონფერენციაზე წაიკითხეს მოხსენება „დავით აღმაშენებელი – პოლიტიკოსი, პოეტი და მხედართმთავარი“. კონფერენციაში მონაწილეობდნენ მეცნიერებისა და კულტურის მუშაკები და თავად-აზნაურთა საკრებულოს წევრები.

გაზეთი „ახალი თაობა“ გთავაზობთ სერიას 32 ტომი

მსოფლიო დეტექტივების სეიფი

ტომი 1. ჯეიმს ჰედლი ჩეიზი. დათარსული კაცი.
2. ართურ კონან დოილი. მოწამლული სარტყელი. შერლოკ ჰოლმსის თავგადასავალი.
3. სიდნეი შელდონი. ნიღაბჩამოხსნილი სახე. უცნობი სარკეში.
4. აგათა კრისტი. მივიწყებული მკვლელობა.
5. ჯადსონ ფილიფსი. სახლი მთაზე. ჭორების ქალაქი.
6. როს მაკდონალდი. კვალს მივყავართ ელ რანჩოში.
7. ჯონ დიქსონ კარი. იმპერატორის საბურნუთე. სიკვდილი არარსებულ ოთახში.
8. ჯო ჰორზი. მტაცებელთა ჟამი.
9. დეშილ ჰემეთი. მინის გასაღები. უაზრო საქმე.
10. ბორის აკუნინი. ლევიათანი.
11. ჩარლზ პ. სნოუ. სიკვდილი იალქნის ქვეშ.
12. დიკ ფრენსისი. ფავორიტი.
13. რაიმონდ ჩანდლერი. ქალი ტბაში.
14. სეიტო მაცუმოტო. მკვიდრთა სამყარო.
15. სირილ ფეირი. წმინდა ინგლისური მკვლელობა.
16. ფრიდრიხ დიურენმატი. ავარია.
17. ჟორჟ სიმენონი. ყვითელი ძაღლი.
18. ბუალო-ნარსჟაკი. ქალი, რომელიც სიცოცხლეს გამოასალმეს.
19. იჟი ედიგეი. თვითმკვლელის ანდერძი.
20. ფრედ ვარგასი. წამოდექით, მიცვალებულებო!
21. ედგარ ალან პო. მკვლელობა მორგის ქუჩაზე.
22. ჯონ ლე კარე. მკვლელობა ჯენტლმენურად.
23. ჰაინერ რანკი. მწვანე მოჩვენება.
24. ჯეფრი ჰადსონი. საგანგებო შემთხვევა.
25. კრისტინ ზემსკი. ოქროს საცეცები.
26. ჯეიმს ჰედლი ჩეიზი. ქვის ჯუნგლი. მოწმეები არ იქნებიან.
27. პერ ვალე. 31-ე განყოფილების დაღუპვა.
28. ერლ სტენლი გარდნერი. ცალთვალა მოწმის ჩვენება.
29. როს მაკდონალდი. უკანასკნელი მზერა.
30. არტურ კეილი. სასტუმრო ნაწილი I.
31. არტურ კეილი. სასტუმრო ნაწილი II.
32. აგათა კრისტი. სიკვდილი ღრუბლებში.

მუქი შრიფტით აღნიშნულია უკვე გასული წიგნები

ყოველი შაბათის ნომერში

11 თებერვლიდან გაიყიდება ტომი 8 — ჯო ჰორზი. მტაცებელთა ჟამი

# ინდოეთში პორნოფილმის ყურებისთვის სამი მინისტრი თანამდებობიდან გადადგა



ინდოეთის სამხრეთის შტატ კარნატაკის სამი მინისტრი იძულებული გახდა თანამდებობიდან გადამდგარიყო იმის გამო, რომ სახელმწიფო ასამბლეის სხდომაზე პორნოფილმს უყურებდნენ. ბი-ბი-სის ინფორმაციით, ერთ-ერთი მინისტრი მთავრობაში ქალთა და ბავშვთა დაცვის საკითხებს კურირებდა.

ადგილობრივმა ტელეარხებმა გამოაქვეყნეს ვიდეო ჩანაწერი, რომელზეც ჩანს, თუ როგორ უყურებს ერთ-ერთი მინისტრი ვიდეორგოლს საკუთარ ტელეფონში და შემდგომ შთაბეჭდილებებს საკუთარ კოლეგებს უზიარებს. ფაქტი ასამბლეის სხდომაზე ხდება. სამივე მინისტრი უარყოფს იმ ფაქტს, რომ ისინი პორნოს უყურებდნენ. პარტიამ, რომლიც წევრებიც მინისტრები არიან, აღნიშნულ ფაქტს სასირცხვილო უწოდა.

ცნობისთვის, მსოფლიოში პირველი პორნოფილმი საფრანგეთში გადაიღეს. ფრანგულმა კომპანია „ლობსტერს ფილმმა“ მე-20 საუკუნის დასაწყისში გადაღებული პორნოფილმები შეაგროვა. ფილმები კერძო კოლექციებიდან ამოიღეს. ამის შესახებ „ლიბერასიონი“ იუწყება.

ერთ-ერთი ფილმის სახელწოდებაა „და ვაზელინი“. ფილმი „თავაშვებული“ მონაზონის გლეხებთან და ბერებთან სასიყვარულო თავგადასავლებს მოგვითხრობს.

მეორე ფილმია „ექიმთან“ – აქ კლასიკური სასიყვარულო სამკუთხედი ვითარდება: „ექიმი-პაციენტი-მედდა“.

როგორც ფრანგული გამოცემა წერს, სურათში „ცოტა ალერსი და ბევრი მოქმედებაა“. ამავდროულად, ფილმში იგრძნობა, რომ გასული საუკუნის ატმოსფერო მეფობს. მიუხედავად „დაუჯერებელი აქტიურობისა“, როგორც ამას გაზეთი წერს, სურათი მუნჯი კინოა და მას მხოლოდ „ვნებიანი სუნთქა“ აკლია. ფილმები მე-20 საუკუნის დასაწყისშია გადაღებული. ექსპერტები ამბობენ, რომ ფილმები უნიკალურია, რადგან ისინი საკმაოდ გულახდილია და წარმოსახვის დაძაბვას ნაკლებად საჭიროებენ.

# ისრაელში საყოველთაო გაფიცვაა



ისრაელში საყოველთაო გაფიცვა მიმდინარეობს. უცხოური მედიის ინფორმაციით, გაფიცვის გამო ქვეყნის პორტები და აეროპორტები დახურულია. არ მუშაობს რკინიგზა და საბანკო სექტორიც.

გაფიცვას ისრაელის ნაციონალური ბანკიც შეუერთდა.

გაფიცვა პროფკავშირების ორგანიზებით უვადოდ გამოცხადდა. მიზეზი მუშაკთა სამუშაო პირობებთან დაკავშირებით პროფკავშირებსა და ფინანსთა სამინისტროს შორის არსებული დავა გახდა.

ექსპერტების შეფასებებით, 24-საათიანი გაფიცვით ისრაელის ეკონომიკამ შესაძლოა, 500 მილიონი დოლარის ოდენობის ზარალი ნახოს.

ისრაელი (ოფიციალურად ისრაელის სახელმწიფო) – ქვეყანა სამხრეთ-დასავლეთ აზიაში, ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ კიდეზე. ესაზღვრება ლიბანი ჩრდილოეთით, სირია ჩრდილოაღმოსავლეთით, იორდანია აღმოსავლეთით და ეგვიპტე სამხრეთდასავლეთით, და მოიცავს გეოგრაფიულად მრავალფეროვან რეგიონებს მის შედარებით მცირე ტერიტორიაზე.

ასევე ესაზღვრება დასავლეთი სანაპირო აღმოსავლეთით და ღაზას სექტორი სამხრეთდასავლეთით.

7,28 მილიონი მოსახლეობით, რომელთა უმრავლესობა ებრაელია, ისრაელი მსოფლიოს ერთადერთი ებრაული სახელმწიფოა. ის ასევე სამშობლოა სხვა ეთნიკური ჯგუფების, მათ შორის უმრავლესობას არაბები და მრავალრიცხოვანი რელიგიური ჯგუფები (მაჰმადიანები, ქრისტიანები, დრუზები, სამარიტელები და სხვ.) წარმოადგენენ.

ისრაელის თანამედროვე სახელმწიფო საფუძვლებს იყრის ისრაელის მიწაზე, კონცეფცია, რომელიც უძველესი დროიდან იუდაიზმის ცენტრალური იდეა იყო, და უძველესი იუდეის სამეფოს გულში, საიდანაც თანამედროვე ებრაელები უნდა იყვნენ წარმოშობით.

პირველი მსოფლიო ომის შემდეგ ერთა ლიგამ დაამტკიცა პალესტინაზე ბრიტანეთის მანდატი, რომლის მიზანი „ებრაელი ხალხისთვის ეროვნული სახლის“ შექმნა იყო.

1947 წელს გაერომ დაამტკიცა პალესტინის დაყოფა ორ სახელმწიფოდ, ებრაულ და არაბულ ნაწილებად.

1948 წლის 14 მაისს ისრაელმა დამოუკიდებლობა გამოაცხადა, რასაც მეზობელ არაბულ ქვეყნებთან ომის დაწყება მოჰყვა, ვინაიდან მათ უარი განაცხადეს ისრაელის ცნობაზე.

ისრაელი ამ ომების სერიაში გამარჯვებული გამოვიდა და შეძლო საკუთარი დამოუკიდებლობის დაცვა.

ამ ომებით მან საკუთარი საზღვრები გაეროს დაყოფის გეგმით ფარგლებს გარეთ გადაწია. მას შემდეგ ისრაელი კონფლიქტშია მრავალ მეზობელ არაბულ ქვეყანასთან, რის გამოც პერიოდული ომები და კონფლიქტები რეგიონში დღემდე გრძელდება.

დაფუძნების შემდეგ ისრაელის საზღვრები და სახელმწიფოს არსებობის უფლება მუდმივი დისპუტის საგანი იყო, განსაკუთრებით მის არაბ მეზობლებთან და მათ პალესტინელ ლტოლვილებთან.

ისრაელს სამშვიდობო ხელშეკრულება აქვს მოწერილი ეგვიპტესთან და იორდანიასთან, თუმცა ხანგრძლივი მშვიდობის მიღწევა პალესტინელებთან დღემდე შეუძლებელი გახდა.

ისრაელი წარმომადგენლობითი დემოკრატიაა საპარლამენტო სისტემითა და საყოველთაო საარჩევნო უფლებით.

პრემიერ-მინისტრი მთავრობის ხელმძღვანელის, ხოლო ქნესეთი ისრაელის საკანონმდებლო ორგანოს დანიშნულებას ასრულებს.

ნომინალური მთლიანი შიდა პროდუქტის მიხედვით, ქვეყნის ეკონომიკა სიდიდით 44-ეა მსოფლიოში.

ჰუმანური განვითარებით, პრესის თავისუფლებითა და ეკონომიკური კონკურენტულობით ისრაელი ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში რანგით პირველია.

იერუსალიმი ქვეყნის პოლიტიკური დედაქალაქი და ქვეყნის უდიდესი ქალაქია, ხოლო თელავივი – ეკონომიკური ცენტრი.

# ირანი კვლავ „საპასუხო დარტყმით“ იმუქრება

ამერიკის შეერთებული შტატების შეტევის შემთხვევაში ირანი საპასუხო დარტყმით კიდევ ერთხელ იმუქრება.

ამის შესახებ ირანის ელჩის მაჰმუდ საჯადის მიერ რუსეთში გაკეთებული განცხადების შემდეგ გახდა ცნობილი.

– ამერიკელებმა კარგად იციან, რა ქვეყანაა ირანი. ირანს ნებისმიერი შეტევის მოგერიება შეუძლია. ჩვენ მთელი რიგი საპასუხო შესაძლებლობები გვაქვს. აშშ ასეთი სერიოზული შეცდომის გამო ინანებს.

ირანს აქვს ძალიან კარგი შესაძლებლობები, აშშ-ს საპასუხო დარტყმა მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში მიაყენოს. ამჟამად ამერიკა ავღანეთისა და ერაყის ჭაობშია ჩაფლული.

იმ დროს, როდესაც მათ ხელები უკვე იდაყვებამდე აქვთ გასვრილი ლიბიელი ხალხის სისხლით, იმ დროს, როდესაც აშშ-ში ეკონომიკური კრიზისია, ირანზე თავდასხმა მათთავის თვითმკვლელობის ტოლფასი იქნება, – განაცხადა დიპლომა

გარდა ამისა, პენტაგონის მეთაურმა ლეონ პანეტამ გასულ კვირას განაცხადა, რომ „სერიოზული ალბათობა არსებობს, ისრაელმა ირანის ბირთვულ ობიექტებზე იერიში მიიტანოს“ და იქვე დასძინა, რომ „აშშ-ს არ გადაუწყვეტია, როგორი იქნება მათი რეაქცია ამ შემთხვევაში“.

აღსანიშნავია, რომ ბოლო რამდენიმე კვირის განმავლობაში აშშ-მ და ევროკავშირმა ირანის საწვავის სექტორის მიმართ სანქციები შემოიღეს. სანქციების ბოლო რაუნდი კი მას შემდეგ გაჩნდა, რაც ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტომ გამოქვეყნა ანგარიში, სადაც ნათქვამია, რომ ირანი ბირთვული იარაღის შექმნაზე მუშაობს.

სპარსეთის ყურეში შექმნილი მდგომარეობა კვლავ საერთაშორისო საზოგადოებისა და მედიის ერთ-ერთი წამყვანი თემაა.

ამ საკითხზე კომენტარი რამდენიმე დღის წინ ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის უწყების ხელმძღვანელმა გააკეთა.

ლეონ პანეტას თქმით, იმისთვის, რომ ირანმა ბირთვულ იარაღზე მუშაობა შეწყვიტოს, უმნიშვნელოვანესია უმკაცრესი ეკონომიკური სანქციების მხარდაჭერა საერთაშორისო საზოგადოების მხრიდან.

– თუ ირანი კურსს არ შეიცვლის, შეერთებული შტატები პასუხისთვის მზად იქნება. ჩემი აზრით, ახლა უმნიშვნელოვანესია საერთაშორისო საზოგადოების ერთიანობა. ჩვენ ვაგრძელებთ ირანზე ზეწოლას იმისათვის, რომ შეწყდეს ბირთვულ იარაღზე მუშაობა, რათა ირანი სახელმწიფოთა საერთაშორისო ოჯახს შეუერთდეს, – განაცხადა პანეტამ გერმანიაში, რამშტაინის ბაზაზე ყოფნისას, სადაც იგი ამერიკის სამხედრო-საჰაერო ძალების წარმომადგენლებს შეხვდა.

შეერთებული შტატების თავდაცვის უწყების ხელმძღვანელმა უარი თქვა, კომენტარი გაეკეთებინა ირანზე ისრაელის მხრიდან შესაძლო დარტყმის შესახებ, რაზეც ცნობები „ვაშინგტონ პოსტის“ ერთ-ერთი მესვეტე ჟურნალისტის დევიდ იგნატიუსის მხრიდან გავრცელდა.

იგნატიუსი წერს, რომ თავდაცვის მინისტრი გაზაფხულზე ისრაელის მხრიდან ირანზე დარტყმის შესაძლებლობას არ გამორიცხავს, მაგრამ თავად ჟურნალისტი არ ასახელებს წყაროს, თუ ვინ მიაწოდა პანეტას გამონათქვამები.

როგორც „ვაშინგტონ პოსტი“ იუწყება, ამერიკის შეერ-



თებული შტატების თავდაცვის მინისტრი ღიად მხოლოდ იმას აცხადებს, რომ ირანზე სამხედრო დარტყმის შესაძლებლობა არ გამორიცხა თავად ისრაელმა.

რაც შეეხება ისრაელის პოზიციას, მედიისთვის საჯარო გახდა დაზვერვის ხელთ არსებული რამდენიმე კონკრეტული ცნობა.

ისრაელის სამხედრო დაზვერვის გენერალ-მაიორის ავივ კოჰავის განცხადებით, ირანს შეუძლია ოთხი ბირთვული ქობინის შექმნა.

ამის შესახებ კოჰავიმ ქალაქ ჰერც ლიაში მიმდინარე უსაფრთხოების საერთაშორისო კონფერენციაზე განაცხადა.

– ირანი აქტიურად ავითარებს თავის ბირთვულ შესაძლებლობებს და ამჟამად სპეცსამსახურები უკვე მსოფლიო დონეზე იზიარებენ ისრაელის მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ ირანს 4 ტონა გამდიდრებული მასალა და დაახლოებით 100 კილოგრამი ურანი აქვს, რაც 4 ბომბის შესაქმნელად საკმარისია, – აღნიშნა გენერალ-მაიორმა.

ისრაელელი მაღალჩინოსნის თქმით, ირანს 3 მიზანი აქვს: მიაღწიოს ჰეგემონიას რეგიონში, ფლობდეს შეკავების პოტენციალს და გახდეს უმთავრესი რეგიონული მოთამაშე.

საერთაშორისო მედიაში გაჟონილი ინფორმაციის თანახმად, ირანმა ბირთვული ბომბი შესაძლოა უკვე ერთ წელიწადში შექმნას, თუ ამის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილებას ისლამური რესპუბლიკის უმაღლესი სულიერი ლიდერი ალი ხამენეი მიიღებს.

თუმცა, ისრაელისთვის საფრთხედ მხოლოდ ბირთვული ბომბი არ აღიქმება, საკმარისი შეშფოთების საგანს ისლამური რესპუბლიკის ხელთ არსებული სარაკეტო პოტენციალიც წარმოადგენს. რომელთა მოქმედების რადიუსი ისრაელის ტერიტორიის დასაფარად საკმარისი იქნება.

ახლო აღმოსავლეთში არსებული ვითარების შეფასებებში გაცილებით შორს მიდის რუსეთი, რომელიც ირანის წინაალმდეგ სამხედრო აგრესიის ერთადერთ შემაკავებელ ფაქტორად სირიაში ბაშარ ასადის რეჟიმის არსებობას მიიჩნევს.

ყოველ შემთხვევაში ასეთია რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალური აზიის, კავკასიისა და ურალ-ვოლგისპირეთის ცენტრის სამუშაო ჯგუფის კოორდინატორის ალექსანდრ სკაკოვის შეფასება.

– ვფიქრობ, მანამდე, ვიდრე სირიაში ვითარება ისე არ დაწყდება, როგორც ეს დასავლეთში სურთ, ირანის წინაალმდეგ აგრესია არ იქნება. როგორც კი ბაშარ ასადის რეჟიმი დაეცემა, უკვე შესაძლებელი იქნება იმაზე საუბარი, რომ ირანთან ომი ერთ თვეში ან სულაც რამდენიმე კვირაში დაიწყება, – განაცხადა „რია ნოვოსტის“ ოფისში გამართულ პრესკონფერენციაზე ალექსანდრ სკაკოვმა.

რაც შეეხება ორმუზის სრუტის პრობლემას, მსოფლიოს ნავთობის 40%, რომელიც საზღვაო ტანკერებით გადააქვთ, სწორედ ამ სრუტეზე გადის. ეს სრუტე სპარსეთის ყურეს ინდოეთის ოკეანესთან აკავშირებს, რომელსაც ორი სახელმწიფო – ირანი და ომანი ესაზღვრება.

ირანი დასავლეთთან დაპირისპირების გამო ორმუზის სრუტის დახურვით დაიმუქრა. ამ სტრატეგიული სანაოსნო გზის დახურვა ნავთობზე ფასების გაზრდას გამოიწვევს, რაც უარყოფით გავლენას იქონიებს კრიზისში მყოფ მსოფლიო ეკონომიკაზე. იანვრის დასაწყისში არაბეთის გაერთიანებულმა საამიროებმა ახალი ნავთობსადენის მშენებლობის შესახებ განაცხადეს, რომელიც ყოველდღიურად 1,5 მილიონ ბარელ ნავთობს აბუ დაბის საბადოებიდან ინდოეთის ოკეანის სანაპიროსთან გადაქაჩავს.

ამჟამად საამიროები ყოველდღიურად 2,5 მილონ ბარელ ნავთობს მოიპოვებენ, ახალი ნავთობსადენი კი ივნისის დასაწყისში ჩადგება მწყობრში.

როგორც კუვეიტის ენერგეტიკის ექსპერტი მუსა მარაფი ამბობს: „აღნიშნული ნავთობსადენი მხოლოდ საამიროების პროექტია, მაგრამ იგივე უნდა გააკეთონ კუვეიტმა, საუდის არაბეთმა და კატარმა.“

ირანი სპარსეთის ყურის გადაკეტვას აპირებს, თუ დასავლეთი გააგრძელებს სანქციების შემოღებას, რაც თეირანს ნავთობის ექსპორტის საშუალებას მოუსპობს.

დასავლეთმა უკვე შემოიღო ირანის წინააღმდეგ მკაცრი სანქციები ამ ქვეყნის ბირთვული პროგრამის გამო, მიუხედავად თეირანის მტკიცებისა, რომ ეს პროგრამა მხოლოდ მშვიდობიან მიზნებს ემსახურება.

ახლახან ევროკავშირი შეუერთდა შეერთებული შტატების პოლიტიკას, რომელიც ივლისის დასაწყისში ირანის ნავთობზე ემბარგოს დაწესებას ითვალისწინებს.

მოვლენების ამგვარი განვითარება სპარსეთის ყურის არაბული ქვეყნების ნავთობის ექსპორტსაც ემუქრება. მუსა მარაფის განცხადებით: „ეს გაფრთხილება ჩვენ გვეხება, რათა ნავთობსადენების მშენებლობაზე ვიფიქროთ, რაც მთელი მსოფლიოსთვის უმნიშვნელოვანესი საკითხია.“

საერთაშორისო ანალიტიკოსების აზრით ორმუზის სრუტის დახურვა ყველაზე უფრო ირანს დააზარალებს. ირანის ეკონომიკა მთლიანად დამოკიდებულია ნავთობის ექსპორტზე და სანქციები ამ ქვეყნის ვალუტის გაუფასურებას და ინფლაციას გამოიწვევს.

როგორც ამერიკელი ექსპერტი შონ ევერსი აცხადებს, ირანი არ შეასრულებს თავის მუქარას: „უკანასკნელი 50 წლის განმავლობაში ეს რეგიონი პერმანენტული დესტაბილიზაციის პირობებში იმყოფებოდა, მაგრამ ორმუზის სრუტე არასოდეს დაკეტილა ნაოსნობისთვის.“

კიდევ ერთი ანალიტიკოსის საიმონ უორდელის აზრით ნავთობსადენები ვერ შეძლებენ საზღვაო გზით ნავთობის ექსპორტის შეწყვეტის შემთხვევაში დანაკარგების ანაზღაურებას, რადგან ამ რეგიონის ქვეყნებიდან ყოველდღიურად 17 მილიონი ბარელი ნავთობი გადის საზღვაო ტანკერების საშუალებით, რისი კომპენსაცია ნავთობსადენებს არ შეუძლიათ.

უორდელის განცხადებით დასავლეთი არ დაუშვებს ორმუზის სრუტის დიდი ხნით გადაკეტვას. მისი თქმით: „ეს ყველას ინტერესებშია. ჩინეთი, ამერიკა და ევროპა დაინტერესებულნი არიან, რომ ორმუზის სრუტე ღიად დარჩეს სანაოსნოდ.“ ყოველდღიურად 17 მილიონი ბარელი ნავთობი ორმუზის სრუტის გავლით მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებისკენ მიემართება. ამ სანაოსნო გზის უსაფრთხოებას შეერთებული შტატების სამხედრო-საზღვაო ფლოტი იცავს.

მოამზადა გურა მამულაშვილმა


## სამგლოვიარო განცხადებები

სოსო, მარინა და ნოე კოპალიანები თანაუგრძნობენ რომან ცეკვავას ოჯახს შვილის

**ბექა ცეკვავას**

გარდაცვალების გამო.

აგრეთვე თანაგრძნობას უცხადებენ სანიკიძეების ოჯახს

**ნიკა სანიკიძის**

გარდაცვალების გამო.

სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.


## TV პროგრამა

პარასკევი
10 თებერვალი

06.30 მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) 07.30 ჩვენი დილა 11.00 სამოთხის ვაშლები 12.00, 16.00, 20.00 მოამბე 12.45 თოქ-შოუ „არენა„ 13.50 დოკ. ფილმი „შერლოკ ჰოლმსი„ 15.00 სერ. „ზღვარს მიღმა„ 17.00 ავტოპილოტი 18.00 პეპე და მეგობრები 19.05 სერიალი „მეორე შანსი„ 21.30 გააგრძელე საქართველოს ისტორია 23.00 კავკასუს ლაივი 00.00 წითელი ზონა 01.00 მხ. ფილმი „საძმო„ 03.15 მხ. ფილმი „დიდი ღამე„ 05.15 მხ. ფილმი „სარას ხილვები„ (15)

08.00, 00.00 მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) 09.00, 12.00, 14.45, 17.45, 23.00 ბრიფინგის დროით 10.00, 22.00 თავისუფალი ტრიბუნა 11.00, 14.00 დოკ. ფილმი 16.00, 17.00 დოკ. ფილმი 19.00 სერიალი „ელიტარული უბანი„ 20.00 მხ. ფილმი „ფრანკენშტეინი„ 01.00 მხ. ფ.„ვანილის ცა„ (15)

07.30 დილა მშვიდობისა 10.00 სერიალი „როსალინდა„ 11.00 სერიალი „კლონი„ 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00, 04.30 კურიერი 12.30 სხვა ამბები 13.00 ბიზნეს კურიერი 13.30 შუა დღე 15.40 პროფილი (გან.) 18.45 სერ.„მიყვარხარ ლოლა„ 19.45 სერ.„სახლი მეზობლად„ 21.50 ეროვნული ლატარეა 22.00 ვანოს შოუ 23.30 კომედი შოუს სკეტჩები 00.30 შუა დღე 02.00 პატრული 02.30 მხ. ფილმი (ტიტ.)

07.30 იმედის დილა 10.05 სერიალი „მოპარული ბედნიერება„ 11.00, 14.00, 17.00, 20.00, 03.00 ქრონიკა 11.30 სერ. „ქალის სიტყვა„ 12.30 დღის შოუ 14.40 ნანუკას შოუ (გან.) 17.40 სერიალი „ევა ლუნა„ 19.05 სერ.„ბედისწერის ძალა„ 21.00 სერიალი „დამალული სიმართლე„ 22.00 ქარ. სერიალი 23.00 100 გრადუსი 00.50 მხ. ფილმი „ძმები მეტოქეები„ (ა. გარსია) 02.55 მხ. ფილმი „ქალები„ (12) (მ. რაიანი) 04.45 მხ. ფილმი „ამერიკელი ცოლი„ (ჯ. ბილი) 06.30 სერიალი „მარინა„

08.00 ან. ფილმი 08.55 სერ.„მარია ემილია„ 10.00 მხ. ფილმი 12.00, 15.15, 17.00 ტვ-მარკეტი 12.15 სერ.„ვერონიკა მარსი„ 13.00 მზესუმზირა (პირდ.) 15.30 მხ. ფილმი 17.10 სერიალი „ტყუპები„ 18.00 მხ. ფილმი 20.00 სერ. „ვნებათა მიწა„ 21.00 მხ. ფილმი 23.00 105 წუთი (პირდ.) 00.00 მზესუმზირა 02.00 მხ. ფილმი

08.30, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.30 „დრო„ 09.00 მუსიკა 09.30 სერიალი „ექიმი ძმორი„ 10.00 დოკ. ფილმი 11.10, 14.10, 17.10 ინგლისურის გაკვეთილი 11.40, 15.00, 18.00 თურქულის გაკვეთილი 11.50, 21.15 სერიალი „ქალი გაიცნობს„ 13.00 სამედიცინო გად.„იმპულსი„ 13.30, 19.35 სერიალი „სხეული და სული„ 15.15 სერიალი „ექიმი ძმორი„ 16.30 დროის ვექტორი 18.15 დოკ. ფილმი 19.35 კონცერტი 21.00 ზღაპრის კონა 23.00 მხ. ფილმი

ერთსულოვნება 08.30 განთიადი 10.00, 19.00, 22.00, 00.05 სიახლენი 10.35 დოკ. ფილმი „უმორჩილესად გთხოვთ„ 11.00 აქტუალური თემა 11.30 გზა, რომლითაც ვიარე 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 12.00, 15.00, 18.00 საეკლესიო კალენდარი 12.15 მხ. ფილმი „წარსულის აჩრდილები„ მე-2ნ. 13.20 კონცერტი — ა. ბასილაია 15.05 განთიადის სტუმარი 15.30 დოკ. ფილმი „დები ტრევისის საოცარი სახლი„ 15.50 მხ. ფილმი „ზოოცვერების მესერი„ 17.30 საყმაწვილო ბიბლიური ენციკლოპედია 18.05 ერთსულოვნების ვერნისაჟი 18.25 ტელეზღაპარი 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.25 მხ. ფილმი „ხევისბერი გოჩა„ 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.20 ერთსულოვნების ვერნისაჟი 21.30 მოგზაურობა სამშობლოში 22.25 ჩვენი ფონდი 22.40 მოკ. ფილმი „ცაბუნია„ 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 დოკ. ფილმი „რაინდები„ 00.30 განთიადის სტუმარი 00.55 კვირიაკე

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


**ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი**

**10 თებერვალი**

აშშ დოლარი — 1,6678

ევრო —2,2122

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,6518

რუსული რუბლი — 0,0561

**აღმოსავლეთ საქართველო:** მოღრუბლულობა, თოვლი, ტემპერატურა დღისით — 0—4, ღამით — -4 -1

**დასავლეთ საქართველო:** თოვლი, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 2-5, ღამით — -3-0

**სამხრეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, ტემპერატურა დღისით — 0-3, ღამით — -5 -2

**ამინდის პროგნოზი 10 თებერვლისთვის**




# 8 თებერვლიდან

## ჟურნალ „სარკესთან“ ერთად გაიყიდება საატესტატო საგამოცდო ტესტების მეორე ტომი

## მათემატიკა, ქართული ენა და ლიტერატურა, ისტორია, გეოგრაფია




## ფასი ჟურნალთან ერთად 4,5 ლარი




# ქეთი მელუა გათხოვდა

ეკა ირემაშვილი

ბრიტანეთში მოღვაწე ცნობილი ქართველი მომღერალი ქეთი მელუა გათხოვდა. 28 წლის მომღერალმა თავისი ბედი მოტომრბოლელ ჯეიმს ტოუზლენდს დაუკავშირა. სპორტსმენმა ეს სასიხარულო ამბავი თავის თაყვანისმცემლებს სოციალური ქსელით „ფეისბუქით“ შეატყობინა.

— თქვენთვის ძალიან სასიხარულო ამბავი მაქვს. ქეთის ცოლობა ვთხოვე, მან კი თანხმობით მიპასუხა. მომილოცეთ, უბედნიერესი ადამიანი ვარ, — ასეთი სახის განცხადება გამოაქვეყნა ცნობილმა მოტომრბოლელმა საკუთარ გვერდზე.

ყვითელი პრესა წერს, რომ რამდენიმე დღეა მომღერალი ქეთი მელუა ხელზე საქორწინო ბეჭდით დადის. როგორც ამბობენ, წყვილი უკვე დაქორწინდა, თუმცა ოფიციალური ცერემონიის გამართვა სამომავლოდ გადადეს. ქორწილისთვის მზადების პროცესი ქეთი მელუას პრესცენტრმაც დაადასტურა და განაცხადა, რომ ოფიციალური ცერემონია მოგვიანებით შედგება.

31 წლის ჯეიმს ტოუზლენდისა და 28 წლის ექთი მელუას რომანი გასულ წელს გამჟღავნდა. პაპარაცებმა წყვილი ლონდონში გამართულ ერთ-ერთ ფოტოგამოფენაზე ერთად ნახეს. გარდა იმისა, რომ მოტომრბოლელი სუპერბაიკის ჩემპიონატების გამარჯვებულია, თან პიანისტი და მომღერალიცაა. ჯეიმს ტოუზლენდს თავისი ჯგუფი ჰყავს და კონცერტებსაც საკმაოდ ხშირად მართავს.

გაგრძელება მე-10 გვერდზე


# 1 თებერვლიდან

უნიკალური პროექტი

„ახალ თაობასთან“ ერთად გაიყიდება უნიკალური პროექტის

„ადამიანები, რომელთაც შეცვალეს მსოფლიო — 100 წიგნი“

მე-19 ტომი

## ჩინგიზ ყაენი

გაზეთი და წიგნი ერთად 8 ლარი


## ასტროპროგნოზი

10 თებერვლისთვის

ყველამ გაითვალისწინეთ!

წარმატებული დღეა

**ვერძი** — სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი. **კურო** — არ აჩქარდეთ, მშვიდად იმოქმედეთ. **ტყუპები** — ის საქმე აკეთეთ, რაც მოგწონთ. **კირჩხიბი** — ახალი საქმე მოგეწონებათ. **ლომი** — ფულის პრობლემა არ გაქვთ. **ქალწული** — მშვენიერი დღეა, კარგ ამბებს გაიგებთ. **სასწორი** — სახლში სიახლეა, ძვირფას ნივთს შეიძენთ. **ღრიანკალი** — დღეს კარგ ხასიათზე ხართ. **მშვილდოსანი** — ამდენი აქტიურობა ზედმეტია, თუმცა შედეგი კარგი იქნება. **თხის რქა** — იმიჯის შეცვლა სწორედ რომ დროულია, გამოგადგებათ. **მერწყული** — ერთი ხის დარგვა არც თქვენ გაწყენთ, დღეს ამდაგვარი რამ გააკეთეთ. **თევზები** — პრობლემას ადვილად გადალახავთ, მთავარია მოინდომოთ.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

## კროსვორდი

**შვეულად**: 1. ზღვისპირა კურორტი ლიტვაში; 2. ებრაელთა მოყვარული ადამიანი; 3. ლუთერანული ეკლესიის მღვდელი; 5. გერმანელი ექიმი, თეოლოგი მისიონერი, მუსიკათმცოდნე, ორღანისტი, ნობელის პრემიის ლაურეატი; 7. მოურიდებელი, უტიფარი, ურცხვი ადამიანი; 9. ელჩის გამოწვევა სახელმწიფოდან; 13. ოპერის სიტყვიერი ტექსტი; 15. ქალაქი-მუზეუმი საქართველოში; 16. ბრაზილიის ფეხბურთელთა გუნდი; 18. სატანვარჯიშო იარაღი.

**თარაზულად**: 4. უწახნაგოდ, მრგვალად დამუშავებული ძვირფასი ქვა; 6. აზერბაიჯანელ ქალთა ცეკვა; 8. ქიზიყის ძველი სახელწოდება; 10. ბრილიანტის თითოეული გვერდი; 11. დენის სიმძლავრის საზომი ერთეული; 12. ცხარე საწებელი; 14. სიყვარულის ღვთაება რომაულ მითოლოგიაში; 17. გერმანული ქიმიურ-სამრეწველო კონცერნი; 19. ქეიფი, დროსტარება; 20. გონებასუსტი ადამიანი; 21. ჯიხვების ჯოგი; 22. სახელმწიფო ცენტრალურ ამერიკაში; 23. მსუსხავი ბალახი.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

